პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—29.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—31.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- მემარცხენეთა გამარჯვება გერმანიის მელითონეთა კავშირში.
- ინდოეთის პროლეტარიატის მოთხოვნილებები.
- ინგლისის საიმპერიო მუშათა კონფერენციის გახსნა.
- გერმანელ კომუნისტ კლემის გაქცევა ციხიდან.
- ფადიშახ ამმანულას დაბრუნება ქაბულში.
- რემედასის დღე კელნში.
- ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაზე.

ხუთშაბათი, 5 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 154 (2197)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—31

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესახებ

(ცაკის სესიის გამო)

დასრულდა საქართველოს ცაკის მეოთხე სესია. დღის წესრიგში, რომელიც სესიამ განიხილა, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკითხი ადგილობრივ საბჭოების უფლებების და მოვალეობის გაფართოების შესახებ.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების უფლებების გაფართოების საჭიროება კარგა ხანია მწვავედ სდგას არა მარტო ჩვენში, არამედ ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებშიც. ჩვენში ამ საკითხის გადაწყვეტამ კიდევაც დაიგვიანა. მოკავშირე რესპუბლიკებში უკვე მიღებულია დებულება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ და ბევრგან ის კიდევაც ტარდება ცხოვრებაში.

ეს ახალი ნაბიჯი ადგილობრივ მშენებლობის დარგში გამოწვეულია სათანადო პირობებით. თემისა და მაზრის საბჭოების მუშაკებმა საქართველოში მშრომელთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან გაიარეს სამეურნეო, კულტურულ და ადმინისტრატიულ მშენებლობის საუკეთესო სკოლა. მასა შეეჩვია მართვა-გამგეობის საქმეს, ის გაიწვრთნა და გაიზარდა, როგორც პრაქტიკული მშენებელი. ამასთან ერთად გაიზარდა და გართულდა ადგილობრივი მუშაობაც. ასეთ პირობებში სამაზრო და სათემო აღმასკომების მუშაობის ძველი წესით გაგრძელება, ადგილობრივ საბჭოების საქმიანობის ძველ უფლება-მოვალეობის ჩარჩოში დატოვება ბუნებრივად შექმნიდა და უკვე ეხლაც ქმნის დაბრკოლებებს მშენებლობის ნორმალურ განვითარების დარგში.

გარდა ამისა ადგილობრივ ორგანოების უფლებებისა და მოვალეობის გაფართოება მიზნად ისახავს მართველობის აპარატის კიდევ უფრო დაახლოებას მშრომელ მასასთან, ამ მასისათვის უფრო ფართე ასპარეზის გაშლას სახელმწიფო მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად. ეს კი გაადვილებს ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხშირად ადგილობრივ ორგანოებში უაღრესად მახინჯ სახეს ღებულობს.

მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები დღემდე თემაღმასკომისა და მაზრაღმასკომის კომპეტენციის გარეშე რჩებოდა. ასეთი საკითხები გადადიოდა სასამართლოს ორგანოებში ან ხელისუფლების ცენტრალურ დაწესებულებებში. ეს, გარდა იმისა, რომ ამძიმებდა აღნიშნულ ორგანოების მუშაობას, ამასთანავე ხელს უწყობდა საქმის გადაწყვეტის გაჭიანურებასაც. ამგვარი მდგომარეობა სამართლიან შენიშვნებს და უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოება სავსებით მიზანშეწონილ ნაბიჯს წარმოადგენს. უფლება-მოვალეობათა გაფართოება შეეხო ადგილობრივ საბჭოთა მუშაობის ყველა დარგს და მან ყველგან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

ასე მაგალითად, ადმინისტრატიულ და საერთო მმართველობის დარგში თემსაბჭოებს უფლება ენიჭებათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის და კეთილმოწყობის შესახებ. გადიდებულ იქნა იმ საკითხების რიცხვი, რომელთა შესახებაც სამაზრო აღმასკომებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილება. ახალი დებულების თანახმად მაზრის აღმასკომებს შეუძლიათ დააწესონ ნიხრი ადგილობრივ ტრანსპორტზე, განსაზღვრონ წისქვილებში მარცვლეულის დაფქვის საფასური და სხვა. გარდა ამისა სამაზრო აღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს უფლება აქვთ დაამტკიცონ საზოგადოებათა წესდებები.

არის მნიშვნელოვანი ცვლილებები ადგილობრივ ორგანოთა უფლება-მოვალეობის გაფართოების მხრივ სასოფლო მეურნეობის დარგშიც. გადაწყვეტილია მომავალ საბიუჯეტო წლიდან გადაეცეს მაზრის საადგილ-მამულო ორგანოებს ამჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი ამერიკული ვაზის უდეფექტო სანერგეები და ხილის ბაღები, რომელნიც ცნობილია ადგილობრივ მნიშვნელობის კულტურულ მეურნეობათ, ამ მამულებთან ერთად სამაზრო აღმასკომებს გადაეცემათ სასოფლო-სამეურნეო მანქანა იარაღების ადგილობრივი საწყობები. გარდა ამისა თემაღმასკომებს უფლება ეძლევათ აღძრან სარჩელი იმ მიწების ჩამორთმევის შესახებ, რომელთაც მოსარგებლენი არ ამუშავებენ საკუთარი შრომით და ექსპლოატაციის იარაღად იყენებენ. თემსაბჭოებს ევალებათ გამოიტანონ თავიანთი დასკვნა მათი ტერიტორიის ფარგლების მიხედვით მიწათმოქმედების პროექტებზე. თემსაბჭოს აგრეთვე ევალება თვალყური ადევნოს არსებულ კანონების სისწორით გატარებას მიწით სარგებლობისა და მიწათმოწყობის სფეროში.

სახალხო განათლების დარგში, სხვათა შორის, შეტანილ იქნება შემდეგი ცვლილება: სკოლები თუ სახალხო განათლების სხვა დაწესებულებანი, რომელნიც იმყოფებიან ადგილობრივ საბჭოების ბიუჯეტზე, გადაცემული იქნება იმავე საბჭოების გამგებლობაში იმ აუცილებელი პირობით, თუ აღნიშნული სახალხო განათლების დაწესებულება არ არის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის. განათლების სახალხო კომისარიატის ხელში კი დარჩება იმ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა უშუალო ხელმძღვანელობა, რომელნიც მის გამგებლობაში იმყოფება, და ადგილობრივ აღმასკომების განკარგულებაში მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობა ადმინისტრატიულ-საორგანიზაციო და მეთოდიური სფეროში.

ასეთივე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ახალ დებულებას ადგილობრივ მუშაობის დანარჩენ დარგებშიაც, როგორიცაა: შრომის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სახალხო ჯანმრთელობა, ბიუჯეტი და სხვა.

ამნაირად ცაკის მეოთხე სესიის მიერ მიღებული დადგენილება ადგილობრივ საბჭოების მუშაობის შესახებ ახალ უფლებების მინიჭებისა და მოვალეობის დაკისრებასთან ერთად მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს თემისა და სამაზრო აღმასკომებისაგან. აქედან კი გამომდინარეობს შემდეგი პრაქტიკული დასკვნა: საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ მუშაკების შერჩევის საკითხს, საჭიროა გაძლიერებულ და გაუმჯობესებულ იქნა ცენტრალური ორგანოების საერთო ხელმძღვანელობა ადგილების მუშაობაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვცემს სათანადო ეფექტს ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობის გაფართოება.

შახტის პროცესის შედეგები

35 დღე გრძელდებოდა სასამართლო გამოძიება შახტის საქმეზე, 5 დღე გრძელდებოდა მხარეების კამათი, ორი დღეს მოუნდა ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებს. ერთის სიტყვით, ეს გრანდიოზული პროცესი სულ 7 კვირა გაგრძელდა. როცა ჩვენ ამ სტრიქონებს ვსწერთ, სათათბირო ოთახის კარებს იცავენ გუშაგები, ხოლო ამ კარებს იქით ეხლა სასამართლო სწყვეტს საკითხს პროლეტარული საზოგადოების თავდაცვის რომელი ზომა უნდა შეუფარდდეს თვითეულ, დამზიანებელს ცალ-ცალკე.

თუ ხვალ არა, ზეგ მაინც სასამართლოს განაჩენი გამოქვეყნებულ იქნება. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ეს განაჩენი, როგორიც არ უნდა იყოს ესა თუ ის ცალკე ზომა, რომლის მიღებასაც სასამართლო საჭიროდ დაინახავს ძველი დროის ტიპიური წარმომადგენლების ეშელიანე და ანდრია კოლოდუბების მიმართ, ან ჯაშუშების— ბოიარინოვისა და ბუდნის მიმართ, ან კიდევ კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის სულის ჩამდგმელთა მატოვისა და ბრატანოვსკის მიმართ, რაც არ უნდა მიუსაჯოს სასამართლომ კუზმას და რაბინოვიჩს, რომლებიც ყურადღების ცენტრს წარმოადგენდენ პროცესზე,— უკანასკნელ დღეებში პროცესის მთავარი პოლიტიკური შედეგები უკვე სავსებით მკაფიოდ ჩამოყალიბდენ და სწორედ ამ შედეგებს აქვთ უმთავრესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

თავის პასუხში დამცველებს სახელმწიფო ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ მთავარი ფაქტი, რომელიც გამოირკვა სასამართლოში, არის ის, რომ არსებობდა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელსაც ფართედ ჰქონდა გადგმული ფესვები მთელს დონბასში, რომლის უჯრედები არსებობდნენ მრეწველობის მეზობელ დარგებშიაც, რომელმაც ბუდე გაიჩინა არა მარტო ხარკოვში, არამედ მოსკოვშიაც, ორგანიზაცია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაქცეული უცხოეთში მყოფ თეთრგვარდიელებთან, მთავრობის მთელ რიგ დაწესებულებებთან და უცხოეთის სახელმწიფოებთან. დამცველები ცდილობდენ გვერდი აეხვიათ ამ ძირითად ფაქტისთვის —მისი უარყოფა მათ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ. განზე ვტოვებთ საკითხს, თუ რამდენად შეეფერებოდა დამცველთა ასეთი საქციელი დამცველთა პირვანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაეხმარონ სასამართლოს ჭეშმარიტების გამოძიებაში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საკითხის ამგვარი მიფუჩეჩებით დამცველებმა ობიექტიურად გადაუხვიეს თავიანთ დაპირებას, ამ საკითხის მიფუჩეჩებით მათ არასწორად გააშუქეს საქმე მთლიანად.

ამგვარად, პროცესმა გამოამჟღავნა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობა, ორგანიზაციის, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაქცეულ ჩვენი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ამ თვალსაზრისით განსაზღვრა სახელმწიფო ბრალდებამ ბრალდებულთა როლი, როგორც კლასობრივი მტრის მიერ ზურგში სადივერსიო მოქმედებისთვის გამოგზავნილი რაზმის როლი, რაზმის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა დამზიანებელთა ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოების დირექტივების მიხედვით და სცდილობდა თავისი მუშაობის მაქსიმალურად განვითარებას შეიარაღებული ინტერვენციის პერიოდისათვის. ჩვენთან ეს რაზმი გამოგზავნა არა იმდენად უცხოეთის ბურჟუაზიამ, რამდენადაც ძველი, მეფის, რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზიის გაერთიანებულმა ნაშთებმა და სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა 53 ბრალდებულიდან 22 კაცის დახვრეტა, რათა ყველასთვის აშკარა გახდეს, რომ პროლეტარული ხელისუფლება არ გადაჩვეულა, როგორც მან განაცხადა, თავის კლასობრივ მტრებთან ანგარიშის გასწორებას.

არავის არ შეუძლია იცოდეს, თუ რამდენად შეიწყნარებს სასამართლო პროკურატურის ამ წინადადებას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ სასამართლომ განსაზღვრული გაკვეთილი უნდა მისცეს როგორც აშკარა, ისე ფარულ დამზიანებლებს. ამას მოითხოვს მშრომელი მასების საზოგადოებრივი აზრი, ამას მოითხოვს სახელმწიფო უშიშროების ინტერესები, ამას მოითხოვს ბოლოს, კლასობრივი ბრძოლის მკაცრი ლოღიკა და ცხოვრების მკაცრი ლოღიკა.

ამავე დროს პროცესის საბოლოო შედეგებმა გამოააშკარავეს მრავალი სასიხარულო ფაქტი. პროცესმა გამოააშკარავა მუშათა მასების შემოქმედების ძლიერება და გრანდიოზული ეფექტი, —იმ მასების, რომელთაც სავსებით აღადგინეს დონბასი. ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები წარმოადგენენ მტრის სრულ კაპიტულიაციას. ვერც ერთმა ბრალდებულმა ვერ გაბედა უკანასკნელ სიტყვაში გალაშქრება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველამ თავი დამარცხებულად სცნო, ყველამ მოწიწებით დახარა თავი, ყველამ, იმათაც კი, რომლებიც ლაპარაკობდენ თავიანთ უდანაშაულობის შესახებ. მეტად დიდი იყო პროლეტარული სახელმწიფოს ძლიერება და საბჭოთა ხელისუფლების ძალა რომელიც გამოაშკარავდა პროცესზე, ულეველია შემოქმედი ენერგიის მარაგი, იმ ენერგიის, რომელიც გამოიხატა დონბასის აღდგენის ფაქტში.

მოწინააღმდეგის უძლურების ფაქტი,— მოწინააღმდეგის, რომელმაც თავისი მავნებლური მუშაობისთვის გამოიყენა მუშათა მასების მიერ შექმნილი ნდობის ატმოსფერა,— მეორე ძირითადი ფაქტია, რომელიც გამოაშკარავდა პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საზიანო მუშაობას აწარმოებდენ მთელი რიგი წლების განმავლობაში, დამზიანებლებმა ვერ შესძლეს არა თუ გამოუსწორებელი ზიანის მიყენება, არამედ ძნელად მოსარჩენი ჭრილობების მიყენებაც კი. ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება იყოს ერთად ერთი, რომელიც სასამართლოს შეაჩერებს პროკურატურის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან. საჭიროება არ მოითხოვს უძლური, ფეხქვეშ გათელილი მტრის საბოლოოდ გასრესას. საბჭოთა ხელისუფლება არა ერთხელ ცდილა ჩაეგო ქარქაშში დამსჯელი მახვილი და გვერდზე გადაედო სიკვდილის იარაღი, როცა გარემოება საშუალებას გვაძლევდა არ გამოგვეყენებია იგი რევოლიუციონური კანონების მთელი სიმკაცრით. ასე მოქმედობდა საბჭოთა ხელისუფლება იმ ბრალდებულთა მიმართ, რომლებზედაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მათ გულწრფელად მოინანიეს დანაშაული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროცესის მესამე შედეგიც, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი ორი. ბურჟუაზიული ევროპა, კერძოდ, გერმანიის მრეწველობის და გერმანიის საზოგადოებრივი აზრის მოღვაწენი თავის დროზე, გერმანელი ინჟენერების და ტეხნიკოსების დაპატიმრების შემდეგ და აგრეთვე სასამართლო-გამოძიების დროს, არა ერთხელ შეეცადენ სამოსამართლო-საგამომძიებლო ხელისუფლების და თვით სასამართლოს მოქმედებისთვის მიეცათ ისეთი აზრი, თითქოს ის მიმართული იყო გერმანიის მრეწველობის წინააღმდეგ. გერმანიის საზოგადოებრივმა აზრმა, რომელიც უჯერის თავის ხელმძღვანელებს, წამოაყენა მოთხოვნილება თითქმის სპეციალური გარანტიების შესახებ იმ გერმანელ ინჟენერებისათვის, რომლებიც მოემზავრებიან საბჭოთა კავშირში.

რა დაგვანახვა ამ მხრივ პროცესმა? მან პირველ ყოვლისა დაამტკიცა საგამომძიებლო ორგანოების მოქმედების სამართლიანობა და სისწორე. დაამტკიცა, რომ ამ ორგანოებს ჰქონდათ საკმაო საფუძველი ინჟენერების პასუხისგებაში მისაცემად, როგორ შეიძლებოდა მეიერის, ოტტოს და ბადშტიბერის არ მიცემა პასუხისგებაში, როცა საგამომძიებლო ორგანოების განკარგულებაში იყო ასეთი საბუთები? ბადშტიბერის ჩვენებამ გამოააშკარავა კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წინად იყო გამორკვეული წინასწარი გამოძიების მასალებში. კაზარინოვის ჩვენებამ გამოამჟღავნა კავშირი, რომელიც არსებობდა ცალკე ფირმების (კნაპი, აეგ) ცალკე მოღვაწეთა და კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას შორის. ამასთანავე ერთად, პროკურატურის წარმომადგენელი, რომელმაც უკან წაიღო მეიერის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, მეტად რბილად მოეპყრა ბადშტიბერს და მხოლოდ ნაწილობრივ დაუჭირა მხარი ბრალდებას ოტტოს წინააღმდეგ, არა სიტყვით, არამედ საქმით დაამტკიცა, რომ სახელმწიფო პროკურატურის ორგანოები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და თავიანთ უფლებებს და რწმუნებებს იყენებენ მხოლოდ იმათ წინააღმდეგ, ვინც მართლაც საშიშია საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

პროლეტარიატის კლასობრივმა პროკურატურამ არ სცნო შესაძლებლად დაკმაყოფილებულიყო ბაშკინის ჩვენებით მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ის არ არის საკმაოდ საფუძვლიანი. მან არ სცნო შესაძლოდ აგრეთვე დანაშაულად ჩაეთვალა ოტტოსთვის მისი აშკარად ანტი-საბჭოთა განწყობილება და პოლიტიკური შეხედულებები. „იქონიეთ ისეთი შეხედულება, როგორიც გსურთ,— რამდენჯერმე გაიმეორა სახელმწიფო ბრალმდებელმა,— მაგრამ არ გაბედოთ საბჭოთა კანონების დარღვევა, არ გაბედოთ საბჭოთა კავშირში ბოროტი განზრახვებით მოსვლა და ჩვენი მოტყუება". ყოველი ქვეყნის ყოველი სასამართლო სწორად ჩასთვლის საკითხის ასე დაყენებას. საბჭოთა კანონების ფარგლებში, საბჭოთა რევოლიუციონური კანონიერების ფარგლებში გულდამშვიდებით შეუძლია იმუშაოს ყოველი პოლიტიკური შეხედულების, ყოველი ქვეყნის, ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმომადგენელს.

და ბოლოს, პროცესის მეოთხე, ჩვენთვის და ჩვენი მშენებლობისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი: პროცესი, რომელიც ჩატარებულ იქნა საჯაროდ, რომელმაც ნათლად დაანახვა სასამართლოს სხდომებზე დამსწრე მრავალი ათას მშრომელს, თუ რამდენი ფარული და აშკარა მტერი გვყავს ჩვენ ჯერ კიდევ, —ეს პროცესი მუშათა კლასისათვის გადაიქცა მოწოდებათ სიფხიზლისაკენ და, ამავე დროს, მოწოდებათ საერთო შემოქმედ მუშაობისკენ ტეხნიკური ინტელიგენციის ყველა იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მუშაობდენ ჩვენს წარმოებებში. საცოდავი, სამარცხვინო წუთები, რომლებიც განიცადეს ჩვენმა მავნებლებმა, გამაფრთხილებელ გაკვეთილად უნდა გადაიქცეს ყველა იმისთვის, ვინც ჯერ კიდევ რყევას განიცდის. პროცესმა კიდევ უფრო უნდა შეამჭიდროვოს ერთ ოჯახში ყველა ის, ვინც პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოახმარა თავისი ცოდნა და შრომა მუშათა კლასს და ვისაც სურს დაეხმაროს მას სოციალისტური მომავალის შექმნაში.

ამავე დროს პროცესმა ცხადჰყო, რომ ის, ვინც არ არის ჩვენთან, გარემოებათა ობიექტიური ლოღიკით უკვე მოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ. სხვანაირად არც შეიძლება. ამაშია პროცესის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

„იზვესტია", 4 ივლისი.

კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში

გერმანიის პოლიტიკური წრეები მიულლერის დეკლარაციის შესახებ

უთანხმოება „უშიშროების" კომიტეტის სესიაზე.—გერმანიის წინადადებები გადაეცა კომისიას

საბერძნეთის შრომის კონფედერაციამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა

კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში

შანხაი 3 ივლისი. უკანასკნელ ცნობებში უცხოელთა პრესა ჩინეთში განგაშსა სცემს კომუნისტური მოძრაობის გაძლიერების გამო ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში. პრესას ყველგან ელანდება „კომუნიზმის აჩრდილი". ამ პრესის ბევრი ცნობა საეჭვოა ვინაიდან ხშირად უბრალო ბანდიტიზმს იგი „კომუნიზმად" სახავს.

მიუხედავად ამისა, თუ გადავათვალიერებთ შანხაის რამდენიმე დღის გაზეთებს, ცხადი იქნება, თუნდაც ხელისუფლების ღონისძიებათა მიხედვით, რომ მასიური მოძრაობა არამც თუ არ მინელდა, არამედ რამდენიმე რაიონში ნამდვილად გაძლიერდა.

გაზეთი „ნანკოუ შერალდი" იუწყება, რომ ნანჩანში (ძიანსის პროვინციის მთავარი ქალაქი) ვითომც აღმოაჩინეს კომუნისტების ბინები და ხელში ჩაიგდეს კომუნისტების სიები. ამ სიების მიხედვით მრავალი პირი დააპატიმრეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. დაპატიმრებულთა შორის ერთი სტუდენტი ქალიც იყო.

განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს ინგლისური პრესა „კომუნისტების ცენტრების აღმოჩენის" საქმეში. მაგალითად, „ცენტრალ ჩაინა პოსტი" (ინგლისური რეაქციონური ორგანო ხანკოუში) აცხადებს, რომ „კომუნისტების საყვარელ ადგილს წარმოადგენს ძაოინ-ხუბეის რაიონი". შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ უკანასკნელ თვეში კომუნისტები 8 ქალაქს დაესხნენ თავსაო.

„შანხაი ტაიმსი" თავისი მხრივ იუწყება, რომ გუანსის პროვინციაში შეთქმულება აღმოაჩინეს. სიკვდილით დასაჯეს ყველა დაპატიმრებული, რომელთაც შეთქმულება ბრალდებათ.

გაზეთების ცნობით კომუნისტების დაქსაქსული ჯგუფები გაერთიანდნენ და აჯანყება მოაწყეს გუანდუნის ჩრდილოეთ ნაწილისა და ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილის სანაპირო რაიონებში იმ მიზნით, რომ გამაგრებულიყვნენ ქალაქებში იჩუანსა და იშაო ჩეოუში. ამ რაიონის მოსახლეობის 80-90 პროცენტი, ასე თუ ისე, მონაწილეობას იღებდა კომუნისტურ მოძრაობაში. ეს გარემოება საგრძნობლად ადვილებდა კომუნისტების მდგომარეობას. 4 გაერთიანებულ ჯგუფში საერთოდ ითვლებოდა 10.000 კაცი. მათ შეუერთდა ჩენ-ჩიენის განიარაღებული ჯარი. ქალაქები იჩუანი, შანძინი და შაოჩჟოუ ალყაშემორტყმულია ამ ჯარებით. გაზეთის ცნობით, ჩენ-ჩიენის (გუანსის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც ჰფლობს ხუნანის პროვინციას) მე-6 არმიაში ამბოხება მოხდა. ჩენ-ჩიენი დაპატიმრებულია. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჯარების ცალკე ნაწილებმა უფროსები გადახვეწეს, ძიანსის და ანხუეის პროვინციების გზით ნანკინისაკენ გაემართნენ და შეუერთდენ ჩან კაი-შის. (ადს).

„უშიშროების" კომიტეტში

გერმანიის წინადადებათა განხილვა

ჟენევა, 3 ივლისი. მოხდა უშიშროების კომიტეტის მეოთხე სხდომა. საბერძნეთის წარმომადგენლის პოლიტისის მოხსენებით კომიტეტმა მიიღო არბიტრაჟისა და შეთანხმების პროცედურის ტიპიური კონვენციების სამი პროექტი. ამავე დროს კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი ურჩევს ერთა ლიგას სესიას, მოიწონოს ეს პროექტები.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ გაგრძელდა კამათი გერმანიის წინადადებათა გარშემო. გერმანიის წინადადების მეორე მუხლის განხილვის დროს საფრანგეთის, პოლონეთის და მცირე ანტანტაში შემავალი ქვეყნების ჯგუფი კვლავ იცავდა უკანასკნელ სხდომაზე წარდგენილ თავის მოთხოვნილებას ერთა ლიგის საბჭოს კომპეტენციის გაფართოების შესახებ იმ მხრივ, რომ მას, თუ ომის საფრთხე წამოიჭრება, მიენიჭოს არა მარტო კონტროლის, არამედ სანქციის უფლებაც.

ინგლისის, იტალიის და გერმანიის წარმომადგენელთა ჯგუფმა მკაცრად გაილაშქრა გერმანიის წინადადებათა ასეთი განმტკიცების წინააღმდეგ. ინგლისის წარმომადგენელმა **კუშენდენმა** წინადადება შეიტანა, რომ კომიტეტის სხდომებზე კენჭი ეყარათ ორივე წინადადებისათვის სარედაქციო კომისიაში გადაცემამდე. ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა **ბენეშმა** და საფრანგეთის წარმომადგენელმა **პოლ ბონკურმა** წინადადება შეიტანეს, რომ მთელი საკითხი კენჭის უყრელად გადაეცეს სარედაქციო კომისიას იმ მიზნით, რომ სარედაქციო კომისიამ გამოსძებნოს საკითხის კომპრომისული გადაჭრა. ბენეშის წინადადება მიღებულ იქნა. მესამე პუნქტის განხილვის დროს კაშენდენმა წარადგინა ამ პუნქტის თავისი რედაქცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ, თუ ომი ატყდება, ერთა ლიგის საბჭოს შეუძლია მოითხოვოს სამხედრო მოქმედების დაუყოვნებელი შეწყვეტა და დააწესოს ნეიტრალური ზონები. გერმანიის წარმომადგენელმა **ფონ-ზიმსონმა** განაცხადა, რომ თუმცა გერმანია წინადადებას იძლეოდა, ასეთ შემთხვევებში დროებითი ზავი ჩამოვარდნილიყო, მაგრამ ის მაინც წინააღმდეგი არ არის კაშენდენის რედაქციისა.

მეოთხე მუხლის განხილვის დროს ყველა დელეგატმა ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ომის საფრთხე წარმოიშვა, საბჭომ ყველა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღოს, დაინტერესებული მხარეების გამოკლებით.

კომიტეტის დადგენილებით გერმანიის ყველა წინადადება სარედაქციო კომისიას გადაეცა.

ჟენევა, 3 ივლისი. უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მიღებულია ურთიერთ დახმარებისა და თავდაუსხმელობის შეთანხმებების ტიპიური პროექტები. პროექტის განხილვის დროს **მუნირ-ბეიმ** თურქეთის დელეგაციის სახელით გააკეთა განცხადება, რომელშიაც, მიუთითა რა თურქეთ-საბჭოთა, გერმანია-საბჭოთა და იტალია-თურქეთის შეთანხმებებზე, აღნიშნა ტიპიურ შეთანხმებებში ნეიტრალიტეტის პრინციპის შეტანის აუცილებლობა. მუნირ-ბეიმ განაცხადა აგრეთვე, რომ თურქეთის დელეგაცია თავს შეიკავებს ერთა ლიგის კომპეტენციის გაფართოების წინადადებების კენჭის ყრის დროს, ვინაიდან თურქეთის დელეგაცია წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც არ შედის ერთა ლიგაში.

მუნირ-ბეის იმ წინადადების საპასუხოდ, რომელიც ნეიტრალიტეტის საკითხს შეეხებოდა, კომიტეტის თავმჯდომარემ ბენეშმა განაცხადა, რომ ამ „წინადადებას შეაქვს ახალი ელემენტები" და ამიტომ მისი განხილვა ამჟამად შეუძლებელია, წინადადებას განიხილავს ან ერთა ლიგის სესია ან უშიშროების კომიტეტის უახლოესი სესია. (ადს).

გერმანიის მთავრობის დეკლარაცია *)

ბერლინი, 3 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ რეიხსკანცლერი **ჰერმან მიულერი** რეიხსტაგში გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა:

„გერმანიის საგარეო პოლიტიკა მისწრაფვის მშვიდობიან შეთანხმებისაკენ და უარყოფს რევანშის იდეას. ამ ნიადაგზე ჩვენ მომავალშიაც შევეცდებით უზრუნველვყოთ გერმანიისათვის თანასწორუფლებიანი მდგომარეობა სახელმწიფოებს შორის და ხელს შეუწყობთ ევროპის პოლიტიკურ და სამეურნეო კონსოლიდაციის და გულწრფელ თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის.

უმნიშვნელოვანეს საკითხებს შორის პირველ ყოვლისა დავასახელებ გერმანიის დაპყრობილ ოლქების — რეინის და საარის ოლქის — განთავისუფლების საკითხს. მთელი გერმანიის ხალხი და მასთან ერთად გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნილება ამ ოლქების დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ სავსებით დასაბუთებულია, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც დაკავებული აქვთ ეს ოლქები, ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები უკანასკნელ წლების პოლიტიკურ განვითარებიდან, რამდენადაც ჯერ არ არის მიღწეული პრაქტიკული შედეგები ოკუპაციის შეწყვეტის საკითხში.

გერმანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ლოიალურად ითანამშრომლოს ყველა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დგას ერთა ლიგის წინაშე.

ჩვენ პირველ რიგში გვაინტერესებს საყოველთაო განიარაღების საკითხი".

შემდეგ მიულერმა აღნიშნა, რომ გერმანიის განიარაღება განხორციელებულია ბოლომდე და მიუთითა, რომ გერმანიამ ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას და მრავალ ხელშეკრულებებს არბიტრაჟის შესახებ და აგრეთვე მიიღო არასავალდებულო მუხლი კონვენციისა საერთაშორისო უზენაეს სასამართლოს შესახებ ჰააგაში (ხსენებული მუხლი აწესებს ამ სასამართლოს იძულებითი იურისდიქციას უფლებრივ საკითხებში).

მიულერმა აღნიშნა აგრეთვე, რომ უშიშროების კომიტეტში, რომელიც დაარსებულია განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მიერ, გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც მთლიანად მიიღო კელოგის წინადადება „ომის ამკრძალავ" ხელშეკრულების დადების შესახებ. „ყველაფერი ეს ჩვენ გვაძლევს უფლებას და გვავალებს,— განაცხადა მიულერმა, — გადაჭრით წამოვაყენოთ მოთხოვნილება, რათა სერიოზულად ცდით იქნეს განხორციელებული საყოველთაო განიარაღება — ერების ეს ყველაზე უფრო მხურვალე ოცნება. მსოფლიომ უნდა აღიაროს, რომ შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა, როცა განიარაღებული გერმანია იმყოფება თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ სახელმწიფოებს შორის. ერთა ლიგის უახლოესი სესიის ამოცანას წარმოადგენს იმ გზების გამორკვევა, რომლითაც უნდა წავიდეს ერთა ლიგა მომავალში ამ უაღრესად სერიოზულ საკითხში".

გადადის რა შემდეგ რეპარაციების საკითხზე, მიულერი აცხადებს:

„დაუესის გეგმის და ლონდონის შეთანხმებების საშუალებით სარეპარაციო საკითხმა დაჰკარგა პოლიტიკური ხასიათი და გადაიქცა ფინანსიურ - ეკონომიურ საკითხად. გერმანია დროზე და სისწორით ასრულებდა თავის სარეპარაციო ვალდებულებებს. სარეპარაციო საკითხის საბოლოოდ მოწესრიგებისათვის საჭიროა, რათა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები სათანადო შორსმჭვრეტელობით ეპყრობოდენ ამ საკითხს და აგრეთვე მიდიოდენ ურთიერთ შეთანხმების გზით გონიერ სამეურნეო პოლიტიკის მეთოდების მიხედვით. თავისთავად ცხადია, ამისთვის საჭიროა აგრეთვე გერმანიის ხალხის სასიცოცხლო ინტერესების სათანადოთ უზრუნველყოფა".

შემდეგ მიულერი გადავიდა საშინაო პოლიტიკის საკითხებზე. მიულერმა აღნიშნა, რომ საჭიროა „გერმანიის საერთო კონსტიტუციის განვითარება დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით" და განაცხადა, რომ მთავრობა დერეიხსტაგში შეიტანს კანონპროექტს ეხლანდელი კონსტიტუციის მიღების დღის გამოცხადების შესახებ უქმე დღეთ და აღნიშნა, რომ საჭიროა საარჩევნო უფლების რეფორმა. საარჩევნო უფლება შეინარჩუნებს არჩევნების არსებულ სისტემას, მაგრამ შექმნის მჭიდრო კავშირს დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის, რაც ამჟამად არ არსებობს.

დასასრულ მიულერმა განაცხადა: „ახალი კაბინეტის დაწვრილებითი პროგრამა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა დამთავრდება კრიზისების ხანა და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად მტკიცე იქნება, რომ მთავრობა შესძლებს მთელი თავისი ენერგია მოანდომოს დასახულ ამოცანების განხორციელებას". (ადს).

რას ამბობენ დეკლარაციის შესახებ

ბერლინი, 3 ივლისი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ დეკლარაცია, რომელიც მთავრობამ წარუდგინა რეიხსტაგს, გამოხატავს, როგორც მთავრობის მერყეობას, ისე აგრეთვე ყველა იმ მოლაპარაკებათა ხასიათს, რომლებიც წინ უძღოდა მთავრობის შედგენას.

ხსენებულ წრეების აზრით, თუმცა მიულერი თავის მეტად მოკლე სიტყვაში შეეხო მრავალ საკითხებს, მაგრამ ის უმთავრესად დაკმაყოფილდა საერთო ფრაზებით და განსაკუთრებული სიფრთხილით მიუდგა იმ საკითხებს, რომლებიც წარმოადგენს უთანხმოების საგანს სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. კომუნისტების სკამებზე ეს იწვევდა რეპლიკებს ადგილებიდან და სიცილს.

კამათი მთავრობის დეკლარაციის გარშემო დაიწყება ოთხშაბათს. კომფრაქციის სახელით გამოვა **ევერტი**, სოციალ-დემოკრატებში — **ბრეიტშეიდი**. (ადს).

რეიხსტაგის კომფრაქციის წინადადება

ბერლინი, 3 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ მოითხოვა, რომ მთავრობის დეკლარაციასთან ერთად განხილული იქნას მისი წინადადებანი ახალი ჯავშნოსნის აგებაზე ხელის აღების, ხელფასზე გადასახადის შემცირების, შრომის კონფლიქტების სამედიატორო გარჩევის გაუქმების და რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. მან მოითხოვა აგრეთვე, რომ განხილულ იქნას მისი წინადადება, რომელიც მიმართულია ნახშირსა და რკინაზე ფასების აწევის წინააღმდეგ. შემდეგ კომფრაქციამ რეიხსტაგში შეიტანა კანონპროექტი ფეხმძიმეთა და მშობიარეთა ინსტიტუტების დაცვის შესახებ. მან მოითხოვა აგრეთვე იმ კანონების გაუქმება, რომლებითაც ისჯება აბორტი, და ამნისტია იმ პირთათვის, ვისაც მსჯავრი აქვს დადებული ამ კანონების ძალით. (ადს).

---

*) ვათავსებთ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემულს უფრო ვრცელ რედაქციით.

ინდოეთის პროლეტარიატის მოთხოვნილება

ქაბული, 3 ივლისი. „ინდუსტან ტაიმს"-ის ცნობით, ივნისში ნადპურში (სამხრეთ-ინდოეთი) შესდგა მუშურ-გლეხური ბლოკის ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა იმპერიალიზმთან ბრძოლის ლოზუნგით. ორატორები მიუთითებდენ საგაფიცვო მოძრაობის განვითარებაზე ინდოეთში და აღნიშნავდენ რომ ეს მოძრაობა მოწმობს ინდოეთის პროლეტარიატის გამოფხიზლებას და აგრეთვე იმას, რომ ინდოეთის მუშები მზად არიან იბრძოლონ ცხოვრებისა და შრომის უკეთეს პირობებისათვის. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციები, რომლებშიაც ინდოეთის მუშებსა და გლეხებს მოუწოდებს იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ბოიკოტი გამოუცხადონ საიმონის კომისიას. რეზოლიუციებში წამოყენებულია მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებები. კონფერენციამ, სხვათა შორის მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ინდოეთის ხელისუფლების მიერ ინგლისის მუშათა მოძრაობის მოღვაწის სპრატის დასჯის წინააღმდეგ (ადს).

„პროსტიტუტკების სეიმი"

პილსუდსკი თავისი გადადგომის მიზეზების შესახებ *)

ვარშავა. 3 ივლისი. ვარშავის ზოგიერთ გაზეთებში კვირას გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ პილსუდსკისთან, ამ ინტერვიუში პილსუდსკი ახსნა-განმარტებას იძლევა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომის მიზეზების შესახებ.

პილსუდსკი აღნიშნავს, რომ მისი გადადგომის მიზეზი სრულიადაც არ ყოფილა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ექიმების აზრით, დამაკმაყოფილებელია.

შემდეგ პილსუდსკი აღნიშნავს, რომ არ შესუსტდა აგრეთვე მისი მუშაობის უნარი და აცხადებს, რომ გადადგომის ნამდვილი მიზეზები მდგომარეობს თვით პრემიერის თანამდებობის ხასიათში და პოლონეთის პარლამენტის მუშაობის მეთოდში.

პილსუდსკი რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებებს ადარებს პრემიერ მინისტრის უფლებებს და აღნიშნავს, რომ პოლონეთის კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი სახელმწიფოს უზენაესი წარმომადგენელია. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის პრეზიდენტს არავითარი უფლებები არ აქვს.

„ეს ნიშნავს იმას,—ამბობს პილსუდსკი,—რომ ერი კონსტიტუციის საშუალებით მის მიერ არჩეულ კაცს, რომელიც პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე, ისე საზიზღრად ექცევა, როგორც არავინ არ ეპყრობა თავის ხასასაც კი".

პილსუდსკი იგონებს წარსულ დროს, როცა ის იყო „სახელმწიფოს უფროსი" და სეიმი ყოველ ნაბიჯზე ზღუდავდა მის მუშაობას. პილსუდსკი ამბობს, რომ იმ პერიოდში ის ეკითხებოდა თავის თავს: „უმჯობესი იქნება თუ არა პირდაპირ გავრეკო, ეგრედ წოდებული, სუვერენული სეიმი, რომელიც წარმოადგენს პროსტიტუტკების სეიმს და გამარჯვებულის ჩექმით გავსრისო ის, როგორც ეს მან დაიმსახურა, თუ თავის თავის ანაბარა დავსტოვო პოლონეთი?"

პილსუდსკის აზრით, რომ მას მაშინ გაერეკა სეიმი, პოლონეთში აღარ მოხდებოდა გადატრიალება 1926 წლის მაისში.

პილსუდსკი განაგრძობს: „პროსტიტუტკების სეიმმა კარგად იცოდა, რომ რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტად იქნება ხალხში უაღრესად პოპულიარული კაცი, რომელსაც არასოდეს არ გამოუჩენია სიხარბე ფულისადმი და რომელმაც თავისი ძლევამოსილი ომით და თავისი ძლიერი ხასიათით გამოიყვანა პოლონეთი ქაოსიდან და მისცა მას გაცილებით უფრო ფართე საზღვრები, ვინემ იმათ, ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა მის შესახებ, სწორედ ამიტომ სეიმმა მიიღო კონსტიტუცია, რომელსაც პილსუდსკი უწოდებს „უცნაურსა და სულელურს", განსაკუთრებით კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებებს და რწმუნებებს.

პილსუდსკი სეიმის მუშაობას ადარებს იმ „ორთქლმავალის მუშაობას, რომელიც ცდილობს ადგილიდან დასძრას ქინძისთავი". „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად" პილსუდსკი დასძენს: „პოლონეთის დიქტატორად ყოფნის დროს მე მოვიწვიე სეიმი. მე მქონდა შესაძლებლობა გამერეკა და გამესრისა პროსტიტუტკების სეიმი, მაგრამ ეს მე არ ვქენი. პრემიერად ყოფნის დროს მე ყოველთვის უფრო კონსტიტუციურად ვიქცეოდი, ვინემ თვით სეიმი, ამიტომ არავის არ შეუძლია ბრალი დამდოს დემოკრატიულ პრინციპების შელახვაში".

პილსუდსკი აცხადებს, რომ ასეთ პირობებში ის დადგა შემდეგი არჩევანის წინაშე: უარის თქმა სეიმთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე და წინადადების მიცემა პრეზიდენტისათვის თავზე მოახვიოს პოლონეთს ახალი კანონები ან უარის თქმა პოლონეთის პრემიერის თანამდებობაზე, ვინაიდან პრემიერი ვალდებულია ითანამშრომლოს სეიმთან.

პილსუდსკი აცხადებს, რომ მან აირჩია მეორე გამოსავალი. (ადს)

---

*) ვათავსებთ ა.-კ. დეპ. სააგენტოს მიერ გადმოცემულს უფრო ვრცელი რედაქციით.

მაკდონალდი—იმპერიალიზმის სადარაჯოზე

მუშათა კონფერენცია ინგლისში

ლონდონი. 3 ივლისი. გაიხსნა ეგრედ წოდებული „მუშათა საიმპერიო კონფერენცია".

კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია ინგლისის მუშათა პარტიის ინიციატივით, მონაწილეობას იღებენ ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილების ორგანიზაციები და პროფკავშირთა გაერთიანებები.

ინგლისის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან გენსაბჭოს, ტრედ-უნიონთა კონგრესის, მუშათა პარტიის აღმასკომის და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გამოჩენილი წარმომადგენელნი.

კონფერენცია გაიხსნა **მაკდონალდის** მისასალმებელი სიტყვით, რომელიც უმთავრესად ეხებოდა იმპერიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების და იმპერიის შიგნით გადასახლების საკითხებს.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა პარტია მიზნად ისახავს „შექმნას და ავლოს მუშათა პარტიის დიადი ეკონომიური პოლიტიკა იმპერიის მასშტაბით".

კოლონიების შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ძველი ლიბერალური პოლიტიკის, რომელიც აყენებდა ინგლისელების მიერ კოლონიების სრულიად დატოვების ლოზუნგს.

„ეს ერები,—განაცხადა მაკდონალდმა (ლაპარაკობდა კოლონიალურ ერებზე), — მერყევ წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფებიან და ჩვენი წასვლა კოლონიებიდან ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათ ბედს ვანდობთ ყოველ ტალღას, რომელიც მიეხეთქება მათ ნაპირს".

მაკდონალდის სიტყვას მკაფიოდ გამოხატული იმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა.

კანადის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წარმომადგენელმა კვინმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია საგარეო პოლიტიკას უყურებს, როგორც ნიღაბ-აფარებულ ბრძოლას კაპიტალისტებს შორის.

ინდოეთის ტრედუნიონთა კონგრესის წარმომადგენელმა **ენდრიუსმა** განაცხადა, რომ ინდოეთის ხალხმა უნდა მიიღოს საგარეო პოლიტიკის საქმეებში კონტროლის უფლება.

ცეილონის მუშათა კავშირის წარმომადგენელი დე-სილვა მოითხოვდა, რათა დომინიონებს მიეცეს წარმომადგენლობა ინგლისის პარლამენტში, ან იმ სამინისტროებში, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ინგლისის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის პრესა პილსუდსკის ინტერვიუს შესახებ

მოსკოვი, 4 ივლისი. „იზვესტია"-ს საკუთარი ვარშაველი კორესპონდენტი, **ბრატინი** იძლევა პოლონეთის პრესის მოკლე მიმოხილვას პილსუდსკის ინტერვიუს შესახებ.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „რაბოტნიკი" ცენზურის შემდეგ გამოვიდა თეთრი სვეტებით. გაზეთმა ვერ შესძლო თავის დაპირების გამართლება იმის შესახებ, რომ მისცემდა სათანადო შეფასებას პილსუდსკის ინტერვიუს. „რაბოტნიკი"-ს პირველ გამოცემას პოლიციამ კონფისკაცია უყო. გაზეთის ამ გამოცემაში მოთავსებული იყო მოწინავე და პოლონეთის სოციალისტური პარტიის რეზოლიუცია პილსუდსკის ინტერვიუს შესახებ.

„რაბოტნიკი" აღნიშნავს, რომ პილსუდსკის სიტყვები წარმოადგენენ მუქარას სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. პოლონეთის სოციალისტური პარტიის სეიმის ფრაქცია იზიარებს პილსუდსკის ინტერვიუს ამგვარ შეფასებას და აცხადებს, რომ ის მზად არის დაიცვას დემოკრატია.

გაზეთი „კრაკოვსკი კურიერ"-ი სწერს: პილსუდსკის ინტერვიუ წარმოადგენს პოლონეთის ისტორიის ახალი პერიოდის პროლოგს.

მიულერის დეკლარაციით მენშევიკებიც კი უკმაყოფილოა

მოსკოვი, 4 ივლისი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი ვაიტი იტყობინება: მთავრობის დეკლარაციის სამი მეოთხედი მიძღვნილი აქვს საშინაო საკითხებს. საერთაშორისო საკითხებს ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამოკიდებულების შესახებ კი დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი. სამაგიეროთ ძალიან ბევრია სხვადასხვა წვრილმანები, მთავარი საკითხები კი სიტყვების ბურუსშია გახვეული.

დეკლარაციის სოციალურ პროექტების ნაწილი ბურჟუაზიული ბლოკის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ამავე დროს მიულერი თავის დეკლარაციაში მეტისმეტყველურად სდუმს ახალი ჯავშნოსნის აგების შესახებ. საერთო აზრი ასეთია, რომ დეკლარაცია წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის კაპიტულიაციას კოალიციონურ პარტნიორების წინაშე.

დეკლარაციამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თვით სოციალ-დემოკრატიულ წრეებშიაც კი.

კონკურსი საუკეთესო მშენებლობაზე

მოსკოვი, 4 ივლისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აწყობს კონკურსს მთელი კავშირის მასშტაბით საუკეთესო მშენებლობაზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებათ შეიძლება ჩაეწეროს ყველა დასრულებული და დაუსრულებელი მშენებლობანი, რომელთაც აწარმოებენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოები.

ღვინისა და ხილის ფასები

მოსკოვი, 4 ივლისი. ღვინისა და ხილის გამსაღებელ ორგანოების წარმომადგენელთა კრებამ აღნიშნა რომ მოსკოვში ღვინისა და ხილის ბაზარი მოუწესრიგებელია, რაც კერძო ვაჭრებისათვის ქმნის სპეკულაციის ფართე შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, სათანადო ორგანოები ბალს ადგილობრივად იძენენ 5 კაპეიკათ 400 გრამს. მოსკოვის ბაზარზე კი 400 გრამი ბალი იყიდება 40 კაპეიკათ. ამავე წონის ღვინოს ადგილობრივად იძენენ 12 კაპეიკათ, მოსკოვში-კი ის ღირს 1 მან. 50 კაპ.

ღვინითა და ხილით მოვაჭრე ორგანიზაციის წარმომადგენელთა თათბირი მოითხოვს, რომ ამგვარ უმსგავსობის წინააღმდეგ მიღებულ იქნეს რადიკალური ზომები. ამისათვის საჭიროა ღვინით და ხილით მოვაჭრე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებს მეტი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენმა საკრედიტო ორგანოებმა. არსებული მდგომარეობა, როცა საბრუნავო თანხის უქონლობის გამო ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ღვინისა და ხილის ბაზარზე ხშირად უკან რჩებიან კერძო პირებს, დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს.

დიდი ოპერის თეატრში

მოსკოვი, 4 ივლისი. მოსკოვის დიდი ოპერის თეატრმა წარსული სეზონი დაასრულა 800.000 მანეთის დეფიციტით.

განათლების სახალხო კომისარიატმა აღადგინა ოპერის ის თანამშრომელნი, რომელიც თეატრის ადმინისტრაციამ დაითხოვა დირიჟორ გოლოვანოვის ანტისაზოგადოებრივ გამოსვლების გამოაშკარავების გამო.

სრულიად საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 4 ივლისი. ფიზკულტურის საბჭო გაცხოველებულ სამზადისს აწარმოებს სრულიად საკავშირო სპარტაკიადისათვის. წინასწარი ჩაწერა, სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებათ, უკვე დასრულებულია. სულ მონაწილეობას მიიღებს 5.000 სხვადასხვა ორგანიზაცია.

სოვკინო ემზადება ფიზკულტურის საკავშირო დემონსტრაციის გადაღებისათვის. ამას გარდა ეწყობა სპეციალური გამოფენა: „ფიზკულტურის ათი წლის მიღწევები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა და სკანდინავიის მეტყავეთა ძმური თანამშრომლობა

მოსკოვი, 4 ივლისი. მეტყავეთა სკანდინავიის კავშირმა იკისრა იმის ინიციატივა, რომ 12 ივლისს კოპენჰაგენში მოიწვიოს ნორვეგიის, შვეციის, დანიის, ფინეთის და საბჭოთა კავშირის მეტყავეთა, მეუნაგირეთა და ფეხსაცმელების მკერავთა კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს საკითხს წარმოდგენილ კავშირებს შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის აღდგენის შესახებ. (ადს).

პუანკარე — ომის „მშვიდობიანი“ სიტყვები

პარიზი, 3 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ამერიკის სავაჭრო პალატაში პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ 1919 წ. კაცობრიობის ბედი სწყდებოდა არა ამერიკაში, არამედ საფრანგეთის ტერიტორიაზე. პუანკარემ დასძინა, რომ საფრანგეთი, რჩება რა ერთგული წესდებისა და მის მიერ დადებულ ცალკე ხელშეკრულებების ერთგული, არასოდეს არ გაუშვებს შემთხვევას დაგმოს შეტევითი ომები და ყოველთვის მზადაა ყოველგვარი ზომები მიიღოს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს იმის განახლებას“. (ადს).

ჩან-კაი-შის და ენ-სი-შანის განცხადება

პეკინი, 4 ივლისი. ჩან-კაი-შიმ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩინეთის დედა ქალაქი გადატანილი იქნება ნანკინში. ენ-სი-შანმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ განზრახული სამხედრო კონფერენცია მოწვეული იქნება პეკინში ფინ-იუ-სიანის ჩამოსვლისთანავე (ადს).

ცენზურის გაუქმება

პეკინი, 4 ივლისი. ნანკინის მთავრობის მიერ ფრონტის ახლო მდებარე რაიონების სამმართველოდ დანიშნულმა კომისიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გაუქმებულია ცენზურა პრესაზე (ადს).

რუმინეთის ოხრანკის პროვოკაცია

ვენა, 4 ივლისი. როგორც „დიმინეაცა“ იუწყება, კიშინიოვში მოკლეს რუს ემიგრანტების ორგანო „უტრო“-ს რედაქტორი იაკუბოვიჩი. კიშინიოვის გაზეთები, ოხრანკის დავალების მიხედვით, ამტკიცებენ, თითქოს იაკუბოვიჩი მოკლეს კომუნისტებმა იმის გამო, რომ ის გააფთრებულ კამპანიას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუს ემიგრაციის მონარქისტულ მოძრაობაში (ადს).

დემონსტრაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. 4 ივლისი. 4 ივლისს (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე,—რომლის გადახდასაც ყოველწლობით სულ უფრო და უფრო მეტი შოვინისტური ხასიათი ეძლევა) წინა დღით შესდგა დემონსტრაცია „იმპერიალიზმთან ბრძოლის“ ლოზუნგით. დემონსტრანტებმა გაიარეს ნიუ-იორკის მთავარ სავაჭრო და საქმიან ქუჩებზე. პოლიციამ ჯოხებით გაფანტა დემონსტრანტები. დაპატიმრებულია 22 კაცი, მათ შორის „დეილი ურკერ“-ის (ამერიკის კომპარტიის ორგანო) რედაქტორი მინორი. მუშა ქალთა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ცნობილი მოღვაწე გიტლოუ და სხვ. (ადს).

ჩან-სუე-ლიანი ერთგულებას აღუთქვამს ნანკინს

პეკინი, 4 ივლისი. გაზეთ „ში-ცზი-ვენბაო“-ს ცნობით ჩან-სუე-ლიანმა ნანკინში გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც ერთგულებას აღუთქვამს ნანკინის მთავრობას. (ადს).

კლემმის გაქცევა სატუსაღოდან

ბერლინი, 3 ივლისი. პოლიციის ცნობით, კომუნისტი კლემმი, რომელსაც 1924 წ. მიუსაჯეს 12 წლის საკატორღო მუშაობა, გაიქცა რემშეიდის სატუსაღოს საავადმყოფოდან, სადაც ის გადაყვანილი იყო ოპერაციის შემდეგ. (ადს).

ამანულა-ხანი დაბრუნდა ქაბულში

ტრაქტორები და ჯავშნიანი ავტომობილები

ქაბული, 3 ივლისი. ინდოეთის გაზეთ „ფორვარდ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი წერილში ფადიშაჰ ამანულას მოგზაურობის შესახებ ერთმანეთს უპირდაპირებს ევროპის სახელმწიფოების მიერ გამოჩენილ ტენდენციებს და იმ დიდ სისადავეს და ღირსებას, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა კავშირმა ფადიშაჰის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის დროს. ევროპაში ცდილობდნენ ეჩვენებინათ ფადიშაჰისათვის სამხედრო ძლიერება, საბჭოთა კავშირში კი ადგილი ჰქონდა სულ სხვა ხასიათის შეხვედრას.

„საბჭოთა მთავრობამ — სწერს კორესპონდენტი, — ფადიშაჰს უძღვნა ორი საბჭოთა კავშირში დამზადებული, ტრაქტორი. საჩუქარი ახასიათებს ახალი რუსეთის მისწრაფებას. საბჭოთა კავშირში ფადიშაჰს ტრაქტორები აჩუქეს, იტალიაში — ჯავშნიანი ავტომობილი, გერმანიაში — აეროპლანი, ხოლო ინგლისმა შესთავაზა სამხედრო შეთანხმება და სესხი ხელსაყრელ პირობებში. ამანულა ვერ გაიტაცა სახარბიელო პირობებმა. მაშინ ინგლისი შეეცადა ხელი შეეშალა ფადიშაჰის საბჭოთა კავშირში გამგზავრებისათვის“ (ადს)

პირმოთნეობამ არ უშველათ

ქაბული, 3 ივლისი. ინდოელ ნაციონალისტების ორგანო „ინდუსტან ტაიმს“-ი სწერს: „მიუხედავად ინგლისის პირმოთნეობისა, ავღანისტანის შორსმჭვრეტელმა მმართველმა გადასწყვიტა არ იქონიოს ინგლისთან არაფერი საერთო. ავღანისტანის სამხედრო, ადმინისტრატიულ, საფინანსო და სამრეწველო რეორგანიზაციის საქმეში“. (ადს).

ნობილის ჯგუფის დასახმარებლად

ბაბუშკინი დაბრუნდა „მალიგინზე“

ყინულისმჭრელი „მალიგინ“-ი, 4 ივლისი. დილის 10 საათსა და 30 წუთზე დაბრუნდა ბაბუშკინი. აეროპლანი ხუთი დღე და ღამე ებრძოდა ქარსა და ყინულებს. 29 ივნისს აეროპლანი იძულებული გახდა დაშვებულიყო ოკეანეზე ასი კილომეტრის მანძილზე იმედის კუნძულის ჩრდილოეთით. ბაბუშკინი ამაოდ დაეძებდა „მალიგინ“-ს ძველ ადგილზე, შემდეგ ყინულზე დაეშვა და ეკიპაჟი გადავიდა მშიერ ულუფაზე. დღევანდელი გამოფრენის დროს ბაბუშკინს განზრახვა ჰქონდა, რომ თუ „მალიგინ“-ს ვერ აღმოაჩენდა, გადაფრენილიყო კარლოსის კუნძულზე. აეროპლანს სასწრაფოდ შლიან. „მალიგინ“-ი სარგებლობს ყინულების დაშლით და ემზადება წასასვლელად იმედის კუნძულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. (ადს).

სად იმყოფება „კრასინ“-ი

მოსკოვი, 4 ივლისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტის ცნობებით, „კრასინ“-ი 3 ივლისს 24 საათზე იმყოფებოდა ჩრდილოეთ განედის 80 გრადუსსა და 51 წუთზე და აღმოსავლეთ სიგრძედის 20 გრადუსსა და 50 წუთზე, ე. ი. 140 კილომეტრის მანძილზე ნობილეს ჯგუფის სადგომიდან (ადს).

ყინულისმჭრელი „კრასინი“

რომი, 3 ივლისი. საბჭოთა ყინულისმჭრელი გემი „კრასინი“ მივიდა სრუტეში შვიდ კუნძულსა და სკორობეის კუნძულს შორის. ამ სრუტეში ყინულისმჭრელი შეხვდა მეტად სქელ ყინულებს და დიდი გაჭირვებით მიიწევს წინ. (ადს).

ამუნდსენის ძებნა უშედეგოა

ოსლო, 4 ივლისი. დათვის კუნძულის რაიონში გემები აწარმოებდნენ ამუნდსენის, დიტრიხსენის და გილბოს ძებნას. ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. (ადს).

რადიო „ლატამი“-დან?

ოსლო, 3 ივლისი. გაზ. „აფტენ-პოსტენ“-მა ტრომსოდან მიიღო დეპეშა, რომ, თითქოს, ინგლისის იახტამ ტრომსოდან 15 კილომეტრის მანძილზე მიიღო რადიო ჰაეროპლან „ლატამი“-დან, რომელზეც იმყოფებიან ამუნდსენი, დიტრიხსენი და გილბო.

ტრომსის მეტეოროლოგიურ სადგურს ასეთი ცნობა არ მიუღია და საჭიროდ სთვლის სიფრთხილით მოეპყრან ცნობას (ადს).

რადიო-კავშირი ვალერისთან

რომი, 3 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ვალერისთან რადიო-კავშირი კვლავ აღდგენილია. ყინულის მდგომარეობა იცვლება ამინდის მიხედვით.

3 ივლისს დილით შვეციის ჰაეროპლანები გაფრინდნენ ვალერის ჯგუფის მიმართულებით, მაგრამ ნისლის გამო იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ უკან. (ადს).

ამუნდსენის აეროპლანი?

ოსლო, 4 ივლისი. იმ ცნობის გამო, რომ დათვის კუნძულის მახლობლად დაუნახავთ ამუნდსენის აეროპლანი „ლატამ“-ი, ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გამოარკვია შემდეგი: გემიდან 19 ივნისს დილით დაინახეს ნაცრის ფერი ბიპლანი, რომელიც მიფრინავდა 200 მეტრის სიმაღლეზე. მეთევზე, რომელმაც ეს განაცხადა, წავიდა სათევზაოდ ცნობის პრესაში გამოქვეყნებამდე. ხელისუფლება ისევ აწარმოებს გამოძიებას. „ლატამ“-ი ერთად ერთი ბიპლანია ამ რაიონში, ვინაიდან ყველა დანარჩენი იქ მყოფი აეროპლანები — მონოპლანებია. (ადს).

ოსლო, 4 ივლისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ცნობები ამუნდსენის გემის ბედის შესახებ მოკლებულია საფუძველს. (ადს).

შახტის პროცესი

3 ივლისის დილის სხდომა

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა

მოსკოვი, 4 ივლისი. ბრალდებული ბოიარშინოვი უკანასკნელ სიტყვაში აღიარებს იმ უდიდეს შეცდომას, რომელიც მან ჩაიდინა: როცა მან შეიტყო კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობა, არ მიუღია ზომები ამ ორგანიზაციის მოსასპობად. ბოიარშინოვი არწმუნებს სასამართლოს, რომ ის არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების მტერი და თავის მუშაობას სავსებით პატიოსნად ასრულებდა. მას სჯერა, რომ პროლეტარული სასამართლო გამოიტანს მის მიმართ ისეთ განაჩენს, რომელიც მან დაიმსახურა.

ემელიანე კოლოდუბი ამბობს, რომ მას დიდათ არ აშინებს ის გარემოება, რომ პროკურორი მოითხოვს მის ხანგრძლივ იზოლიაციას; მას მხოლოდ ის აწუხებს, რომ შეიძლება იგი დაისაჯოს იმ საქმისთვის, რომელშიაც მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, და ამიტომ ითხოვს გამართლებას.

ანდრია კოლოდუბი, აღნიშნავს რა, რომ ბრალმდებელი მოითხოვს მისი სიკვდილით დასჯას, აცხადებს, რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის არც მუშათა კლასისა და არც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. იგი ამბობს, რომ საზიანო მუშაობის შესახებ მან არაფერი იცოდა და არც არავის არ დაუვალებია მისთვის ასეთი მუშაობა, მას არ დაუნახავს საზიანო მუშაობა. ყოველივე ის, რასაც ის აკეთებდა და ხედავდა მიაჩნდა სასარგებლო საქმედ. კოლოდუბი დაწვრილებით ჩერდება თავის მუშაობაზე და აცხადებს, რომ ის ყოველთვის ცდილობდა ემუშავნა კეთილსინდისიერად.

ანდრია კოლოდუბი ითხოვს დააბრუნონ იგი სამუშაოზე.

ბრალდებული სკორუტო ამბობს, რომ მან აღიარა თავისი დანაშაული და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

ბრალდებული მეშკოვი ამბობს, რომ მას არაფერი საერთო არა აქვს არც კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან და არც საზიანო მუშაობასთან. მეშკოვი ამტკიცებს, რომ ის ცნობები, რომლების მიწოდებაშიაც მას ბრალს სდებენ, კარგად იცოდნენ მაღაროების პატრონებმა და არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენენ.

ბაშკინი სასამართლოს სთხოვს შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე და სიტყვას იძლევა, რომ გამოასწორებს თავის დანაშაულსა და იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც მან ჩაიდინა. იგი ითხოვს აგრეთვე მისცენ მას თუნდაც მძიმე ფიზიკური შრომის შესაძლებლობა.

ბრალდებული რაბინოვიჩი ამბობს, რომ მას აბსოლიუტურად არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, არაფერი აქვს მოსანანიებელი და არ სჭირდება არც პატიებისა და არც სასჯელის შემსუბუქების თხოვნა. ის, რაც მოხდა მის მიმართ რაბინოვიჩისათვის წარმოადგენს მოულოდნელ ამოცანას მისი დაპატიმრების დღიდან იმ დღემდე, როცა პროკურორი მივიდა რწმენამდე, რომ აუცილებელია მისი,—რაბინოვიჩის, ფიზიკურად განადგურება. იგი ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებულია ისეთი ბრალდება, რომელიც არ შეეფერება არც მის მოქმედებას და არც მის განზრახვებს. რაბინოვიჩი ამბობს, რომ მთელი ბრალდება ემყარება ვარაუდს და მის წინააღმდეგ არ არის მოყვანილი არც ერთი ფაქტი. მაგრამ რაბინოვიჩს სჯერა, რომ სასამართლო მას გაამართლებს. და თუ მოხდა, რომ ის, სრულიად უდანაშაულო კაცი, მაინც დასაჯეს, მაშინ იგი იფიქრებს, რომ სასამართლომ შეცდომა დაუშვა. თუ შეცდომა უნდა მოხდეს. მაშინ,—სთხოვს რაბინოვიჩი სასამართლოს—ნუ მიუსჯის მას დაპატიმრებას: თუ დამნაშავეა, იგი დიდი დამნაშავე უნდა იყოს და ამ შემთხვევაში ითხოვს სიკვდილით დასჯას.

ბრალდებული კუზმა თავის უკანასკნელ სიტყვაში პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა მისი, კუზმას, მონაწილეობა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში დაასაბუთა იმით, რომ იგი ხარბი და ფულის მოყვარეა. კუზმა ამბობს, რომ იგი ამჟამად, როცა რესპუბლიკა უმაგალითო მიღწევების გზას ადგება, როცა ჩვენ ახალ ცხოვრების მიჯნაზე ვიმყოფებით, მთელ თავის ჭკუას და თავისი ენერგიას უნდა ახმარდეს საბჭოთა რუსეთის შემოქმედებას. კუზმა სთხოვს სასამართლოს გაუშვან იგი ისეთი წმინდა, როგორიც დონბასიდან მოვიდა. ვინაიდან ის უდანაშაულოა.

ბრალდებული იმენიტოვი უკანასკნელ სიტყვაში ამტკიცებს, თავის სრულ უდანაშაულობას და ამბობს, რომ მისი იზოლიაცია იქნება იმ კეთილსინდისიერი საბჭოთა მოქალაქის დასჯა, რომელიც 10 წლის განმავლობაში პატიოსნად მუშაობდა საბჭოთა მშენებლობის ასპარეზზე.

ბრალდებული ალექსანდრე ნეკრასოვი ამბობს, რომ ის არ ყოფილა ორგანიზაციის მონაწილედ და მან არც იცოდა მისი არსებობა, ამიტომ ის არ შეიძლება დაისაჯოს სიკვდილით, რასაც მოითხოვს სახელმწიფო ბრალმდებელი. ნეკრასოვი არწმუნებს სასამართლოს, რომ ის ჭეშმარიტებას ლაპარაკობს, რომ მას ერთი კაპეიკიც არ მიუღია ბერიოზოვსკისაგან და ერთი კაპეიკიც არ მიუცია კალნინისათვის.

სასამართლოს სხდომა შესწყდა საღამომდე.

3 ივლისის საღამოს სხდომა

3 ივლისის საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ყველა დანარჩენი ბრალდებულის, მათ შორის გორლეცკის, იუსევიჩის, მატოვის, სუშჩევსკის, და გერმანიის სამი ქვეშევრდომის—ოტტოს, ბადშტიბერის და მეიერის, საბოლოო სიტყვა. გორლეცკიმ განაცხადა, რომ ის თავს არ სცნობს დამნაშავედ. იუსევიჩმა სთხოვა სასამართლოს გამართლება. მატოვმა პროკურატურის მოთხოვნილება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ აღიარა სწორად, მაგრამ სასამართლოს სთხოვა მაინც მიიღოს მხედველობაში მისი ცოდნა, გამოცდილება და თუ სასამართლო შესაძლებლად დაინახავს, ნება დართოს დაუბრუნდეს რაიმე მუშაობას.

ასევე განაცხადა სუშჩევსკიმ.

ოტტომ განაცხადა, რომ ის არ სცნობს თავს დამნაშავედ საბჭოთა კავშირის კანონების დარღვევაში, და რომ კაზარინოვთან შეხვედრას და გერმანიიდან მიღებული წერილის გადაცემას ნამდვილად ჰქონოდა ადგილი, მაშინ ის ამას აღიარებდა. მეიერმა სთქვა, რომ ვარ დამნაშავე.

ბადშტიბერმა განაცხადა, რომ ის საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საუკეთესო ზრახვებით, მაგრამ შემთხვევით მოექცა მის გარშემო არსებული წრის გამხრწნელი გავლენის ქვეშ. მისი სიტყვით, ის კეთილსინდისიერად, ასრულებდა მუშაობას და იმედი აქვს, რომ ასე მოიქცევა მომავალშიაც.

სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ვიშინსკიმ გამოაცხადა, რომ სასამართლო გადის სათათბიროდ და წინადადება მისცა კომენდატს სათათბირო ოთახის კარებთან დააყენოს შეიარაღებული მცველები და არავინ შემოუშვას ოთახში.

ამხ. ვიშინსკიმ სთქვა, რომ განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს 5 ივლისს დილით.

საბჭოთა მეცნიერების კვირეული

მოსკოვი, 4 ივლისი. უახლოეს დღეებში ბერლინში მოეწყობა „საბჭოთა მეცნიერების კვირეული“. მოხდება საბჭოთა და გერმანელი მეცნიერ-ისტორიკოსების კონფერენცია, რომელსაც აწყობს აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი გერმანული საზოგადოება უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებასთან ერთად.

ბერლინში გაემგზავრენ საბჭოთა მეცნიერ-ისტორიკოსები პოკროვსკი და ადორატსკი. (ადს).

შეღავათები განათლების მუშაკებს

მოსკოვი, 4 ივლისი. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება შეღავათების მინიჭების შესახებ განათლების იმ მუშაკებისათვის, რომლებიც მუშაობენ დაშორებულ ადგილებში. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცემა მთავრობის უმაღლეს ორგანოებს.

განათლების მუშაკთა ცენტრალურმა კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კავშირის ცენტრალურ გამგეობებს საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში, უზბეკისტანში და თურქმენისტანში — შუამდგომლობა აღძრან მთავრობის ორგანოების წინაშე ასეთივე დადგენილებების გამოცემის შესახებ ამ რესპუბლიკების დაშორებული ადგილების შესახებ. (ადს).

საქართველოს ცაკის მეოთხე სესია

მეორე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ფილიპე მახარაძე.

გუშინდელ სხდომაზე ამხ. ვარძიელს მისცეს შეკითხვები, ადგილობრივ ორგანოთა უფლება-მოვალეობის გაფართოვების შესახებ, რის შემდეგაც გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

პროექტის შესახებ ილაპარაკა აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჩანბამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გადასინჯულ იქნეს დადგენილება, რომლის მიხედვით გლეხებს, რომელთაც საქონელი შემოჰყავს ბაზარზე, თან უნდა ქონდეთ მოწმობა, რომ საქონელი მათ ეკუთვნის.



ამხ. გერმან მგალობლიშვილი

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ფინანსთა სახალხო კომისარი

მას პასუხი გასცა ამხ. ვარძიელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სანამ ზოგიერთ რაიონებში ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის საქონლის ქურდობა, აღნიშნული დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს.

ამხ. შალვა მათიკაშვილი

იუსტიციის სახალხო კომისარი

სესიამ მიიღო წარმოდგენილი პროექტი და დაავალა ცაკის პრეზიდიუმს მის საფუძველზე ახლო ხანში გამოსცეს სათანადო კანონი.

შემდეგ, ამხ. ვარძიელმა სესიას გააცნო ის დადგენილებები, რომლებიც მიღებულ იქნა ცაკის პრეზიდიუმის მიერ მესამე სესიიდან მეოთხე სესიამდე.

ყველა ეს დადგენილებები სესიის მიერ დამტკიცებულ იქნა.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის დაარსება

ამხ. ცვანტალიანის წინადადებით ცაკმა დაადგინა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გადაკეთებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად.

ამხ. ვლადიმერ ივანოვ-კავკაზსკი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი

ამხ. გიორგი ყურულაშვილი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. ვალერიან ვაშაკიძე

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი

ცაკის პრეზიდიუმს დაევალა გამოსცეს და სამოქმედოთ შემოიღოს დებულება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ცვლილებები სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში

ამხ. ცვანტალიანის წინადადებითვე სესიამ დაადგინა:

განთავისუფლებულ იქნეს ამხ. სიმონ ბილატეს ძე ჯუღელი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნული იქნენ ამხ. გერმან ანდრიას ძე მგალობლიშვილი და ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვ-კავკასკი, პირველის ფინანსთა სახალხო კომისრად დატოვებით.



ამხ. სიმონ ჯუღელი

მიწადმოქმედების სახალხო კომისარი

მიწად-მოქმედების სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. სიმონ ბილატეს ძე ჯუღელი.

განთავისუფლებული იქნეს, თანახმად მისი თხოვნისა, ინჟ. ბესარიონ ალექსანდრეს ძე ჭიჭინაძე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. გიორგი დავითის ძე ყურულაშვილი.

ამხ. ანდრო გიორგის ძე დოლიძე თანახმათ მისი თხოვნისა განთავისუფლებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვ-კავკასკი.

განთავისუფლებული იქნეს ამხ. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი იუსტიციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

იუსტიციის სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. ვალერიან ათანასეს ძე ვაშაკიძე.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ შემოტანილ წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს ამხ. ფილიპე მახარაძემ სთქვა:

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

— სანამ კენჭს უყრი ამ წინადადებას, მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო აქ შემდეგი: ჩვენი წინადადება ამხ. ბესარიონ ჭიჭინაძის შესახებ არ უნდა იქნას არსად გაგებული ისე, თითქოს ჩვენი ხელისუფლება და ჩვენი პარტია გულნაკლულად რჩება ამხ. ბესარიონ ჭიჭინაძის მოღვაწეობით იმ პოსტზე, რომელზედაც ის ამას წინად იქნა არჩეული.

ამხ. იაკობ ვარძიელი

სა. ცაკის მდივანი

ჩვენ ვაფასებთ ამხ. ჭიჭინაძეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, როგორც მშენებელს და ამიტომ დავაყენეთ ის იმ პოსტზე, რომელზედაც მან გამოიჩინა თავისი ნიჭი და ცოდნა. ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს; მაგრამ ჩვენ იძულებული შევიქენით დაგვეკმაყოფილებია ამხ. ბ. ჭიჭინაძის არა ერთხელ განმეორებული შუამდგომლობა მისი განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან, მისი შეხედულებით, ის უფრო ნაყოფიერად იმუშავებს იმავე დაწესებულებაში, როგორც უშუალო მშენებელი. ჩვენ ვიმეორებთ, იძულებული შევიქენით დავთანხმებულიყავით მის წინადადებაზე მხოლოდ იმ პირობით, რომ როგორც თვითონ ამხ. ჭიჭინაძემ აღგვითქვა, ის დარჩება ისევ იმ სამუშაოზე თავმჯდომარის მოადგილის სახით და კიდევ უფრო დიდი ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.

ცვლილებები ცაკის პრეზიდიუმში

დასასრულ, სესიამ დაადგინა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქნეს 24-მდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან: ამხ. ი. ბ. ბოლქვაძე, გ. ა. მგალობლიშვილი და ვ. ა. ვაშაკიძე; კანდიდატობიდან პრეზიდიუმის წევრად გადარიცხულია ამხ. ბ. ტ. მაჩაიძე.

ამხ. შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი განთავისუფლებულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი.

აღნიშნული დადგენილებების მიღების შემდეგ სესია დაიხურა.

ი. სტალინი

ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი*)

(პასუხი ამხ. ს—ს.)

ამხანაგო ს.!

მართალი არ არის, ვითომ ლენინის ლოზუნგი: „უნდა მოვახერხოთ შეთანხმება საშუალო გლეხთან, ამავე დროს არც ერთ წუთს არ უნდა ავიღოთ ხელი კულაკის წინააღმდეგ ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას“,—ვითომ ეს ლოზუნგი, რომელიც ლენინმა მოგვცა პიტირიმ სოროკინის შესახებ დაწერილ სტატიაში, ყოფილიყოს „ღარიბთა კომიტეტების პერიოდის“ ლოზუნგი, „საშუალო გლეხობის გაერთიანებული ნეიტრალიზაციის პერიოდის დამლევის“ ლოზუნგი. ეს სრულებით მართალი არ არის. ღარიბთა კომიტეტები დაარსდნენ 1918 წლის ივნისში. 1918 წლის ოქტომბრის დამლევს ჩვენი ძალები სოფლად უკვე სჭარბობდნენ, კულაკობას და საშუალო გლეხმაც პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამ პირის შემობრუნების საფუძველზე წარმოიშვა ც. კ-ის გადაწყვეტილება. იმის შესახებ, რომ მოსპობილიყო ხელისუფლების ორმაგობა საბჭოებსა და ღარიბთა კომიტეტებს შორის სათემო და სასოფლო საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს, რომ ღარიბთა კომიტეტები გათქვეფილიყვნენ ახლად არჩეულ საბჭოებში და, მაშასადამე, მომხდარიყო ღარიბთა კომიტეტების ლიკვიდაცია. ეს დადგენილება, როგორც ვიცით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1918 წლის 9 ნოემბერს საბჭოების მეექვსე ყრილობაზე. მხედველობაში მაქვს საბჭოების მეექვსე ყრილობის 1918 წლის 9 ნოემბრის დადგენილება სასოფლო და სათემო საბჭოების ხელახალი არჩევნებისა და საბჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფის შესახებ.

მერე, როდის გამოქვეყნდა ლენინის წერილი „პიტირიმ სოროკინის ძვირფასი აღიარება“, სადაც მან საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი? ლენინის ეს წერილი გამოქვეყნდა 1918 წლის 21 ნოემბერს, ე. ი. საბჭოთა მეექვსე ყრილობის დადგენილების გამოტანიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ. ამ წერილში ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას გვკარნახობს საშუალო გლეხის პირის მობრუნება ჩვენსკენ. აი ლენინის სიტყვები:

„სოფლად ჩვენს ამოცანას შეადგენს — გავანადგუროთ მემამულე, დავძლიოთ ექსპლოატატორისა და სპეკულიანტ - კულაკის წინააღმდეგობა; ამისათვის ჩვენ მკვიდრად შეგვიძლია დავეყრდნოთ მხოლოდ ნახევარ პროლეტარებს, „ღარიბ გლეხობას“. მაგრამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. იგი რყევაში იყო, არის და იქნება: მერყევზე ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატორის დამხობის აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცანა ერთი და იგივე არ არის. უნდა მოვახერხოთ შეთანხმება საშუალო გლეხთან, ამავე დროს არც ერთ წუთს არ უნდა ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მკვიდრად დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას — ეს არის მომენტის ამოცანა, ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სწორედ ეხლა არის აუცილებელი საშუალო გლეხის ჩვენსკენ გადმოხვევა“. (ტომი მე-XV, გვ. 524).

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ლენინის ლოზუნგი ეხება არა ძველ პერიოდს, ღარიბთა კომიტეტებისა და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პერიოდს, არამედ საშუალო გლეხთან შეთანხმების ახალ პერიოდს. ამგვარად, ლენინის ლოზუნგი გამოხატავს ძველი პერიოდის მიწურულს კი არა, — ახალი პერიოდის დასაწყისს.

მაგრამ თქვენი აზრი ლენინის ლოზუნგის შესახებ შემცდარია არა მარტო ფორმალურად, არა მარტო ასე ვსთქვათ, ქრონოლოგიურად, არამედ არსებითადაც.

ცნობილია, რომ ლენინის ლოზუნგი საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ, როგორც ახალი ლოზუნგი, პარტიის მიერ აღიარებულ იქნა და საერთო პარტიულ ლოზუნგად გადაიქცა ჩვენი პარტიის მე-8 ყრილობაზე (1919 წლის მარტი). ცნობილია, რომ პარტიის მე-8 ყრილობა არის სწორედ ის ყრილობა, რომელმაც დაასაბუთა საშუალო გლეხთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკის საფუძვლები. ცნობილია, რომ ამ პროგრამაში არის სპეციალური მუხლები პარტიის დამოკიდებულების შესახებ სოფლის სხვადასხვა ფენებთან: ღარიბ გლეხებთან, საშუალო გლეხებთან და კულაკებთან. რა არის ნათქვამი კომპარტიის (ბ) პროგრამის ამ მუხლებში სოფლის სოციალური ფენებისა და მათდამი პარტიის დამოკიდებულების შესახებ?

ყური დაუგდეთ:

„რუსეთის კომუნისტური პარტია (ბ) მთელ თავის მუშაობაში სოფლად წინანდებურად ეყრდნობა პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ძალებს, რაზმავს მათ, პირველ ყოვლისა, დამოუკიდებელ ძალად, ჰქმნის პარტიულ უჯრედებს სოფლად, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციებს, განსაკუთრებული ტიპის პროფესიონალურ კავშირებს, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარებისაგან და სხვა, ყოველნაირად ახლოვებს მათ ქალაქის პროლეტარიატთან და ანთავისუფლებს სოფლის ბურჟუაზიის გავლენისაგან და წვრილ მესაკუთრეობის ინტერესებისაგან.

კულაკებისა და სოფლის ბურჟუაზიის მიმართ რუსეთის კომპარტიის (ბ) პოლიტიკა მდგომარეობს გადამჭრელ ბრძოლაში ექსპლოატატორული ზრახვების წინააღმდეგ და კულაკებისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვაში. ხოლო საშუალო გლეხის მიმართ რუსეთის კომპარტიის (ბ) პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ საშუალო გლეხი თანდათან და გეგმაშეწონილად ჩაბმული იქნას სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში.

პარტია თავის ამოცანად ისახავს ჩამოაშოროს საშუალო გლეხი კულაკებს და მიიზიდოს იგი მუშათა კლასის მხარეზე, ამ მიზნით პარტია ყურადღებით ეპყრობა მის მოთხოვნილებებს, ებრძვის მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ზომებით და არა ძალდატანების ზომებით, და ცდილობს ყველა ისეთ შემთხვევებში, სადაც საქმე მის საარსებო ინტერესებს ეხება, პრაქტიკულად შეუთანხმდეს მას, დათმობაზე წავიდეს მასთან სოციალისტური გარდაქმნის საშუალებათა განსაზღვრის დროს“. (რუსეთის კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვერდი 351).

აბა სცადეთ და გამონახეთ თუნდაც მცირეოდენი, თუნდაც სიტყვიერი განსხვავება პროგრამის ამ პუნქტებსა და ლენინის ლოზუნგს შორის! თქვენ ვერ ნახავთ ასეთ განსხვავებას, ვინაიდან იგი არ არსებობს. მეტიც: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლენინის ლოზუნგი არა თუ არ ეწინააღმდეგება მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებებს საშუალო გლეხის შესახებ, არამედ, პირიქით, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების საოცრად სწორ, საოცრად მოხდენილ ფორმულას.

ის ხომ ფაქტია, რომ რუსეთის კომპარტიის (ბ) პროგრამა მიღებულია 1919 წლის მარტში პარტიის მე-8 ყრილობაზე, რომელზედაც სპეციალურად იქნა განხილული საშუალო გლეხის საკითხი, ლენინის წერილი კი პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, რომელშიაც წამოყენებულ იყო საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი, დაიბეჭდა 1918 წლის ნოემბერში, 4 თვით ადრე პარტიის მე-8 ყრილობამდე!

განა აშკარა არ არის, რომ პარტიის მე-8 ყრილობამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა ლენინის ლოზუნგი, რომელიც წამოყენებული იყო მის წერილში პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, როგორც ისეთი ლოზუნგი, რომელთანაც დაკავშირებულია პარტია, და რომლითაც ხელმძღვანელობს პარტია სოფლად მუშაობის დარგში სოციალისტური მშენებლობის მთელ ეხლანდელ პერიოდში.

რაშია ლენინის ლოზუნგის მთავარი მნიშვნელობა?

ლენინის ლოზუნგის მნიშვნელობა იმაშია, რომ მასში საოცრად მოხდენილად შეხამებულია სოფლად პარტიული მუშაობის სამსახოვანი ამოცანა, რომელიც გამოთქმულია შემდეგ მოკლე ფორმულაში: დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, შეუთანხმდი საშუალო გლეხობას, არც ერთი წუთით არ დაივიწყო ბრძოლა კულაკთან. აბა სცადეთ ამოღება ამ ფორმულიდან ერთ-ერთი მისი ნაწილის, როგორც სოფლად მუშაობის ბაზის ამ მომენტში, და დაივიწყეთ ამ ფორმულის სხვა ნაწილები—თქვენ აუცილებლად ჩიხში მოექცევით.

შეიძლება თუ არა სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ფაზის პირობებში ნამდვილი და მტკიცე შეთანხმება საშუალო გლეხთან ისე, თუ არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ ვაწარმოებთ ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ? არ შეიძლება. შეიძლება თუ არა ეხლანდელი განვითარების პირობებში წარმატებით ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ ისე, თუ არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ შევუთანხმდებით საშუალო გლეხს? არ შეიძლება. როგორ შეიძლება სოფლად პარტიული მუშაობის ამ სამსახოვანი, მაგრამ მთლიანი ამოცანის ყველაზე უფრო მოხდენილად გამოხატვა ერთ ლოზუნგში? მე ვფიქრობ, რომ ლენინის ლოზუნგი ყველაზე უფრო მოხდენილად გამოხატავს ამ ამოცანას, უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინზე უფრო მოხდენილად ვერ გამოხატავ.

რატომ უნდა გავუსვათ ხაზი ლენინის ლოზუნგის მიზანშეწონილებას სწორედ ეხლა, სოფლად მუშაობის სწორედ ეხლანდელ პირობებში.

იმიტომ, რომ სწორედ ეხლა აქვს ადგილი ზოგიერთი ამხანაგების ტენდენციას დააქუცმაცონ სოფლად პარტიული მუშაობის სამსახოვანი მთლიანი ამოცანა და დააშორონ ერთმანეთს მისი ნაწილები.

ეს სავსებით დაადასტურა პურის დამზადების კამპანიის პრაქტიკამ ამა წლის იანვარსა და თებერვალში. რომ საშუალო გლეხთან საჭიროა შეთანხმების მიღწევა, ეს ყველა ბოლშევიკმა იცის. მაგრამ ის, როგორ უნდა იქნეს მიღწეული ეს შეთანხმება—ყველას არ ესმის. ზოგი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობს კულაკებთან ბრძოლაზე ხელის აღებით ან ამ ბრძოლის შესუსტებით: აქაო და კულაკებთან ბრძოლამ შეიძლება დააფრთხოს საშუალო გლეხობის ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილი. სხვები საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობენ ღარიბი გლეხობის დასარაზმავად წარმოებულ მუშაობაზე ხელის აღებით ან ამ მუშაობის შესუსტებით: აქაო და ღარიბი გლეხობის დარაზმვა იწვევს ღარიბი გლეხობის განკერძოებას, განკერძოებამ კი შეიძლება ჩამოგვაშოროს საშუალო გლეხობა. სწორი ხაზიდან ასეთ გადახვევას შედეგად მოსდევს იმ მარქსისტული დებულების დავიწყება, რომ საშუალო გლეხობა არის მერყევი კლასი, რომ საშუალო გლეხობასთან შეთანხმება შეიძლება განმტკიცებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმოებული იქნება გადამჭრელი ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ და გაძლიერებული იქნება მუშაობა ღარიბი გლეხობის შორის, და რომ ამ პირობის გარეშე საშუალო გლეხი შეიძლება გადაიხაროს კულაკისკენ, როგორც ძალისკენ. გაიხსენეთ ლენინის სიტყვები, წარმოთქმული პარტიის მე-8-ე ყრილობაზე:

„საჭიროა გარკვეულ იქნას დამოკიდებულება იმ კლასისადმი, რომელსაც არა აქვს გარკვეული მტკიცე მდგომარეობა. პროლეტარიატის მასა სოციალიზმის მომხრეა, ბურჟუაზიის მასა სოციალიზმის წინააღმდეგია: ამ ორი კლასის ურთიერთობის გარკვევა ადვილია. ხოლო როდესაც გადავდივართ ისეთ კლასზე, როგორიც არის საშუალო გლეხობა, ირკვევა, რომ ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს.

ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი. ის არ ეწევა მშრომელთა სხვა წარმომადგენლების ექსპლოატაციას. მას ათეული წლების განმავლობაში უდიდესი სიძნელით უხდებოდა თავისი მდგომარეობის დაცვა, მან განიცადა მემამულეთა და კაპიტალისტების ექსპლოატაცია, მან ყველაფერი გადაიტანა. და ამავე დროს ის მესაკუთრეა. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მერყევ კლასისადმი უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს“ (რუსეთის კომპარტიის მე-8 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 300),

მაგრამ ხდება ხოლმე სხვანაირი გადახვევაც სწორი ხაზიდან, რომელიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე ზემოდასახელებული. ხდება ხოლმე, რომ აწარმოებენ ბრძოლას კულაკების წინააღმდეგ, მაგრამ იმდენად მოუხეშავად და უაზროდ, რომ ამ ბრძოლის მახვილი ხვდება საშუალო და ღარიბ გლეხობას. ამისი შედეგი ის არის, რომ კულაკი უვნებელი რჩება, საშუალო გლეხთან კავშირი რამდენიმედ სუსტდება, ხოლო ღარიბი გლეხობის ნაწილი ექცევა კულაკის გავლენის ქვეშ. კულაკის, რომელიც ფარულ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ სურთ გადააქციონ კულაკების მოსპობად ადმინისტრატიული მეთოდებით, ხოლო პურის დამზადების კამპანია—სასურსათო გაწერად, და ავიწყდებათ, რომ ასეთი ზომებით კულაკების მოსპობა ჩვენს პირობებში სისულელეა, სასურსათო გაწერა კი მოასწავებს არა კავშირს, არამედ ბრძოლას საშუალო გლეხთან.

რით აიხსნება ეს გადახვევები პარტიული ხაზიდან?

იმის შეუგნებლობით, რომ სოფლად მუშაობას სამსახოვანი ამოცანა წარმოადგენს მთლიანს და განუყოფელ ამოცანას. იმის შეუგნებლობით, რომ არ შეიძლება კულაკებთან ბრძოლის ამოცანა ჩამოშორდეს საშუალო გლეხთან შეთანხმების ამოცანას, ხოლო ორივე ეს ამოცანა არ შეიძლება ჩამოშორდეს იმ ამოცანას, რომ ღარიბი გლეხობა გადაიქცეს პარტიის დასაყრდენ ძალად სოფლად.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სწორი ხაზიდან გადახვევა ჰქმნის ორგვარ საფრთხეს მუშებისა და გლეხების კავშირისათვის; საფრთხეს იმათის მხრით, რომლებიც ფიქრობენ გადააქციონ დროებითი საგანგებო ზომები პურის დამზადების საქმეში პარტიის მუდმივ ან ხანგრძლივ კურსად, და საფრთხეს იმათის მხრით, რომლებიც ფიქრობენ საგანგებო ზომების გაუქმება გამოიყენონ კულაკის ხელ-ფეხის გასახსნელად და ვაჭრობის სრული თავისუფლების გამოცხადებლად სახელმწიფო ორგანოების მიერ ვაჭრობის მოუწესრიგებლად, ამიტომ სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად საჭიროა ბრძოლა ორ ფრონტზე.

ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ჩვენი პრესა ყოველთვის არ იცავს ამ წესს და ზოგჯერ ერთგვარ ცალმხრივობას იჩენს. ხდება, მაგალითად, რომ ამხილებენ იმათ, რომელთაც სურთ პურის დამზადების დროებითი საგანგებო ზომები გადააქციონ ჩვენი პოლიტიკის მუდმივ კურსად, რაც საფრთხეს უმზადებს მუშებისა და გლეხების კავშირს. მაგრამ არ ვარგა შეცდომა, როცა ამავე დროს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ და როგორც საჭიროა, ისე არ ამხილებენ იმათ, ვინც მუშებისა და გლეხების კავშირს ემუქრება, მეორეს მხრით, არ ამხილებენ იმათ, ვინც მიჰყვება წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას და მოითხოვს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას და ვაჭრობის სრული თავისუფლების გამოცხადებას სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის გარეშე, რაც მეორე მხრიდან უთხრის ძირს მუშებისა და გლეხების კავშირს. ეს უკვე არ ვარგა. ეს ცალმხრივობაა. ხდება ისეც, რომ ამხილებენ იმათ, ვინც, ვთქვათ, უარყოფს იმ ინდივიდუალურ, წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას და მიზანშეწონილებას, რომელიც ეხლანდელ სტადიაში სასოფლო მეურნეობის ბაზას წარმოადგენს. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არ ვარგა და შეცდომაა, როცა ამავე დროს არ ამხილებენ იმათ, რომელთაც ესმით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, რომ ინდივიდუალური წვრილი საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანას პრაქტიკულად უნდა დაემატოს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ამოცანა. ეს უკვე ცალმხრივობაა. სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება და ყოველგვარი ცალმხრივობის უკუგდება.

რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ამოცანები არ დასცილდნენ ერთმანეთს სოფლად მიმდინარე მუშაობის მსვლელობაში?

ამისთვის საჭიროა ისეთი სახელმძღვანელო ლოზუნგი მაინც, რომელიც გააერთიანებდა ყველა ამ ამოცანას ერთ მთლიან ფორმულაში და რომელიც, მაშასადამე, არ დაუშვებდა ამ ამოცანების ერთმანეთისაგან დაცილებას.

მოიპოვება თუ არა ჩვენს პარტიულს არსენალში ასეთი ფორმულა და ასეთი ლოზუნგი?

დიახ, მოიპოვება. ასეთ ფორმულას წარმოადგენს ლენინის ლოზუნგი: „უნდა მოვახერხოთ შეთანხმება საშუალო გლეხთან, ამასთან ერთ წუთითაც არ უნდა ავიღოთ ხელი კულაკის წინააღმდეგ ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას“.

აი, რატომ ვფიქრობ მე, რომ ეს ლოზუნგი ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და მთლიანი ლოზუნგია, რომ საჭიროა ამ ლოზუნგის პირველ რიგში დაყენება სწორედ ეხლა, სოფლად მუშაობის თანამედროვე პირობებში.

თქვენ ლენინის ლოზუნგს სთვლით „ოპოზიციონურ“ ლოზუნგად და თქვენს წერილში სვამთ ასეთ კითხვას: „როგორ მოხდა, რომ ეს ოპოზიციონური ლოზუნგი დაიბეჭდა 1928 წლის 1 მაისს „პრავდა“-ში... როგორ უნდა აიხსნას ამ ლოზუნგის გამოქვეყნება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ორგანოს „პრავდა“-ს ფურცლებზე, არის ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა, თუ კომპრომისი ოპოზიციასთან საშუალო გლეხის საკითხში?“

მრისხანედაა ნათქვამი! მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით „მოსახვევებში“, ამხანაგო ს., რათა თქვენი სიფიცხის გამო არ მიხვიდეთ იმ დასკვნამდე, რომ უნდა აიკრძალოს ჩვენი პროგრამის დაბეჭდვა, პროგრამისა, რომელიც სავსებით ადასტურებს ლენინის ლოზუნგს (ფაქტია!), რომლის საფუძველიც შემუშავებულია ლენინის მიერ (ის კი ოპოზიციონერი არ ყოფილა!) და რომელიც მიღებულია პარტიის მე-8 ყრილობის მიერ (არც ის ყოფილა ოპოზიციონური!). მეტი პატივისცემა ჩვენი პროგრამის იმ პუნქტებისადმი, რომლებიც სოფლის სოციალურ ჯგუფებს შეეხებიან! მეტი პატივისცემა პარტიის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებისადმი საშუალო გლეხობის შესახებ! რაც შეეხება თქვენს ფრაზას „ოპოზიციასთან კომპრომისის შესახებ საშუალო გლეხის საკითხში“,—ვფიქრობ, ეს ფრაზა არ ღირს იმათ, რომ ის უარყოფილ იქნეს: იგი, ალბად, გაცხარების დროს წამოგცდათ.

თქვენ, მგონი, გაკვირვებთ ის გარემოება, რომ ლენინის ლოზუნგში და პარტიის მე-8 ყრილობის მიერ მიღებულ ს. კ. პ. პროგრამაში ლაპარაკია საშუალო გლეხთან შეთანხმებაზე, მაშინ, როცა მე-8 ყრილობის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ლაპარაკობდა მტკიცე კავშირზე საშუალო გლეხთან. თქვენ, ალბად, ამაში რაღაც წინააღმდეგობას ხედავთ. თქვენ, შეიძლება, იმასაც ფიქრობთ, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკა მოასწავებს მასთან კავშირის პოლიტიკისაგან ერთგვარ დაშორებას. ეს სწორი არ არის, ამხანაგო, ეს დიდი შეცდომაა. ასე ფიქრი შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელმაც მხოლოდ ლოზუნგის ასოების წაკითხვა იცის, ლოზუნგის აზრის გაგება კი არა, ასე ფიქრი შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც არ იცნობს საშუალო გლეხთან კავშირის და შეთანხმების ლოზუნგის ისტორიას. ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლენინი, რომელმაც პარტიის მე-8 ყრილობაზე თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირის“ ხაზის საჭიროების შესახებ, დაშორდა თავის თავს მით, რომ იმავე ყრილობაზე თავის მეორე სიტყვაში და მე-8 ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში სთქვა: ჩვენთვის ახლა საჭიროა საშუალო გლეხთან „შეთანხმების“ პოლიტიკა.

რაშია აქ საქმე? საქმე იმაშია, რომ ლენინი და პარტია, მე-8 ყრილობის სახით, არავითარ განსხვავებას არ ხედავენ ცნებებს „შეთანხმებასა“ და „კავშირს“ შორის. საქმე იმაშია, რომ ლენინი მე-8 ყრილობაზე— ყოველთვის, ყოველ თავის სიტყვაში—ერთსა და იმავე ცნებად სთვლიდა „კავშირსა“ და „შეთანხმებას“. იგივე უნდა ითქვას მე-8 ყრილობის რეზოლიუციაზე, რომელიც ეხება „საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულებას“ და რომელშიაც „შეთანხმება“ და „კავშირი“ ერთსა და იმავე ცნებადაა მიჩნეული. რადგანაც ლენინი და პარტია საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას სთვლიან ხანგრძლივ პოლიტიკად და არა შემთხვევით და სწრაფწარმავალ მოვლენა, ამიტომ მათ სრული საბუთი აქვთ უწოდონ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას მასთან მკვიდრი კავშირის პოლიტიკა და, პირიქით, საშუალო გლეხთან მკვიდრი კავშირის პოლიტიკას—მასთან შეთანხმების პოლიტიკა. საკმაოა გავეცნოთ პარტიის მე-8 ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშს და იმავე ყრილობის რეზოლიუციას საშუალო გლეხის შესახებ, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

აი ამონაწერი ლენინის მე-8 ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან:

„ძალიან ხშირად საბჭოთა მუშაკების გამოუცდელობის და საკითხის სიძნელის გამო, ის მახვილი, რომელიც მიმართული იყო კულაკების წინააღმდეგ, ხვდებოდა საშუალო გლეხობას. აქ ჩვენ მეტად ბევრი შევცოდეთ. ამ მხრივ შეძენილი გამოცდილება დაგვეხმარება გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ მომავალში ეს თავიდან ავიცილოთ. აი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე თეორეტიულად და პრაქტიკულად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ძნელი ამოცანაა. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი დოვლათი, რომლის მიცემაც შეიძლებოდეს საშუალო გლეხობისთვის, ის კი მატერიალისტი და პრაქტიკოსია და მოითხოვს კონკრეტულ მატერიალურ დოვლათს, რომლის მიცემაც ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია და ურომლისოდაც ჩვენს ქვეყანას შეიძლება დასჭირდეს ითლად წასვლა მძიმე ბრძოლის კიდევ რამოდენიმე თვის განმავლობაში, ბრძოლის, რომელიც ეხლა, იმედია, სრული გამარჯვებით დამთავრდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ ჩვენს ადმინისტ.-ულ პრაქტიკაში: გავაუმჯობესოთ ჩვენი აპარატი, აღმოვფხვრათ მრავალი ბოროტმოქმედება. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გამოვასწოროთ ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც საკმაოდ არ იყო მიმართული საშუალო გლეხთან კავშირისა და შეთანხმების დასამყარებლად“, (რუსეთის კომპარტიის მე-8 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 20).

როგორც ხედავთ, ლენინი არ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან „შეთანხმებას“ და „კავშირს“.

აი ამონაწერი მე-8 ყრილობის რეზოლიუციიდან საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ.

„საშუალო გლეხების არევა კულაკებთან და მათზე იმ ზომების ამა თუ იმ სახით გავრცელება, რომლებიც მიმართულია კულაკების წინააღმდეგ, ნიშნავს იმას, რომ სრულიად უხეშად იქნას დარღვეული არა მარტო საბჭოთა ხელისუფ. ყველა დეკრეტი და მთელი მისი პოლიტიკა, არამედ კომუნიზმის ყველა ძირითადი პრინციპიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთ პირობას ყოველგვარი ექსპლოატაციის აღმოფხვრაზე გადასასვლელად წარმოადგენს საშუალო გლეხობასთან შეთანხმება იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიის დასამხობად.

საშუალო გლეხობა, რომელსაც შედარებით მაგარი ეკონომიური ფესვები აქვს გადგმული, კიდევ დიდხანს გასძლებს პროლეტარული რევოლიუციის დაწყების შემდეგ, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩამორჩენილია სამრეწველო ტექნიკას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი, რუსეთზედაც რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომ, საბჭოთა მუშაკებისა და აგრეთვე პარტიული მოღვაწეების ტაქტიკა სოფლად გათვალისწინებული უნდა იყოს საშუალო გლეხობასთან თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისთვის...

...ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების სრულიად სწორი პოლიტიკა სოფლად უზრუნველყოფს ძლევამოსილი პროლეტარიატის შეთანხმებას საშუალო გლეხთან...

... მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კვლავაც უნდა მიმდინარეობდეს პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხობასთან შეთანხმების გზით“ (რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 370—372).

როგორც ხედავთ, რეზოლიუციაც განსხვავებას არ ხედავს „შეთანხმებასა“ და „კავშირს“ შორის.

ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ მე-8 ყრილობის ამ რეზოლიუციაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირის“ შესახებ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ რეზოლიუცია ამით სცილდება საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირის“ პოლიტიკას? არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რეზოლიუციას თანასწორ ცნებებად მიაჩნია „შეთანხმება“, „თანამშრომლობა“ და „მტკიცე კავშირი“. ეს ცხადზე -უცხადესიც არის: შეუძლებელია საშუალო გლეხთან „კავშირი“ უიმისოდ, თუ მასთან „შეთანხმება“ არ მოხდება, ხოლო კავშირი საშუალო გლეხთან „მტკიცე“ ვერ იქნება, თუ მასთან „ხანგრძლივი“ შეთანხმება და თანამშრომლობა არ არსებობს.

ასეთია ფაქტები.

ორში ერთი: ან ლენინი და პარტიის მერვე ყრილობა დაშორდნენ ლენინის განცხადებას საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირის“ შესახებ, ან უნდა უარყოფილ იქნას ეს არასერიოზული მოსაზრება და უნდა ითქვას, რომ ლენინი და პარტიის მერვე ყრილობა არავითარ განსხვავებას არ ხედავენ „შეთანხმება“-სა და „მტკიცე კავშირი“-ს ცნებებს შორის.

ამრიგად, ვისაც არ უნდა ცარიელი სიტყვების მსხვერპლად გადაიქცეს, არამედ უნდა სწორად გაიგოს ლენინის იმ ლოზუნგის აზრი, რომელიც ლაპარაკობს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის, საშუალო გლეხთან შეთანხმების და კულაკთან ბრძოლის შესახებ, მან აუცილებლად უნდა შეიგნოს, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკა არის მასთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკა.

თქვენი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ოპოზიციის ყალთაბანდური ხერხი, წამოეგეთ მის პროვოკაციის ანკესზე, გაებით მახეში, რომელიც მოწინააღმდეგემ დაგიგოთ. ოპოზიციონერი ყალთაბანდები გაჰყვირიან, რომ ისინი იცავენ ლენინის ლოზუნგს საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ. ამავე დროს კი, ისინი პროვოკაციულად აცხადებენ, რომ საშუალო გლეხთან „შეთანხმება“ ერთია, ხოლო „მტკიცე კავშირი“—მეორეა. ამით მათ სურთ ორი კურდღლის დაიჭირონ: პირველი, დამალონ თავიანთი ნამდვილი პოზიცია საშუალო გლეხთან ურთიერთობის საკითხში, პოზიცია, რომელიც მდგომარეობს არა საშუალო გლეხთან შეთანხმებაში, არამედ „საშუალო გლეხისაგან დაშორებაში“ (იხ. ოპოზიციონერის სმირნოვის ცნობილი სიტყვა, რომლიდანაც მე მოვიყვანე ციტატები მოსკოვის მეთექვსმეტე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე), მეორე, დაიჭირონ გულუბრყვილო ბოლშევიკები იმაზე, რომ ვითომ „შეთანხმებასა“ და „კავშირს“ შორის არსებობს განსხვავება, საბოლოოდ დააბნიონ ისინი და ჩამოაშორონ ლენინს.

მერე, როგორ იქცევიან ამის საპასუხოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები? ნაცვლად იმისა, რომ ჩამოგლიჯონ ნიღაბი ოპოზიციონერ არამზადებს, ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ, როგორ ატყუებენ ისინი პარტიას თავიანთ ნამდვილი პოზიციის საკითხში, ნაცვლად ამისა, თვითონ ისინი ეგებიან ანკესზე, ებმიან მახეში და ამრიგათ შორდებიან ლენინს. ოპოზიცია ბევრს გაჰყვირის ლენინის ლოზუნგის შესახებ, ოპოზიციონერებს თავიანთი თავი ლენინის ლოზუნგის მომხრედ გამოჰყავთ,—„მაშასადამე, მე უნდა გავემიჯნო ამ ლოზუნგისაგან, რომ არ დამწამონ კომპრომისი ოპოზიციასთან“, „რომ არ ჩამთვალონ ოპოზიციონერად“,—ასეთია ამ ამხანაგების ლოღიკა.

და ეს ოპოზიციის ყალთაბანდური ხერხების ერთად-ერთი მაგალითი როდია. ავიღოთ, მაგალითად, თვითკრიტიკის ლოზუნგი. ბოლშევიკმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი წარმოადგენს ჩვენი პარტიის მოქმედების საფუძველს, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საშუალებას, კადრების ბოლშევიკურად აღზრდის სულსა და გულს. ოპოზიციამ ასტეხა განგაში და არწმუნებს ყველას, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი მან გამოიგონა და რომ პარტიამ მიითვისა ეს ლოზუნგი და, ამგვარად, იარაღი დაჰყარა ოპოზიციის წინაშე. ასეთი საქციელით ოპოზიციას სურს მიაღწიოს ორ რამის მაინც: პირველი, დაუმალოს მუშათა კლასს, მოატყუოს ის, რომ დიდი უფსკრულია ოპოზიციონურ თვითკრიტიკასა, რომელიც მიზნად ისახავს პარტიულობის დარღვევას, და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომლის მიზანია პარტიულობის განმტკიცება, მეორე, ანკესზე წამოაგოს ზოგიერთი გულუბრყვილო და აიძულოს ისინი გამიჯნონ პარტიული ლოზუნგისაგან თვითკრიტიკის შესახებ.

როგორ უყურებენ ამას ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები? იმის მაგიერ, რომ ნიღაბი ჩამოგლიჯონ ოპოზიციონერ არამზადებს და დაიცვან ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგი, ისინი ებმებიან ხაფანგში, შორდებიან ბოლშევიკურ თვითკრიტიკის ლოზუნგს, აჰყოლიან ოპოზიციის ფეხის ხმას და იარაღს ჰყრიან ოპოზიციის წინაშე, შეცდომით ფიქრობენ რა, რომ იმიჯნებიან ოპოზიციისაგან.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ავყვეთ ვისიმე ფეხის ხმას. მით უმეტეს არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რას ლაპარაკობენ ჩვენს შესახებ ოპოზიციონერები. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით და ბოლო მოუღოთ როგორც ოპოზიციის ყალთაბანდურ გამოსვლებს, ისე იმ ზოგიერთი ჩვენი ბოლშევიკების შეცდომებს, რომლებიც ეგებიან ოპოზიციონერთა ანკესზე მოიგონეთ მარქსის სიტყვები: „იარე საკუთარი გზით, დაე ილაპარაკონ, რაც უნდათ!“

კომუნისტური სალამით **ი. სტალინი.**

---

*) იბეჭდება ზოგიერთი შემოკლებით. ი. სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

აღმოსავლეთის მუშა, გლეხ და მშრომელ ქალთა კრებების გადარჩევის გარშემო

მოსკოვი, 4 ივლისი ნაცკომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს, ცკას ხაოლქო ბიუროებს და საქ. კომ. პ. (ბ) ყველა საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს.

საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაქცევს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას იმაზედ, რომ აღმოსავლეთის მუშა, გლეხ და მშრომელ ქალთა სადელეგატო კრებების მორიგ გადარჩევას უნდა მიექცეს მასიური პოლიტიკური კამპანიის ხასიათი. აღნიშნული კამპანია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სწორედ მიმდინარე მომენტში, როდესაც პარტიამ მოუწოდა მშრომელთა ფართო მასებს სასტიკ თვითკრიტიკისაკენ, რომელიც მძლავრი იარაღი უნდა გახდეს ბიუროკრატიზმთან, და სახელმწიფო, სამეურნეო და პროფკავშირთა აპარატის ყველა ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მასიურ შეტევას სოციალისტურ მშენებლობის ყველა მტრების წინააღმდეგ, დაწყებული კულაკით და მავნებლით და გათავებული გამხრწნილ ელემენტებით მუშათა კლასის რიგებში.

გადარჩევის კამპანიამ ქალაქებში უნდა მიაპყროს მუშა-ქალების მთავარი ყურადღება პარტიაში არსებულ ქალთა პროლეტარული ფენის გაძლიერების ამოცანებზე, გაზარდოს სადელეგატო კრებების როლი პროფკავშირული დემოკრატიის განხორციელების საქმეში, ხელი შეუწყოს მასების ჩაბმას საბჭოების გადარჩევასა და მუშაობაში, გააძლიეროს მუშაობა წარმოების რაციონალიზაციისა, 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღებისათვის მზადებისა, პოლიტ-განათლების და ყოფა-ცხოვრებით დაწესებულებისა სამ-წყურების მუშაობისათვის შეფარდებისა და მთელი აპარატის საქმიანობის შემოწმება კონტროლის დარგში.

სოფლად ახალმა სადელეგატო კრებამ უნდა გამოიჩინოს მეტი ენერგია მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირებისა, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა დარაზმვის და საშუალო შეძლების გლეხებთან გაერთიანების საქმეში, რომ ამ უკანასკნელებმა შესძლონ სათანადო წინააღმდეგობის გაწევა კულაკისათვის. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში მოწყობილ სადელეგატო კრებებმა უნდა მიაქციონ მშრომელ ქალთა ყურადღება კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალურთან შედარებით და რეალურ მიღწევებს გლეხ და მოჯამაგირე ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში.

სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიამ სოფლად ხელი უნდა შეუწყოს პურის დამზადების საქმეს, გლეხ ქალთა მეტი რაოდენობის ჩაბმას კოლექტიურ მეურნეობაში და პარტიის დირექტივების გატარებას სოფლის საბჭოების გადარჩევის დროს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირე ქალთა ჩაბმას სადელეგატო კრებებში და მოჯამაგირე ქალთა სექციების მოწყობას.

სადელეგატო კრებების სწორი მოწყობა სოფლად და მათი ორი წლის გამოცდილების შესწავლა უნდა გახდეს პარტორგანიზაციების სპეციალური ყურადღების საგანი.

ახლად არჩეულმა სადელეგატო კრებებმა საბჭოთა აღმოსავლეთში ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის დანაშაულებათა შესახებ გამოცემულ კანონების პოპულარიზაციას და თავისი მუშაობა მჭიდროთ დაუკავშირონ საბჭოებთან არსებულ ყოფა ცხოვრებით სექციების მუშაობას.

წარსული წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობა პარტიული ორგანიზაციების მხრივ განსაკუთრებით სოფლად, თვით სადელეგატო კრებების მუშაობის მოუქნელი სისტემა, და აღმოსავლური ცხოვრებისათვის მეტად მწვავე საკითხების სუსტი გამოხატვა ზოგჯერ სადელეგატო კრებებს აქცევდენ პოლიტსკოლების სკოლებად, უსპობდენ რა მათ აქტიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებათ გარდაქმნის საშუალებას.

მთელ რიგ ადგილებში, სადაც პარტიული ხელმძღვანელობა ან სრულიად არ სჩანდა, ან მეტად სუსტი იყო, სადელეგატო კრებები ვერ აძლევდენ პარტიას ცნობებს სრულწლოვან ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებების, სკოლებში ქალთა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების გახრწნის ელემენტების შესახებ, რაც უპირველესად ეხება მუშა და გლეხ-ქალებს, ხშირად აქტივისტებსაც.

შემჩნეული იყო არაამხანაგური, ზოგჯერ პირდაპირ დაუშვებელი მოპყრობა ქალისადმი წარმოებებში, აქტივისტ ქალების მკვლელობის შემთხვევები, ლოთობის გავრცელება ქალებსა და ბავშვებს შორის, ყველა აღნიშნული და მთელი რიგი სხვა სერიოზული საკითხები არ ისმებოდა სადელეგატო კრებების მიერ და არ ხდებოდა ფართე მსჯელობის საგანი, სადელეგატო კრებები არ უწევდენ სათანადო წინააღმდეგობას გახრწნის ელემენტებს.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გამოაშკარავება, მშრომელ ქალთა ჩამორჩენილ ფენებისათვის ნათელ ფორმებში, ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საკითხების კონკრეტიზაცია, წინააღმდეგობის გაძლიერება ყოფა - ცხოვრების გახრწნის ელემენტებისათვის, სადელეგატო კრებების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელობის მოგვარება ამ მუშაობაზე — ასეთია სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიის ამოცანები.

სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანია ხდება პარტიის მეორე ყრილობის მოწვევის 25 წლის იუბილეს და ქალთა განყოფილებების არსებობის 10 წლის თავს. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საარჩევნო კამპანიის დროს იმ მიზნით, რომ საუკეთესო მუშა და მოჯამაგირე ქალები, რომლებმაც დაამთავრეს სადელეგატო კრებები, ჩაბმულ იქნენ პარტიაში და ახალი სადელეგატო კრება კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს პარტიას. სადელეგატო კრება გავლილი დელეგატ - ქალები უნდა დარჩენ პარტიის სისტემატიურ ზეგავლენის ქვეშ. მათი წრიდან უნდა სწარმოებდეს ქალების გეგმიანი დაწინაურება საბჭოთა და საზოგადოებრივ მუშაობაზე და ცოდნის მისაღებათ. ქალები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ თავისი წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია— პირველ რიგში უნდა იქნენ მოზიდული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში.

ახლად არჩეულმა სადელეგატო კრებებმა უნდა გააძლიერონ კავშირი დასავლეთის სადელეგატო კრებებთან და სისტემატიური დახმარება უნდა გაუწიონ მათ თავისი გამოცდილებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცკას მდივანი **სმირნოვი.**
ცკას ქალთა შორის მუშაობის განყ. გამგის მოადგილე **მალიგინა.**

გავატარებთ ცეკას პლენუმის დადგენილებებს

(შორაპანის მაზრა)

28 ივნისს, ქ. ზესტაფონის კომუჯრედების გაერთიანებულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 104 ამხანაგი, მოსმენილ იქნა ამხანაგ ო. კომახიძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცკას უკანასკნელი პლენუმის შედეგებზე.

დამსწრეთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თვითკრიტიკის ლოზუნგმა. კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა, რომლებიც შეეხენ ზოგიერთ ამხანაგების დაუდევარ მუშაობას, სამსახურში გულგრილობას და უდიერობას.

„თემაღმასკომის თავმჯდომარეებმა და ს. პასუხისმგებელმა მუშაკებმა—ამბობდენ ორატორები,—შეასუსტეს მიწების ყიდვა - გაყიდვასთან ბრძოლა, აღარ ექცევა სათანადო ყურადღება გზების და ხიდების აღმშენებლობას, სწავლა განათლების საკითხი სწორად ვერ არის მოგვარებული, სკოლებში მოწაფეების დიდ უმრავლესობას მდიდრებისა და კულაკების შვილები შეადგენენ“.

ერთი ამხანაგი სხვათა შორის შეეხო მიწის მზომლების უმოქმედობას, სოქმიო პუნქტის სისუსტეს. კამათში აღინიშნა აგრეთვე, რომ შორაპნის გრუზილ-ავეჯეულობის ფაბრიკის მუშაობას აქვს მრავალი ნაკლოვანება, რაც საწარმოთა თანხების უმოქმედობის შედეგია და სხვა.

მოხსენების გარშემო შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომელზედაც ამხ. კომახიძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კამათის დამთავრების შემდეგ კრებამ ერთ ხმათ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„კრება სავსებით და მთლიანათ უერთდება საქ. კ. პ. (ბ) ცკას პლენუმის დადგენილებებს და აცხადებს, რომ მიიღებს სათანადო ზომებს მათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კრებას საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა არა პარტიულ ორგანიზაციებზე, საქმიანი კონტროლი გაუწიონ სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობას, ებრძოლონ და აღმოფხვრან პარტ-ორგანიზაციაში შენიშნული მავნე გადახრები, უდისციპლინობა, გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა და სხვა.

შ. ზრუდაძე.

კომკავშირში

ყურადღება ასაკგადაცილებულთ

კომკავშირის ორგანიზაციაში ერთ-ერთ მტკივნეულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ არის მოგვარებული ასაკგადაცილებულთა საკითხი.

პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საქმე, მიმართული პარტიის პროლეტარული ბირთვის გადიდებისა და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისაკენ პარტიის გარეშე სტოვებს კომკავშირელთა არა მუშურ ფენების დიდ ნაწილს.

მაგრამ განა ამით უნდა დასრულდეს კომკავშირის ორგანიზაციაში გამოზრდილი ამხანაგების საქმიანობა? განა კომკავშირის ტრადიციებზე აღზრდილი მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა, რომელიც პარტიაში მოხვედრა ვერ მოახერხა რაიმე მიზეზის გამო, პასიურ განწყობილებას უნდა მიეცეს?

სრულებითაც არა.

საბჭოთა საზოგადოებრიობა დღითი დღე იზრდება, მშრომელი მასები თანდათან უფრო აქტიურად ებმებიან მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს მშენებლობაში. სწორედ ამ მუშაობაში უნდა იქნეს ჩაბმული ასაკ გადაცილებულ კომკავშირელთა არმიაც, მან მეტის ენერგიით უნდა განაგრძოს თავისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

საბჭოები, კოოპერაცია, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებები და სხვა — აი სად უნდა გამოვიყენოთ ასაკ გადაცილებულ კომკავშირელთა აქტივობა.

ადგილობრივმა პარტიულ ორგანიზაციებმა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ კომკავშირის გარეშე დარჩენილ ამხანაგების შემადგენლობა მათი უნარიანობის მიხედვით და ჩააბან ისინი შესაფერის მუშაობაში.

კომკავშირის ყოველდღიურ ზრდასთან ერთად თავს იჩენს კიდევ მეორე მნიშვნელოვანი დეფექტი: პარტბირთვის სიმცირე. ამას თუ მივუმატებთ იმ გარემოებას, რომ პარტიის რიგებში მიღებული კომკავშირელები სცილდებიან საკავშირო მუშაობას, ცხადი შეიქნება იმ რთული ამოცანის სიძნელე, რომელიც კავშირის პარტბირთვის გაძლიერებაში მდგომარეობს.

საქართველოში კომკავშირის არსებობის მე-11 წლის თავზე ზედმეტია პარტიულ ხელმძღვანელობის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. ეს ხელმძღვანელობა კი მხოლოდ მაშინ არის ძლიერი და საქმიანი, როდესაც კავშირის შემადგენლობაში პარტიული კომკავშირელების პროცენტი დამაკმაყოფილებელია. მიღებულ უნდა იქნეს დროული ღონისძიებანი იმისათვის, რომ კომკავშირის საუკეთესო, შემოწმებული და მუშაობაში გამობრძმედილი ნაწილი გადაეცეს პარტიის რიგებს (პირველ რიგში მუშები, ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები).

აღნიშნულ ამოცანის გადაჭრა ძნელია და მეტად მნიშვნელოვანი, ამიტომ პარტორგანიზაციამ და კომკავშირმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მას.

ნ. ფ—ძე.

სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის კომიტეტი

საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ აღიარა სოფლის ინდუსტრიალიზაციის მუდმივი კომიტეტის შექმნა საკავშირო საგეგმო კომისიასთან.

პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილების პროექტის თანახმად კომიტეტის ამოცანას შეადგენს სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკონტროლო ციფრების შედგენა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების, შენახვისა და გადაზიდვის გეგმების შედგენა, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ რაიონების თავისებურობასთან შეფარდებით. ასეთი გეგმა უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთოდ სასოფლო-მეურნეობის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობათა სწრაფ ინდუსტრიალიზაციას. ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში ისმება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ ქარხნების და მსხვილ სამრეწველო კომბინატების ტიპის შერჩევისა და ორგანიზაციის საკითხი.

კომიტეტის ამოცანას შეადგენს ყველა იმ უწყებათა და ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმება და მოწესრიგება, რომლებიც სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციაზე მუშაობენ და აგრეთვე სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და ელექტროფიკაციის გეგმების შეთანხმება.

კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების ტეხნიკის ფართედ შესწავლის და სამეცნიერო-ტეხნიკურ, სამოსწავლო და გამომკვლევ დაწესებულებათა მუშაობის გაერთიანებას სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

მზადება კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

7 ივლისს თბილისში კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებასთან დაარსდა დღესასწაულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია. კომისიაში შედიან: ცეკავშირის, სოფლის კავშირის, „ზაკსოიუზი“-ს, „ზაკტეპის“, სამხედრო კოოპერატივის და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

კომისიამ შეიმუშავა თბილისში კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით 8 ივლისამდე ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე რადიოს საშუალებით გადაცემული იქნება მოხსენებები შემდეგ თემებზე: კოოპერაციის საერთაშორისო დღე, კოოპერაცია და კულტურული რევოლუცია, სამომხმარებლო კოოპერაციის როლი საბჭოთა მეურნეობაში, კოოპერაციის როლი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, კოოპერაცია ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში და სხვ.

კოოპერაციის დღესასწაულში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით, 7 ივლისს მოეწყობა კონცერტ-მიტინგები.

კონცერტი - მიტინგები გამართება მუშათა ახალ კლუბში, ავლაბრის მუშათა კლუბში, ტრამვაის მუშათა კლუბში, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში და დიდუბეში.

კონცერტ-მიტინგების დამთავრების შემდეგ, იმავე კლუბებში წევრებისათვის უფასოდ ნაჩვენები იქნება კინოსურათები, უმთავრესად კოოპერატიულ შინაარსისა. ასეთი შინაარსის კინო-სურათები უკვე მიღებულია მოსკოვიდან, რიცხვით 13.

ამავე კომისიის დადგენილებით, 7 ივლისს თბილისში მოეწყობა ბაზრობა-კარნავალი. კარნავალის მოწყობაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისში მომქმედი სხვადასხვა კოოპერატივები.

ბაზრობა-კარნავალი გადაღებული იქნება კინო-ლენტზე.

კარნავალს ექნება მასიური ხასიათი.

7 ივლისს სარეწაო კოოპერაციის ცენტრი შინამრეწველთა კლუბში მოაწყობს სპეციალურ გამოფენას, რომელზედაც გამოფენილი იქნება შინამრეწველთა არტელების საუკეთესო ნაწარმოებები და დიაგრამები საქართველოში შინამრეწველობის განვითარების შესახებ.

დღესასწაულთან დაკავშირებით გადაწყვეტილია თბილისის მუშათა კოოპერატივის წევრებისათვის გაიხსნას 2 საბავშო ბაღი.

გარდა ამისა, დღესასწაულის აღსანიშნავად ახლო ხანში თბილისში გაიხსნება სპეციალური მაღაზია —„დედათა და ბავშვთა მაღაზია“, რომელშიაც დაკლებულ ფასებში გაიყიდება ძუძუმწოვებელ დედათა და ბავშვთათვის საჭირო საგნები, მოზრდილ ბავშვთა გასართობი ნივთები და სხვ.

ეკონომიურ საბჭოში

აბრეშუმის პარკის დამზადება

ეკონომიური საბჭოს ა.-წ. აპრილის 6-ის დადგენილების შესაცვლელად, აბრეშუმის პარკის 1928 წ. მოსავლის ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციათ აღიარებულ იქნა „საქართველოს აბრეშუმი“, რომელსაც დაევალა პარკის დამზადება საქართველოში „სოფლის კავშირის“ და აფხაზეთში, აფხაზეთის „სოფ. კავშირის“ მეშვეობით.

დაევალა „საქართველოს აბრეშუმს“ გამოყოს ქუთაისის მაზრაში დამზადებული — 5.000 ფ. მშრალი პარკი ექსპორტისათვის.

სამტრედიის კირის ქარხნის შეკეთება

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გაღებულ იქნეს ადგილობრივ მრეწველობის ფონდიდან სამტრედიის კირის ქარხნის შესაკეთებლად 6.048 მან.

საძოვრების საიჯარო გამოსაღების გადახდის ვადის გაგრძელება

ეკონომიური საბჭოს დადგენილებით საძოვრების საიჯარო გამოსაღების გადახდის ვადა გაგრძელებულია 1928 წ. აგვისტოს 15-მდე.

კრამიტისა და აგურის გამოსაწვავი ღუმელების მოწყობა ლეჩხუმის მაზრაში

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. ს.-თან არსებული ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელ კომისიის დადგენილება ლეჩხუმის აღმასკომისათვის აგურისა და კრამიტის ორი გამოსაწვავი ღუმელის ასაგებად 15.460 მან. კრედიტის მიცემის შესახებ.

მზადება საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების რაციონალიზაცია

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასაღების მოწესრიგებას საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის.

ღონისძიებების პირველი ჯგუფი გულისხმობს ცვლილებებს მოსახლეობის ჯგუფების კლასიფიკაციის მეთოდში სასოფლო - სამეურნეო მანქანების ნისიად და შეღავათიან პირობებში მიწოდების დროს. დღემდე ეს კლასიფიკაცია ხდებოდა ორი ნიშნის მიხედვით: მუშა - საქონლის რაოდენობისა და ნათესების სივრცის მიხედვით, რაც მრავალ გაუგებრობას იწვევდა (მაგალითად, საშუალო შეძლების გლეხი ხვდებოდა შეძლებულ გლეხობის ჯგუფში). ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საჭიროდ თვლის შემოღებულ იქნეს სოფლის მოსახლეობის კლასიფიკაცია ფინანსიურ ორგანოების საგადასახადო ცნობების მიხედვით და კლასიფიკაციის დროს მხედველობაში იქნეს მიღებული მეურნეობაში გაერთიანებულ მჭამელთა რიცხვი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საჭიროდ თვლის აგრეთვე ცვლილებების შეტანას საერთო კრედიტების განაწილებაში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შორის და ღარიბთა ფონდის კრედიტების განაწილებაში კოლექტიურ და ღარიბთა ინდივიდუალურ მეურნეობებს შორის. ცვლილება გამოიხატება გრძელ და მოკლევადიანი კრედიტების გაცემის სხვადასხვა ნორმების დაწესებაში და სხვ.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ღონისძიებათა მეორე ჯგუფი მიზნად ისახავს სასოფლო - სამეურნეო მანქანების გასაღების რაციონალიზაციას. ვაჭრობის კომისარიატი საჭიროდ თვლის ერთგვარ ფასების დაწესებას სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებისათვის ერთგვარ მანქანებზე.

საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების დროს ყველა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებს წინადადება მიეცემა კოოპერატიულად დარაზმავ მოსახლეობას სასოფლო - სამეურნეო მანქანები მიჰყიდონ კრედიტების გაცემის არსებულ პირობების მიხედვით.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა

რა გაკეთდა ივნისში

ს. მ. უ. ს. ახალშენებათა სამმართველოს ცნობებით ივნისის განმავლობაში სწარმოებდა გაცხოველებული მუშაობა შემდეგი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებათ:

თბილისის მაუდის ფაბრიკა. ივნისის პირველი რიცხვებიდან დაწყებულ იქნა ფაბრიკის შენობების მოწყობა შიგნიდან. დამთავრებულია ფაბრიკის მთავარი კანტორის კედლების შელესვა, დასრულდა მთავარი შენობის სახურავის კეთება და დაწყებულია ცემენტის სამუშაოები. შენობების კარებისა და ფანჯრების კეთება დამთავრებულია.

სოფ. შინდისში (გორის მაზრა), დასრულდა ხილის სახმობი ქარხნის აგება. ქარხნის მოწყობილობათა დადგმა მოთავებულია და ამჟამად სწარმოებს მხოლოდ ფარდულების მოწყობა. შინდისში ხილის სახმობი ქარხნის გახსნის ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო. დასრულდა აგრეთვე ასეთივე ქარხნის აგება ახალციხეში. ქარხნის შენობაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა მოწყობილობების დადგმა. გეგმით ქარხნის მოწყობა დასრულებული უნდა იქნეს აგვისტომდე.

კასპის ცემენტის ქარხანა. სწარმოებს სამზადისი ქარხნის მთავარი შენობის აგების დასაწყებათ. შენობის საძირკვლების ჩასაყრელი ადგილი გამზადებულია. ივნისის განმავლობაში სწარმოებდა სააღმშენებლო მასალების დამზადება.

სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა) აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა. ივნისის განმავლობაში დასრულდა რკინის გზის ჩიხის გაყვანა და დაიწყო აგურის საწვავი ღუმელის აგება. ქარხანა მზად იქნება შემოდგომისათვის.

გარდა ამისა ივნისის განმავლობაში მუშაობა სწარმოებდა ქუთაისის აბრეშუმის ქარხნის ასაგებათ, ზუგდიდის რძის პროდუქტების ქარხნის დასამთავრებლად. სოფ. ტყვირში (შორ. მ.) აგურ-კრამიტის ქარხნის ასაგებათ და მოწამეთის კირის ქარხნის ასაგებათ.

საქართველოს ცაკის მეოთხე სესიის დადგენილებანი

დადგენილება № 43

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების—საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 34 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გადაკეთებულ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად.
2. დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს გამოსცეს და სამოქმედოდ შემოიღოს დებულება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: შ. მათიკაშვილი.

1928 წ. ივლისის 4.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 44

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 33 მუხლისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-12 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გადიდებულ იქნეს 24 წევრამდე.
2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ი. ბ. ბოლქვაძე, გ. ა. მგალობლიშვილი და ვ. ა. ვაშაკიძე, ხოლო ბ. ტ. მიჩაძე კანდიდატობიდან გადარიცხულ იქნეს პრეზიდიუმის წევრად.
3. ამხ. შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი განთავისუფლებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობისაგან.
4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნეს ამხ. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: შ. მათიკაშვილი.

1928 წ. ივლისის 4.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 45

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრთა შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 33 მუხლისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-12 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. სიმონ პილატის ძე ჟუღელი განთავისუფლებულ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან.

2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნულ იქნენ, ამხ. ამხ. გერმან ანდრიას ძე მგალობლიშვილი და ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვ-კავკასკი; ამასთანავე გერმან მგალობლიშვილი დატოვებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარის თანამდებობაზე.

3. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. სიმონ პილატის ძე ჟუღელი.

4. ამხ. ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე განთავისუფლებულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

5. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. გიორგი დავითის ძე ყურულაშვილი.

6. ამხ. ანდრია გიორგის ძე დოლიძე თანახმად მისი თხოვნისა განთავისუფლებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის თანამდებობისაგან.

7. ამხ. ვლადიმერ გიორგის ძე ივანოვ-კავკასკი დანიშნულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.

8. ამხ. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი განთავისუფლებულ იქნეს იუსტიციის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან.

9. იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი.

10. ვალერიან ათანასეს ძე ვაშაკიძე დანიშნულ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: შ. მათიკაშვილი.

1928 წ. ივლისის 4.
თბილისი-სასახლე.

724.936 მანეთის ხელსაწყოები და მასალა

„საქ. ჩაი“-ს ქარხნებისა და ლაბორატორიებისათვის

„საქართველოს ჩაი“-მ ვაჭრობის კომისარიატს გადასცა დაკვეთა, რომლის თანახმად შემოზიდული უნდა იქნეს ჩაის თესლი, ჩაის მანქანები, ქიმიური ხელსაწყოები და მიწის ხელოვნური სასუქი, სულ 724.936 მანეთის ღირებულების.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება 3.825 ჰექტარ მიწაზე. ჩაის თესლი ამ ახალი პლანტაციებისთვის დამზადებული უნდა იქნეს 1929 წლის დამლევისათვის. ჩაის მანქანები შემოზიდული იქნება ჩაქვში ჩაის ახალი ფაბრიკის მოსაწყობათ, რომელმაც მუშაობა უნდა დაიწყოს 1929 წლის სეზონში.

ამჟამად „საქართველოს ჩაი“-ს განკარგულებაში იმყოფება 3 საცდელი სადგური; ერთი (ცენტრალური) ოზურგეთში და ორი განყოფილება ჩაქვსა და ზუგდიდში. ამ სადგურებთან არსებულ ლაბორატორიების თითქმის მთელი მოწყობილობა უკვე შეძენილია. ნაწილი მოწყობილობისა მიღებულია. ლაბორატორიებს აკლია ზოგიერთი ზუსტი ხელსაწყოები, ქიმიურად წმინდა რეაქტივები და გასაწმენდი მინის ჭურჭელი. „საქართველოს ჩაი“-ს დაკვეთილი აქვს — 10,000 მანეთის ქიმიური ხელსაწყო. „საქართველოს ჩაი“ს პლანტაციებისათვის საჭირო მიწის ხელოვნური სასუქი ნაწილობრივ შემოზიდული იქნება საზღვარგარეთიდან და ნაწილობრივ რუსეთიდან.

გარდა ამისა, „საქართველოს ჩაი“-მ წარადგინა მოთხოვნილება ავტო-ტრანსპორტის შემოზიდვის შესახებ. ავტოტრანსპორტის შემოზიდვის საკითხი ამ.-კავ. ვაჭრობის კომისარიატში განხილული იქნება ახლო მომავალში.

ოზურგეთის აბრეშ. ძაფ ახვევი ქარხნის ამუშავება

ახალშენებათა სამმართველომ ოზურგეთიდან მიიღო დეპეშა, რომ 2 ივლისს მოხდა ოზურგეთში ახლად აგებული აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხნის ამუშავება. ქარხანაში ამუშავებულია ჯერჯერობით მხოლოდ 24 მანქანა, ხოლო სულ დადგმული და მოწყობილია 92 ძაფსახვევი მანქანა.

ყველა მანქანები დაუბრკოლებლივ მუშაობენ.

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნის საზეიმო გახსნა დანიშნულია 15 ივლისისათვის. ახალშენებათა სამმართველო ქარხნის საზეიმო გახსნაზე გზავნის თავის წარმომადგენელს. ხსენებული ქარხნის აგება დაწყებულ იქნა ერთი წლის წინად. ყველა მოწყობილობები მიღებულია საზღვარგარეთიდან.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

3 ივლისს, თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის მსხვილ სავაჭრო ფირმების წარმომადგენელი ალი-აღა-ნური-ოღლი, რომელიც მიემგზავრება ნიჟეგოროდის ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

ალი-აღა-ნური-ოღლის გადმოცემით, ვაჭრობას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიდი წარმატება ეტყობა. სპარსეთის ვაჭრობაში საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი საქონლის როლი თანდათან იზრდება. გარდა ამისა შესამჩნევად იზრდება აგრეთვე სპარსეთიდან საბჭოთა კავშირში შეტანილ საქონლის რაოდენობა.

წელს სპარსეთი ფართოდ ღებულობს მონაწილეობას ნიჟეგოროდის ბაზრობაზე. ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნებიან ბევრი ისეთი სპარსული ფირმები, რომლებიც დღემდე საბჭოთა კავშირთან არ აწარმოებდენ რაიმე სავაჭრო ურთიერთობას.

საბჭოთა კავშირიდან სპარსეთში გატანილი საქონელი დიდი ნდობით სარგებლობს და მასზე დიდი მოთხოვნილებაცაა.

გერმანელი სპეციალისტი მეცხვარეობის შესახებ ჩვენში

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის მეცხვარეთა საზოგადოების წარმომადგენელი და მეცხვარეობის სპეციალისტი გ. ეიდერლანდი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის მეცხვარეობის საქმის ხელმძღვანელად.

საქართველოში მეცხვარეობის პერსპექტივების შესახებ გ. ეიდერლანდმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— მე ზოგადათ უკვე გაცნობილი ვარ მეცხვარეობასთან საქართველოში და შემიძლია გადაჭრით ვსთქვა შემდეგი: რომ თქვენში მეცხვარეობის საქმე ისე იყოს დაყენებული, როგორც ეს კერძოთ გერმანიაში, აქაური მატყლი დაიპყრობდა მთელ ბაზარს. შესანიშნავი ალპიური პირობები დიდ გასაქანს იძლევიან საქართველოში მეცხვარეობის საქმის განსავითარებლად. საზოგადოთ, ალპიურ ბუნებაში გაზრდილი ცხვარი იძლევა საუკეთესო ღირსების მატყლს.

მე მოწვეული ვარ საბჭოთა კავშირში სამუშაოთ ერთი წლის ვადით და ამ ხნის განმავლობაში დავალებული მაქვს შევისწავლო მატყლის დამზადებისა და მისი გამოყენების საქმე და უხელმძღვანელო ადგილობრივ მეცხვარეებს ცხვრის მოვლის საქმეში. ამასთანავე ჩემს მიზანს შეადგენს შევქმნა კავშირი და დავამყარო ურთიერთობა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეცხვარეთა საზოგადოებებს შორის.

დღეს, 5 ივნისს, საღამოს 6 საათზე სასახლეში
ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გამაუმჯობესებელი
კომისია იწვევს
მეორე გაფართოებულ თათბირს მეძაობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ
დასწრება სავალდებულოა ყველა მოწვეულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისათვის.

საქ. ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ამოცანები

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქ. ახ. ლენ. კომ. ცეკას პლენუმზე*)

რას კითხულობს კომკავშირი

ამხანაგებო! როდესაც არალეგალურად ვმუშაობდით, ჩვენ წინაშე მარტივი და ნათელი ამოცანები იდგა. ჩვენ უნდა გვებრძოლა აშკარა მტრის წინააღმდეგ, უნდა დაგვემხო არსებული ხელისუფლება. ეხლა ჩვენ მმართველი სახელმწიფო პარტია ვართ და ჩვენი ამოცანები საგრძნობლად გართულდნენ. ჩვენს წინაშე სოციალისტური მშენებლობის უდიდესი სირთულის ამოცანაა და თუ კულტურულად არ მოვემზადეთ, ვერ დავძლევთ ამ ამოცანას. ეს უნდა ახსოვდეს ყველა კომკავშირელს.

ამას გარდა, ყველა კომკავშირელმა უნდა შეიგნოს, რომ სწავლა, მეცადინეობა, სწავლისათვის ისეთივე პასუხისმგებელი და სავალდებულო მუშაობაა, როგორც ყოველი სხვა მოვალეობა, რომელსაც მას პარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ავალებენ. ეტყობა, კომკავშირელებმა ეს ჭეშმარიტება საკმაოდ ვერ შეიგნეს.

კომკავშირელის საერთო კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი იმის შესახებ, თუ რას კითხულობს კომკავშირელი. მე ვითხოვე, მოეცათ ჩემთვის ცნობა ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ცნობა სრული არ არის და ამაზე დაყრდნობა არ შეიძლება, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ყველა იმ სიაში, რომელიც მე გადმომცეს, არც ერთი სერიოზული წიგნი არ არის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არც ერთი კომკავშირელი სერიოზულ წიგნს არ კითხულობს, მაგრამ ეტყობა სერიოზულ მკითხველთა რიცხვი უმნიშვნელოა. ჩემ მიერ მიღებული სიით, ერთ დროს ხალისით კითხულობდენ ჯავახიშვილს, მაგრამ მისი წიგნების კითხვას თავი მიანებეს, როგორც ეტყობა იმიტომ, რომ ჯავახიშვილი პრესაში გამოილანძღა. ეს ფაქტი ფრიად საგულისხმოა. მაგრამ არა ჯავახიშვილის შეფასების თვალსაზრისით („კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ჯაყოს ხიზნები“ კარგად წასაკითხია მხოლოდ მატარებელში, ღამე, და არა ღირს ამ ლიტერატურაზე დროის დაკარგვა) — ეს გვიჩვენებს, რომ კომკავშირელი კრიტიკულად არ ეკიდება ლიტერატურას, კომკავშირელები არ ცდილობენ თავიანთი ჭკუით შეაფასონ ავტორი და მისი ნაწარმოები. ისინი, როგორც ეტყობა, ელიან რეცენზიას ან პარტიული ხელმძღვანელის აზრს.

არა ქართულ ავტორებიდან უფრო კითხულობენ გორკის, ლონდონს, კელერმანს, ხეიფელინას, სინკლერს. ვერაფერს ვიტყვით ამ ავტორების წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ არ შეიძლება კომკავშირელის კულტურული მომზადება დავამყაროთ მარტო კელერმანსა და ხეიფელინაზე.

მაქვს ცნობები მოძრავი ბიბლიოთეკიდანაც. ამ ცნობებით, ერთი თვის განმავლობაში კომკავშირელებს თბილისში ბიბლიოთეკიდან გაუტანიათ მხოლოდ 266 წიგნი. თბილისში კი 15.000 კომკავშირელია. ასეთი უმნიშვნელო ციფრი — 266 — გვეუბნება იმას, რომ კომკავშირელები თითქმის არაფერს არ კითხულობენ. შეიძლება ეს ციფრი საზოგადოთ სწორი არ იყოს. მაგრამ თუნდაც დაუშვათ, რომ 15.000 კომკავშირელმა გაიტანა არა 266, არამედ 1.000 წიგნი, შედეგი მაინც უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ.

კომკავშირელმა თვითონ უნდა გაითვალისწინოს ამ მოვლენის მთელი უხერხულობა და გამოიჩინოს ამ მხრივ მაქსიმალური აქტიობა. ახალგაზრდობის კულტურულ დონის ამაღლება—რთული და ძნელი ამოცანაა და მას ვერ დავძლევთ, თუ შიგნით არ მოხდა ცვლილება, თუ თვით კომკავშირის რიგები არ გამოიღებენ თავს.

მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში

გადავიდეთ საკითხზე კომკავშირის მუშაობის შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობაში. მე უკვე ვთქვი, რომ ანტისაბჭოთა ელემენტების კონტინგენტის შევსება ხდება უმთავრესად ჩვენი საბჭოთა სკოლებიდან.

მენშევიკური პარტია საქართველოში თავის აქტიურ ძალებს მუშებიდან კი არ ჰკრებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდობიდან, უმთავრესად იმ ახალგაზრდობიდან, რომლებიც ამთავრებენ ჩვენს სასწავლებლებს და ცხრაწლედებს.

ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი რჩება ჩვენი გავლენის გარეშე (კომკავშირში ითვლება მოსწავლე ახალგაზრდობის მხოლოდ 6 პროცენტი) და წარმოადგენს ანტისაბჭოთა ელემენტების ბაზას. კომკავშირმა კლასიური იდეოლოგიური ბრძოლა ჩაატარა და დიდი მუშაობა შეასრულა ახალგაზრდათა მარქსისტულად დასარაზმად. მაგრამ ამასთანავე მან ვერ შეამჩნია, რომ მათ გვერდით ეწყობა ახალი ანტისაბჭოთა მოძრაობა.

ამხანაგებო, თუ ჩვენ არ შეგვიძლია ნამდვილ კომკავშირელებად გავხადოთ მოსწავლე ახალგაზრდობის უმრავლესობა, ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ იმდენად ნეიტრალურად გავხადოთ ეს მასა, რომ ის საბჭოთა სკოლების დამთავრების შემდეგ ანტისაბჭოთა პარტიებში არ მიდიოდეს. კომკავშირის მუშაობა ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებს.

ყოფა-ცხოვრების საკითხი

ეხლა ნება მიბოძეთ გადავიდე ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

მე ბევრს ვერაფერს დავუმატებ იმას, რაც სთქვა ამხ. ჯავახიძემ. ჭინკლაობა, ლოთობა, არაამხანაგური დამოკიდებულება ქალისადმი, არამეგობრული ურთიერთდამოკიდებულება— ყველა ამ ფაქტებს ადგილი აქვს თქვენს ორგანიზაციაში, რა თქმა უნდა, ამ მოვლენებს მასიური ხასიათი არა აქვს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად დაშორებულია სინამდვილეს ჩვენი მტრების ლაყბობა, თითქოს კომკავშირი იღუპება გარყვნილებისა და ლოთობის გამო. კომკავშირი საერთოდ სავსებით ჯანსაღი ორგანიზაციაა და თუ ამ ორგანიზაციაში ადგილი აქვს ავადმყოფურ მოვლენებს, ისინი უნდა აღმოიფხვრას და კიდევაც იქნება აღმოფხვრილი ახალგაზრდობის საერთო კულტურული დონის აწევით.

არ მახსოვს, მგონი ქუთაისელი ამხანაგი ამბობდა, რომ იყო შემთხვევა, როდესაც კომკავშირელი უჯრედის სხდომაზე კი არ წავიდა, არამედ ქორწილში და თავისი საქციელი ითი დაასაბუთა, რომ ქორწილში მხიარულება და მუსიკაა, უჯრედში კი მოწყენილობაა. ეს მართალია ამხანაგებო, უჯრედების სხდომები ზოგჯერ იმდენად მოსაწყენია, რომ ატანა შეუძლებელია. უჯრედების სხდომების დღის წესრიგი ხშირად არანორმალურად არის დატვირთული ან არასაინტერესო საკითხებით, ან წვრილმანი ჭინკლაობით; გარდა ამისა, სხდომები იმართება პატარა ოთახებში, სადაც თამბაქოს კვამლი შეუძლებელს ხდის სუნთქვას და ამის შედეგად იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც კომკავშირელს გულს უცრუებს უჯრედში მუშაობაზე.

მეორეს მხრივ ჩვენს კომკავშირში ძლიერ ცუდათ არის დაყენებული კომკავშირელთა გართობის საქმე. ჩვენ დღემდე არ გვაქვს ისეთი ორგანიზაცია, სადაც კომკავშირელებს შეეძლოთ მიიღონ ჯანსაღი გართობა. ამხანაგებო, სიმღერა, სიცილი, მხიარულება, ცეკვა სრულებითაც არ წარმოადგენს ცოდვას, ახალგაზრდობაში და სავალდებულოც კია. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამე უნდა ვისწავლოთ ბურჟუაზიისაგან. უცხოეთში მოხუცებიც კი ბავშვივით თამაშობენ, ცეკვავენ და მხიარულობენ. ჩვენი უკულტურობა იმდენად შორს წავიდა, რომ ასეთი რამე სასაცილოდ გვეჩვენება. რატომ? მხიარულად და ჯანსაღად ყოფნის უნარი ხომ ადამიანის ღირსებას წარმოადგენს. ჩვენში არა თუ მოხუცებს, არამედ კომკავშირელებსაც კი აკლია ხალისი და ჯანსაღი მხიარულება. თვითმკვლელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს რიგებში, ნაწილობრივ წარმოადგენს ცხოვრებისადმი ასე ცუდად გაგებული ცრუ-სერიოზული დამოკიდებულების შედეგს. კომკავშირელი, რომელიც მოკლებულია აუცილებელ ჯანსაღ გართობას, დაბლა ეშვება და ხშირად ლოთობასა და გარყვნილებას ეწევა. ამხანაგებო, თქვენ მთელი თქვენი ძალღონე უნდა მოახმაროთ იმას, რომ დავსძლიოთ ასეთი გადამახინჯებათა შესაძლებლობა თქვენს ყოფაცხოვრებაში. რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? უწინარეს ყოვლისა უნდა აწიოთ კომკავშირელთა საერთო კულტურული დონე. ეს არის რთული ამოცანა, რომელიც მოითხოვს არა 1 ან 2 წლის მუშაობას. ბუნებრივია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია კომკავშირის ყოფაცხოვრების გაჯანსაღების საკითხში დაველოდოთ იმ დრომდე, სანამ კომკავშირის კულტურობა იმ დონემდე მიაღწევს, როდესაც მახინჯ მოვლენათა შესაძლებლობა თავისთავად მოისპობა. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად კომკავშირმა უნდა ჩაატაროს შემდეგი მუშაობა:

1) უნდა გააძლიეროს და გააღრმავოს მასიური მუშაობა კომკავშირში.

2) უნდა გააუმჯობესოს გახართობები, ე. ი. მოაგვაროს საკლუბო მუშაობა—გახადოს ის არა მარტო გონივრული, არამედ საინტერესოც.

3) უნდა ჩააბას კომკავშირელთა მასები კომკავშირის სასპორტო ორგანიზაციებში—ფეხბურთში, ატლეტიკაში, გიმნასტიკაში, ლაშქრობებში და სხვ.

4) უნდა მოაწყოს კომკავშირელ ტურისტების წრეები თუნდაც თავისი რესპუბლიკის შესასწავლად. კომკავშირელთა უდიდესი უმრავლესობა საქართველოსაც კი არ იცნობს. ასეთ პირობებში ტურიზმი არა მარტო ჯანსაღი გართობაა, არამედ დიდი კულტურული საქმეც.

მე მინდა კიდევ შევჩერდე ჩვენი კომკავშირის ახალგაზრდობის ქალისადმი დამოკიდებულების მტკივნეულ საკითხზე. თეორიულად, რა თქმა უნდა, თვითეული კომკავშირელი ქალს თანასწორუფლებიან ამხანაგად სთვლის. მაგრამ სინამდვილეში ხშირად ის საძაგლად და მახინჯად ეპყრობა ქალს. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა კომკავშირელი მეძავ ქალთან მიდის.

ნამდვილ კომკავშირელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს ყველაზე უარესი დანაშაულია პარტიისა და პროლეტარული საზოგადოებრიობის წინაშე.

სასტიკად უნდა იქნეს დაგმობილი აგრეთვე კომკავშირელებში გავრცელებული უხეში მოქცევა, ქუჩური ლანძღვა-გინება, უცენზურო ანეკდოტები და სხ. მე ხელთა მაქვს პორნოგრაფიული დოკუმენტები, მათ შორის ერთი წერილი, რომელსაც საკმაოდ ცნობილი ქართველი პროლეტარული პოეტი უგზავნის პროლეტარულ მწერალსავე. ეს წერილი სავსეა ისეთი უშვერი სიტყვებით, რომ მისი წაკითხვა შეუძლებლად მიმაჩნია. ეს წერილი მოწმობს იმას, თუ სანამდე შეუძლია მივიდეს კომკავშირელს, თავგასულ პროლეტარულ პოეტს, როცა ის სწყდება პარტიას, კომკავშირს და მუშათა მასას.

თუ ძველი მუშებისათვის ძნელია ლანძღვა-გინების დაუყოვნებლივ გადაჩვევა, რადგან ეს ჩვეულება მათში ათეულ წლობითაა განმტკიცებული,—კომკავშირი, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეეცადოს, რომ ასეთმა ჩვეულებამ არ გაიდგას ფესვები მის წრეში.

ამხანაგებო, ყოფა-ცხოვრების საკითხებში კომკავშირელებმა მაქსიმალური სისასტიკე უნდა გამოიჩინონ ერთმანეთისადმი. კომკავშირის აქტივმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ადგილი აღარ ექნეს ხულიგნობას, უხეშ და არა ამხანაგურ მოქცევას ქალისადმი. კომკავშირელებმა სასტიკად უნდა დასაჯონ ის ამხანაგები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ასეთ საქციელში, ხოლო ზოგ შემთხვევაში სრულიადაც განდევნონ თავისი რიგებიდან. ამხ. ორჯონიკიძემ ერთხელ სთქვა, რომ პარტია არა მარტო პოლიტიკურად ერთნაირად მოაზროვნე ადამიანების კრებულია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ერთი მიზნით გატაცებულ მეგობრების კრებულით.

თუ ეს სწორია კომპარტიის მიმართ, მით უფრო სწორია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მიმართ.

მეგობარ-კომკავშირელების ასეთი კრებულის შექმნა შეუძლებელია, სანამ საბოლოოდ არ აღმოიფხვრება ხულიგნობა და დამახინჯებული ეროტიული დამოკიდებულება ქალისადმი, დამოკიდებულება, რომელიც ბურჟუაზიამ დაგვიტოვა მემკვიდრეობად.

თვითკრიტიკის ლოზუნგის შესახებ

ეხლა რამდენიმე სიტყვა თვითკრიტიკის ლოზუნგზე კომკავშირის ყოფა-ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებით. შემცდარად გაგებულ თვითკრიტიკას ზოგიერთ ზიანის მოტანა შეუძლია. პროლეტარულმა კრიტიკოსმა, უკაცრავად ვსთქვათ, პროლეტარულმა მოწყურულმა ქიქოძემ დაწერა მეტად ორიგინალური თვითკრიტიკა პროლეტარული მწერლების ყოფა-ცხოვრებაზე: „ქართველი პროლეტარული მწერალის პირადი ცხოვრება სრულიად არა-პროლეტარული, არა კოლექტიური, ავადმყოფური და საერთოდ ანტისაზოგადოებრივია“-ო. ამ კატეგორიულ დებულებას ის ასაბუთებს არა კონკრეტიულ ფაქტებით და მოვლენებით, არამედ ზოგადი მსჯელობით: „ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ქართველი მწერლები თუ 100 პროც. არა, 99 მაინც წვრილ ბურჟუაზიული და ხშირად კიდევ უფრო უარესი წრიდანაა გამოსული“-ო. არავინ არ დავობს იმაზე, რომ საქართველოში ცოტას შეეძლოთ დაიტრაბახოს პროლეტარული შთამომავლობით, რადგან საქართველოში პროლეტარიატი არ ყოფილა. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ქართველი პროლეტარული მწერალი „ანტისაზოგადოებრივია“.

„შეველიურა, კოვერკოტი და ხავერდი“-ო —ასე ახასიათებს ქიქოძე პროლეტარულ მწერალს. ეს უკვე ნამდვილი ცილისწამებაა. სადაა კოვერკოტი, სადაა ხავერდი? ყველამ იცის, რომ ჩვენი პროლეტარული მწერლების დიდი უმრავლესობა გაჭირვებით ცხოვრობს. ქიქოძე ამტკიცებს, რომ საკავშირო ყრილობაზე გაგზავნილი პროლეტარული მწერლები არაფერს არ აკეთებდენ გარდა იმისა, რომ „დაეხეტებოდენ სამიკიტნოებში და რესტორანებში მეძავ ქალებთან“-ო.

ამხანაგებო, ეს უკვე თვითკრიტიკა კი არა, არამედ ჩვენი პროლეტარული მწერლების, ნაზრდი ლიტერატორების ღვარძლიანი გალანძღვაა, იმ მწერლების, რომელთა ნაწერებზე უნდა აღიზარდოს ჩვენი ახალი თაობა. ვისაც პროლეტარული მწერლობის როლი არ ესმის, ვინც ანგარიშს არ უწევს იმას, რომ პროლეტარული მწერლები, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მათ შორის ცოტაა ნიჭიერი და სავსებით ჩამოყალიბებული პოეტები და მწერლები, ჩვენი მასიური კულტურის საფუძველს წარმოადგენენ,—მას ან არ სწამს ან არ ესმის კულტურული რევოლუციის დიდი ამოცანა.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა გამოვაშკარავოთ და სასტიკად დავგმოთ ყველა ავადმყოფური მოვლენები და შეცდომები როგორც ყოფა-ცხოვრებისა, ისე იდეოლოგიის დარგში, მაგრამ ჩვენ უსათუოდ არ უნდა გავამათრახოთ ყველაფერი და ყოველივე, ეს უკვე თვითკრიტიკა კი არა, არამედ კრიტიკის ნამდვილი გაყალბებაა,—როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს,—რამაც შეიძლება დააფრთხოს და ჩამოაცილოს საუკეთესო ახალგაზრდა კულტურული ძალები, მე, რა თქმა უნდა, იმას როდი ვამბობ, რომ პროლეტარული მწერლების წრესა და ყოფა-ცხოვრებაში ადგილი არა აქვს ნაკლოვანებებს და ხანდახან ძალიან დიდ ნაკლოვანებებსაც. შეიძლება იყოს პარტიის წევრი, სწერო ლექსები და პროლეტარული მწერალის სახელი ატაროს, მაგრამ ამავე დროს არ იყოს იდეოლოგიურად მტკიცე. მე შემეძლო მომეყვანა ბევრი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ხშირად უშვებენ იდეოლოგიურ შეცდომებს ჩვენი პროლეტარული მწერლები. მაგალითად, ერთი პროლეტარული მწერალი—სამსონიძე სწერს, რომ „რევოლუცია მოვიდა როგორც დენდი“-ო. ამხანაგებო, რა არის საერთო რევოლუციისა და ინგლისელ დენდის შორის, რევოლუციისა და ლამაზ ჯენს შორის. აი, როგორი ნახტომები აქვთ ჩვენ პროლეტარულ მწერლებს. მაგრამ ამ მაგალითის მიხედვით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართველი პროლეტარული მწერლები არ არიან კომუნისტური და საზოგადოებრივი ელემენტები. იმავე სამსონიძემ დაწერა საკმაოდ კარგი, იდეოლოგიურად სავსებით დაწვეული მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ აისახა 1905 წ. გლეხის 6 წლის ბავშვის შეგნებაში. შეცდომებსა და ნაკლოვანებებს გამოსწორება უნდა, საჭიროა მეგობრული კრიტიკა და იდეოლოგიური შეცდომებისა და ნახტომების თავიდან აცილება.

პარტიული ხელმძღვანელობა

გადავდივარ პარტხელმძღვანელობის საკითხზე. 1928 წ. კომკავშირში პარტიის წევრების რაოდენობა 7,6 პროც. უდრიდა, ერთი წლის განმავლობაში ეს რაოდენობა 1,8 პროც. გაიზარდა. პარტიის წევრების რაოდენობის ასეთი უმნიშვნელო ზრდა კომკავშირში აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვაფერხებდით არა მუშათა ელემენტების მიღებას პარტიაში.

შემდეგ, მე აღვნიშნე, რომ ცეკამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირის ადგილობრივ ორგანოებს. ხშირად ადგილობრივი პარტიული კომიტეტები კომკავშირს უწევენ წვრილმან მეურვეობას, ერევიან წვრილმანებში და მხედველობიდან უშვებენ სერიოზულ საკითხებს და ავიწყდებათ, რომ მათ (სერიოზული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომკავშირს. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

კულტურული დონე კომკავშირელებისა ჩვენს სოფელში სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ამიტომაც პარტიული უჯრედი კომკავშირის უჯრედს მიამაგრებს ხოლმე რომელიმე პარტიელს საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად. მაგრამ ხშირად ხდება, რომ ეს პარტიული, იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად მოეკიდოს საქმეს ხელი, დაუმეგობრდეს კომკავშირელებს, გაუადვილოს მათ მუშაობა და ამრიგად შეასრულოს დავალება, განზე იჭერს თავს და ზევიდან დაჰყურებს კომკავშირელებს. ადგილობრივ პარტიული კომიტეტები და უჯრედები უნდა ცდილობდენ—კომკავშირის ხელმძღვანელად წამოაყენონ საუკეთესო ამხანაგები, თვალყური ადევნონ მათ მუშაობას და დროგამოშვებით მოსთხოვონ ანგარიში. მეორეს მხრით, ზოგჯერ თვით კომკავშირული უჯრედი არ სცნობს ხოლმე მასთან მიმაგრებულ პარტიელს, დასცინის მას, არ აძლევს მუშაობის საშუალებას და უკარგავს ხალისს, ნაცვლად იმისა, რომ მიაქციოს ხელმძღვანელს ამხანაგური და დაეხმაროს დაკისრებულ ამოცანის შესრულებაში.

კომკავშირის ც. კ.-მა დროით უნდა მიაქციოს ყურადღება დამახინჯებებს ადგილობრივ მუშაობაში და აცნობოს ყოველზე პარტიის ც. კ., რათა თავიდან აცილებულ იქნას ასეთ დამახინჯებათა განვითარება და გაღრმავება.

კომკავშირი და წითელი არმია

შემდეგ—ორიოდე სიტყვა არმიის შესახებ. ამხანაგებო, არ შევჩერდებოდი ამ საკითხზე, რომ ზოგიერთ საშიშ ტენდენციებს არ ვამჩნევდეთ. საქმე იმაშია, რომ კომკავშირელები, განსაკუთრებით პასუხისმგებელი ამხანაგები, ხშირად ხალისით არ მიდიან არმიის რიგებში და იქ წასვლას სასჯელად სთვლიან. იყო ცალკე შემთხვევები, როცა კომკავშირელები ორგანიზატორებიც კი ყოფილან სამხედრო სწავლების წინააღმდეგ გამოსვლისა, არ ვარგა, ძალიან არ ვარგა, ამხანაგებო, ასეთი დამოკიდებულება არმიასთან და მის რიგებში მუშაობასთან. განსაკუთრებით იმ რთულ და საშიშ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ვიმყოფებით, როდესაც საერთაშორისო ბურჟუაზია ომს ამზადებს, ხოლო შინაური კონტრ-რევოლუცია აშკარად და ცხადად იკრებს ძალღონეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომართულ ინტერვენციის შემთხვევისათვის.

ყოვლად დაუშვებელია ამ პირობებში დეზერტირობა, თვალთმაქცობა სამხედრო სამსახურში, უყურადღებობა სამხედრო სამსახურის მიმართ, და ჩვენ უსასტიკესად უნდა ვებრძოლოთ ასეთ საზიანო ტენდენციებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მძიმე პირობებში სამხედრო სამსახური ნიშნავს პარტიის მხრივ განსაკუთრებული ცნობით აღჭურვას და არა სასჯელს.

შემდეგ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ მეტად სუსტ კავშირს, რომელიც არსებობს კომკავშირის და სამხედრო ორგანიზაციებს შორის. ჯარში გაწვეული და სამოქალაქო ორგანიზაციიდან წასული კომკავშირელი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს ამ ორგანიზაციასთან. უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კავშირი იქონიონ ორგანიზაციიდან წასულ ამხანაგთან და უხელმძღვანელონ მას, მით უმეტეს, რომ ამის განხორციელება, ჩვენ არმიაში ტერიტორიალური პრინციპის შემოღების გამო, ძნელი არ არის.

დამოკიდებულება საქ. პოლიტ-სამმართველოს მიმართ

ასეთივე მოვლენის მოწმენი ვართ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიმართ. ხშირად პარტიელები და კომკავშირელები იზიარებენ ობივატელურ აზრს, რომ პარტია ერთია და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—მეორე, და ამ სამმართველოში მუშაობა უდიდეს სასჯელად მიაჩნიათ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ისეთივე საბჭოთა ორგანოა, როგორიც არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სახკომსაბჭო, ც. კ. და სხვა ორგანო, მეტიც; სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ჩვენი მუშაობის ყველაზე მძიმე და ძნელი დარგია, რომელიც მოითხოვს კომუნისტების მხრივ უდიდეს ყურადღებას და გულმოდგინედ მოპყრობას.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდა

უკანასკნელი საკითხი არის ინტერნაციონალური აღზრდა ჩვენს ახალგაზრდობაში.

მე არ ვეხები ამ საკითხს ზოგადად, ინტერნაციონალიზაციის აზრით საერთოდ. ამ მხრივ მე ვფიქრობ, კომკავშირში საქმე რიგზეა. ეხლა, მგონი, ყოველ ჩვეულებრივ კომკავშირელს ესმის, რომ ჩვენი რევოლუციის ინტერესები, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები უშუალოდ არიან გადახლართულნი საერთაშორისო პოლიტიკის, მუშათა საერთაშორისო მუშაობის ინტერესებთან.

მე მინდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალიზაციის საკითხს შევეხო, კონკრეტიულად ქართულ პირობებში. საქართველო ეროვნებათა ნამდვილი კონგლომერატია. საქართველოს ეთნოგრაფიული შემადგენლობის სიჭრელე ნაციონალურ საკითხს განსაკუთრებულად მწვავე მნიშვნელობას აძლევს და ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს ყოველგვარ დამახინჯებისათვის. დამახასიათებელია, რომ მენშევიკები, ნაც.-დემოკრატები და სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, მშვენივრად ითვალისწინებდენ რა ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის სირთულეს საქართველოში, მისი შეუფერებელი განხორციელების სიძნელეს, მთელ თავიანთ ყურადღებას ამ საკითხს აქცევენ, თავიანთი მუშაობის მთელ პროგრამას სწორედ ამაზე აგებენ. ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯება, უფრო მწვავედ იჩენს ხოლმე თავს ინტელიგენტურ ჯგუფებში, ქალაქ ადგილებში, განსაკუთრებით თბილისში.

აი, მაგალითად, სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგიერთი სტუდენტები გაიძახიან თურმე, რომ „სახ. უნივერსიტეტს, რომელიც ისეც კარგად არის მოწყობილ - მომარაგებული, ფულად სუბსიდიასაც აძლევენ, რადგან იქ თავიანთები არიან, ქართველები, ჩვენ კი გარეშე ვართ, ყურადღებას მოკლებულნი“-ო და სხვ. ეს, ამხანაგებო, მავნე და საზიანო ლაყბობაა, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს და ასეთ რამეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი კომკავშირელთა შორის.

ერთ რუსულ მუშფაკში მსმენელები, მათ შორის, კომკავშირელებიც, სასაცილოდ იგდებდენ თურმე თავიანთ ამხანაგ ოსებს, უწოდებდენ მათ ინდიელებს და მოითხოვდენ მათგან, რომ ერთმანეთში „რუსულ ადამიანურ ენაზე“ ელაპარაკათ. როგორ მოხდა, რომ ინტერნაციონალისტი მუშფაკელები მასხარად იგდებენ ოსებს ან ინდიელებს?! მეორე მხრით, ქართველ კომკავშირელის შორის გაისმის თურმე „სიტყვები“ იმაზე, რომ შტატების შემოკლება მოგონილია იმისათვის, რომ ქართველები დაწესებულებებიდან განდევნონ. კომკავშირელმა, რომელიც ყოველგვარ ნაციონალიზმს ებრძვის, არ შეიფეროს [illegible] ათასგვარი მავნე ჭორის გამგონი მეშჩანის ფსიხოლოგიით.

კომკავშირელი ფხიზლად უნდა იყოს, მას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოში ჩვენ ვცხოვრობთ რთულ და მრავალნაციონალურ პირობებში, სადაც ყოველი ნაბიჯი უნდა შეუფარდო იმ ნაციონალურ წინააღმდეგობებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენში.

ჩვენ მთელი ჩვენი გულისყური უნდა მივაპყროთ ერთ-ერთ რთულ პოლიტიკის საკითხს, ინტერნაციონალიზმის საკითხს კომკავშირულ რიგებში, რადგან ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის საკითხში ნაციონალური სოლიდარობის გარეშე — შეუძლებელია გამარჯვება, შეუძლებელია წინსვლა.

---

*) დასასრული,

ქუთაისის წყალსადენი

ქუთაისის ქალაქის წყალსადენის გაყვანის სამუშაოთა უფროსმა ინჟინერმა თუმანიშვილმა შემდეგი აცნობა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს:

— მიწის სამუშაოები საწნეო აუზის ასაგებად სავსებით დამთავრებულია. მთელი მასალა დამზადებულია და ამ დღეებში დაიწყება ქვის სამუშაოები. დაკვეთა წყალსადენის მილებზე გაცემული იქნება ოქტომბერში. ამრიგად, მომავალ წელში მუშაობა იწარმოებს სრული ტემპით იმ ანგარიშით, რომ წყალსადენის გაყვანა დამთავრებულ იქნას 1930 წელში.

წყალსადენის გასაყვანად 600,000 მანეთი დაიხარჯება ადგილობრივი სახსრებიდან, ხოლო დანარჩენი — 1,250,000 მანეთი მიღებული იქნება გრძელვადიანი სესხის სახით.

კვალიფიციური მუშების მომზადება

თბილისის მაუდის ფაბრიკის უზრუნველსაყოფად კვალიფიციურ მუშა-ხელით, საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში გაგზავნილი იყო 55 მუშა, რომელთაც სწავლის ვადა გაუთავდათ 1-ლ ივლისს.

მაგრამ ვინაიდან თბ. მაუდის ქარხანა ნაწილობრივ მუშაობას დაიწყებს მხოლოდ მიმდინარე წლის დეკემბრიდან, გადაწყდა ხსენებულ მუშებს სწავლების ვადა გაუგრძელდეს 5 თვით, პირველ დეკემბრამდე. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ამის გამო დამატებით გადასდო საჭირო თანხა.

მუშების მეორე ჯგუფი საკავშირო საფეიქრო წარმოებებში ცოდნის მისაღებად და კვალიფიკაციის ასაწევად გაიგზავნება პირველი ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ — პირველ დეკემბრიდან.

ფაბრიკაში ნორმალური საწარმოო მუშაობა დაიწყება 1929 წლის 1 ივნისიდან. ამ დროისათვის ფაბრიკას ეყოლება 123 კარგად მომზადებული, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მუშა.

აღმშენებელთა დაზღვევა

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმშენებლობის განვითარებას, მის გეგმიანად წარმოებას და მაქსიმალურად გაიაფებას.

ამ მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად საქ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით სააღმშენებლო ორგანიზაციებისათვის დაწესებულია შეღავათი დასაზღვევ გადასახადში. დასაზღვევი შეღავათიანი ტარიფი სახელმწიფო წარმოება - დაწესებულებათათვის საერთოდ უდრის 10 პროცენტს, ხოლო სააღმშენებლო ორგანიზაციებისათვის დაწესებულია 7 პროც.

ეს დადგენილება ეხება აგრეთვე სააღმშენებლო მუშაობაში ჩაბმულ მუშების დაზღვევას. თანახმად ამ დადგენილებისა, სოცდაზღვევის მთავარ კომიტეტმა გამოიმუშავა ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ის მუშები, რომლებიც არ ითვლებიან სეზონურ მომუშავეებათ და აგრეთვე სააღმშენებლო მოსამსახურენი დაზღვეულნი უნდა იქნენ საერთო წესით.

ის პირები კი, რომელნიც სეზონურ მომუშავეებათ ითვლებიან, სარგებლობენ სოცდაზღვევით შემდეგი სახით:

ასეთ მუშებს დამატებითი დახმარებები ბავშვების დაბადების დროს და აგრეთვე ერთდროული დახმარება და ბავშის საკვები დახმარება 9 თვის განმავლობაში მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათი ცოლები და ბავშები ცხოვრობენ ქალაქში, მიუხედავად იმისა ერთად ცხოვრობენ თუ არა.

ამასთანავე ქალაქებში, მუდმივ მცხოვრებთა აღნიშნულ პირთა ცოლები ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში, ან მუშათა უბანში მათ უცხოვრიათ არა ნაკლებ ერთი წლისა ბავშის დაბადებამდე.

დასამარხი ერთდროული დახმარება ოჯახის წევრის ან თვით სეზონურ მომუშავის გარდაცვალების გამო გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალებას ადგილი ექნება ქალაქში.

სეზონურ მომუშავეებს უმუშევრობის გამო „მკვდარ“ სეზონის (ზამთრის) განმავლობაში დახმარება მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განცხადების შეტანამდე ცხოვრობდენ ქალაქებში არა ნაკლებ ერთი წლისა. „მკვდარ“ სეზონში მათ დახმარება მიეცემათ არა უმეტეს 3 თვისა.

სეზონურ მომუშავეს დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო დახმარება მიეცემა, როგორც სეზონის განმავლობაში, ისე სეზონის დამთავრების შემდეგაც, იმ შემთხვევაში, თუ მუშა ავად გახდა სეზონში და ავადმყოფობა გრძელდება სეზონის გასვლის შემდეგაც.

სეზონურად მომუშავეებს ეკუთვნიან: ასფალტზე და ბეტონზე მომუშავენი, მიწის მთხრელნი, კალატოზები, მხურავნი, მკირწყლავნი, მეტაჩკეები, გზის მტკეპნელნი და სხვ.

ქრონიკა

ა.-კ. მონაწილეობა რიგის, ვენისა და პრაღის ბაზრობებზე

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა „ზაკგოსტორგი“-ს საშუალებით მიიღოს მონაწილეობა ბაზრობებზე ქალაქ რიგაში ა. წ. 29 ივლისიდან—12 აგვისტომდე, ქალაქ ვენაში—20 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე და ქალაქ პრაღაში—25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე.

ბაზრობებზე გაგზავნილი იქნება ხე-ტყის, ლიტოგრაფიული ქვის, თამბაქოს, შინამრეწველურ-მხატვრული ნაწარმოებთა და სხ. საქონლის ნიმუშები.

ღვინის ექსპორტი

17 ივლისს ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგება ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება მომავალ წელში ღვინის ექსპორტის მოწესრიგების საკითხები. თათბირს დაესწრება საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

თათბირი მებამბეობის შესახებ

25 ივლისს თბილისში შესდგება სპეციალური თათბირი ამიერ - კავკასიაში ბამბის მეურნეობის გაფართოების შესახებ. თათბირი განიხილავს ბამბის ნათესების სივრცის გაფართოების, ნედლი მასალის დამზადების, მისი გადამუშავების, ბამბის ქარხნების ნაყოფიერების გადიდების საკითხებს და ბამბის მეურნეობის მომავალ პერსპექტივებს.

თათბირს დაესწრებიან: ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მებამბეობის კომიტეტების წარმომადგენლები, ბამბის საწმენდ და საპონზეთის სახელ წარმოებათა ხელმძღვანელები და სხვ.

კორესპონდენციები ავტომობილებით

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ამიერ-კავკასიაში საქართო სახ-ბა „ზაკავტოპრომტორგთან“ დასდო ხელშეკრულება ფოსტის ავტომობილებით გადატან-გადმოტანის შესახებ.

ხელშეკრულების ძალით „ზაკავტოპრომტორგი“ თბილისის ფოსტას კავკავიდან გადმოიტანს ავტომობილით, რის გამო მოსკოვიდან გადმოგზავნილ წერილებს, გაზეთებს და სხვა კორესპონდენციებს თბილისი მიიღებს ორი დღით ადრე, ვიდრე დღემდე იღებს რკინის გზის საშუალებით.

შეწირულება უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ

საქართველოს კურორტთა სამმართველომ საქ. ცაკთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე ფონდის გაძლიერების მიზნით ლატარიაში გასათამაშებლად შესწირა, მრავალი საოჯახო და მხატვრული ნივთები.

სულ შემოწირულია 111 ნივთი, რომელთა ღირებულება უდრის 100 მანეთზე მეტს.

მე-28 მსროლელ დივიზიის ისტორია

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მე-28 მსროლელ მთიელთა დივიზიის პოლიტგანყოფილება 10 წლის განმავლობაში ჩატარებულ ბრძოლების ისტორიის აღდგენის მიზნით, დაბეჯითებით სთხოვს დივიზიის ყველა ძველ მებრძოლ ამხან.-ბს გაგზავნონ დივიზიაში თავიანთი მოგონებანი, ფოტოგრაფიები, ნარკვევები და მასალები. გაგზავნილი მასალები გამოყენების შემდეგ მნურველებს უკანვე დაუბრუნდებათ. მასალები უნდა გადაიგზავნოს დივიზიის პოლიტგანყოფილების სახელზე, კავკავში.

სახ.-სამ. იარაღ-მანქანების შემოზიდვის გეგმა

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა 1928-29 წელში ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგების გეგმა.

მომავალ წელში იარაღ-მანქანები შემოზიდული იქნება გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე წრეულს.

უპირატესობა მუშა - გამომგონებლებს

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ის პირები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც გამომგონებლებმა, შრომის ბირჟის მიერ აღრიცხვაზე აყვანილ იქნებიან შრომის სტაჟის და დაქირავებით მუშაობისათვის თავის დანებების ხანგრძლივობის მიუხედავად. მათი აღრიცხვაზე აყვანის დროს მხედველობაში არ იქნება მიღებული აგრეთვე ის გარემოება — ითვლებოდენ ისინი პროფკავშირის წევრებათ თუ არა.

აღრიცხვაზე აყვანილი გამომგონებლები სამუშაოზე გაიგზავნებიან პირველ რიგში.

თბ. აღმასკომში

◆ კურსების გრანიტის ქარხნის ასაგებათ თბ. აღმასკომმა დამატებით გადასდო 5000 მანეთი.

◆ მანგლისის გზატკეცილი. კომ. მეურნეობის განყოფილებამ დაამთავრა მანგლისის გზატკეცილის შეკეთება.

მიწსახკომში

◆ ყრილობა. მიწსახკომის ცნობით 1 ივლისს თელავში გაიხსნა კოლმეურნეობათა საზაზრო ყრილობა.

◆ სეტყვა. ახალგავაზის და აკურაშიანის რაიონში 2 ივლისს მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც საგრძნობლად დააზარალა ბაღ-ვენახები და ყანები.

სახელგამის გამოცემანი

დაიბეჭდა და სახელგამის ყველა მაღაზიებში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1) კომინტერნის პროგრამის პროექტი (კომინტერნის მე-4 კონგრესისათვის) 136 გვ. 40 კ., 2) ბუხარინი და სტალინი — კომკავშირის მიმდინარე ამოცანები (მოხსენებები კომკავშირის მე-8 ყრილობაზე) 88 გვ. — 50 კ., 3) გორგაძე და ბარსენოვი — „პიონერთა თამაშობანი“ 110 გვ. — 80 კ., 4) განამტკიცეთ ს. ს. რ. კ. თავდაცვა (მასალები სამხედრო პროპაგანდისა და სამხედრო წრეების მუშაობისათვის) 244 გვ.—1 მ. 75 კ., 5) გ. ორჯონიკიძე — „ქალაქის საბჭოები და ქალაქის ბიუჯეტები საბჭოთა საქართველოში“ (რუსულ ენაზე) 104 გვ. 1 მან.

—:—

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი“-ს 119 №-ში 1928 წ. მაისის 25-ს გამოქვეყნებულ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმების საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმების წესის შესახებ“ სათაურია და 1-ლ მუხლში ნახსენები „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიური კომიტეტის ნაცვლად უნდა იყოს „სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიური კომიტეტი“.

მონადირეთა კავშირში

ამ დღეებში შესდგა თბილისის მონადირეთა კავშირის წევრთა საერთო კრება.

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ხუტუნაშვილმა, დისციპლინარულ საამხანაგო სასამართლოს მოქმედების შესახებ შ. მესხიშვილმა და სარევიზიო კომისიის სახელით ქ. ებრალიძემ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გასული წლის განმავლობაში კავშირის შემოსავალი უდრიდა 10.250 მანეთს, ხოლო გასავალი 7.350 მან. განყოფილებები ძალიან აგვიანებენ საწევრო გადასახადის ანარიცხების გადმოგზავნას გამგეობაში. ამჟამად მათზე ირიცხება 10.000 მანეთზე მეტი.

თანახმად გასული წლის ყრილობის დადგენილებისა, გამგეობამ სცადა ჯიშიანი მონადირე ძაღლების მოშენება, მაგრამ სათანადო ადგილის და მოსაშენებელი სადგურის უქონლობის გამო ამ საქმის გაშლა ვერ მოხერხდა. ჯიშიანი ძაღლების მოშენება პრიმიტიული წესით სწარმოებდა.

ნადირის დაცვის საქმე იმდენათ ცუდ მდგომარეობაშია, რომ ზოგიერთი ძვირფასი ნადირი და ფრინველი გადაშენების პირზე დგას. ძვირფას ნადირებს და ფრინველებს ხოცავენ არა მარტო შემთხვევითი მოქალაქენი, არამედ მონადირეთა კავშირის ზოგიერთი ძველი წევრი მონადირეებიც კი.

ბრაკონიერობისათვის დისციპლინარულ ამხანაგურ სასამართლოს მიერ ზოგიერთი მონადირე გამორიცხულია კავშირიდან, ხოლო ზოგიერთს აკრძალული აქვს ნადირობა 1-დან 3 წლამდე.

კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალურ აღმ. კომიტეტის წინაშე, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცეს ბრძანება, რომ მიღებული იქნეს ზომები ნადირთა დასაცავათ და დახმარება აღმოუჩინოს კავშირის მიერ გამოყოფილ მცველებს.

12 მარტს გამოიცა ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალულია მოკლული ხოხობის ბაზარზე გაყიდვა.

საგარეჯოს, ყარაიას და ბორჯომის რაიონებში ნადირობა სრულიად აკრძალულია, ხოლო კახეთის რაიონში დროებით აკრძალულია ნადირობა, როგორც ხოხობზე, ისე სხვა ფრინველებზე და ნადირზე.

მონადირეთა კავშირს აქვს მაღაზია, რომელიც აქამდე მოიჯარადრეს ჰქონდა გადაცემული. ამჟამად მაღაზია ჩაიბარა კავშირმა და განზრახულია მისი კოოპერატიულ პრინციპზე მოწყობა. ამ მიზნით კავშირს შეკრებილი აქვს 10.000 მან.

მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვით შემოსავალი გათვალისწინებულია 11.350 მან. რაოდენობით, ხოლო გასავალი 10.600 მან. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და მოხსენებების შესახებ რეზოლიუციების შემუშავება დაევალა 5 კაცისაგან გამოყოფილ კომისიას და პრეზიდიუმს.

ხელოვნება

დრამატურგთა საზოგადოებაში

ამ დღეებში მოსკოვის დრამატურგთა, სცენარისტთა და კომპოზიტორთა საზოგადოების წარმომადგენელ ლ. გოლდენვეიზერის ინიციატივით შესდგა ამავე საზ-ბის თბილისში მცხოვრებ წევრთა კრება, ამოირჩეულ იქნა საქართველოს განყოფილების ბიურო და სარევიზიო კომისია.

ბიუროს წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ვ. ხუტირინი, შ. დადიანი, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ს. შანშიაშვილი, კ. მიქაბერიძე და პ. მორსკოი.

სარევიზიო კომისიის წევრებად — ამხ.: ე. მდივანი, ვ. მერკულოვი და კ. ფოცხვერაშვილი.

თბ. სატირის თეატრი

თბილისის სატირის თეატრი 6 ივლისს მიემგზავრება პროვინციებში წარმოდგენების გასამართავად. პირველი წარმოდგენა გაიმართება გორში 7 ივლისს. შემდეგი წარმოდგენები გაიმართება: ხაშურში, ქუთაისში, საჩხერეში, შორაპანში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ტყიბულში, სამტრედიაში, ახალ-სენაკში, აბაშაში, ფოთში, ხონში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, სოხუმში, ბათომში, ბორჯომში, სურამში, წაღვერში, თელავში, სიღნაღში ანაგაში, ლაგოდეხში, გურჯაანში ველისციხეში და ბოლოს ქ. ბაქოში. პროვინციაში დასი დაჰყოფს ორ თვეს და თბილისში დაბრუნების შემდეგ შეუდგება სამზადისს მომავალ სეზონისათვის. დასს აქვს საკუთარი დეკორაციები, კოსტიუმები, და ბუტაფორია. დასთან ერთად მიემგზავრებიან თეატრის ხელმძღვანელი ბუხნიკაშვილი და სამხატვრო ნაწილის გამგე ნ. კახიძე.

სახელმწიფო კონსერვატორიაში

სახელმწიფო კონსერვატორიის გამგეობამ მოსკოვიდან მოიწვია კომპოზიტორი - დირიჟორი მ. ბაგრინოვსკი, რომელიც უხელმძღვანელებს თეორეტიულ და საორკესტრო კლასებს.

პროფ. ბაგრინოვსკი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგება მომავალ სასწავლო წლიდან.

— ამ დღეებში სახ. კონსერვატორია სვანეთში აგზავნის ექსპედიციას, რომელშიაც შედიან: კონსერვატორიის პრორექტორი ლარისა ქუთათელაძე და სტუდენტები — მშველიძე და ახლანიშვილი. ექსპედიცია ფონოგრაფის საშუალებით ჩაწერს სვანურ ხალხურ სიმღერებს.

◆ სიმფონიური კონცერტი. დღეს ორჯონიკიძის სახ. კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ სოხუმში მომავალ სეზონში მუდმივათ იმუშავებს ქართული დასი.

სასამართლო

მკვლელობა წაღვერში

ზაქარია ხტეფანესძე გოგოლაძე— ეს არის ტიპი, რომელსაც ადამიანობის ნასახიც არ გააჩნია.

რა საჭიროა შესავალი. თქვენ თვითონ დაინახავთ, ვისთან გაქვთ საქმე! საკმარისია საბრალმდებლო დასკვნის გაცნობა.

გოგოლაძე გორის მაზრის მცხოვრები იყო ერთ დროს. მაგრამ ახალგაზრდობისას ის განდევნილ იქნა სოფლიდან, როგორც გარყვნილი პიროვნება.

მალე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს გოგოლაძე და თურქესტანის მხარეში ამოჰყო თავი.

თურქესტანში გოგოლაძე დაუახლოვდა ერთ ქალს, ოლღა ლუკინას. შეირთო ცოლად და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თან ჩამოიყვანა საქართველოში.

გოგოლაძემ მალე მოახერხა კარიერის შექმნა. ბევრი საპასუხისმგებლო ადგილი გამოიცვალა და უკანასკნელად წაღვერის თემაღმასკომის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა.

ეს ის დროა, როცა გოგოლაძე უკვე თავის ცოლს წუნსა სდებს, „აკრიტიკებს“ მის თვალთოულ ნაბიჯს.

წაღვერის თემაღმასკომის თავმჯდომარეს უკეთესი ცოლი ეკადრება (!) ასე ფიქრობს გოგოლაძე.

დაიწყო უსიამოვნება ცოლ-ქმარს შორის.

გავიდა დრო, ოლღამ რუსეთიდან ჩამოიყვანა თავისი მცირეწლოვანი და ტატიანა და მოაწყო პრა-კურსის სასწავლებელში.

ერთ დღეს ცოლის და და სიძე წაღვერში მარტო დარჩენ ღამით. გოგოლაძის ცოლი ხაშურში იყო წასული ოჯახური საქმეების გამო.

გოგოლაძემ შესტოპა ვნებათა ტალღებში და ძალდატანებით კავშირი დაიჭირა ცოლის დასთან.

დაბრუნებისას ყველაფერი უამბო ტატიანამ თავის დას და განუცხადა, რომ მას განზრახული აქვს აღძრას სისხლის სამართლის საქმე გოგოლაძის წინააღმდეგ.

— არ დამღუპო, არ დასძრა კრინტი, თორემ დავიღუპებით. ხომ იცი გავლენიანი კაცი და ორივეს გაგვრეკავს აქედან! დავრჩებით ულუკმაპუროთ!—ეუბნება ოლღა თავის და ტატიანას.

გოგოლაძე იძლევა ასეთ „დირექტივას“. ცოლის და, რომელიც უკვე ფეხმძიმეთ იყო იმ ხანებში, წაყვანილი უნდა იქნეს რუსეთში, სადაც მოილოგინდება, ხოლო შემდეგ შვილი უნდა დაიწეროს გოგოლაძის სახელზე. ვითომ გოგოლაძეს შვილი შეეძინა ოლღასაგან, ე. ი. ცოლისაგან:

ჯერ კიდევ ბავშვი არ დაბადებულიყო, როცა გოგოლაძემ წერილი გაგზავნა რუსეთში როგორც ცოლის, ისე ცოლის დის სახელზე, რომ შეუძლიათ თავი არ შეიწუხონ, რადგან არაფერი საერთო მათთან არ აქვს და სამუდამოდ ერთმანეთი უნდა დაივიწყონ.

ამ წერილის მიღებისთანავე, ცოლმა წამოიყვანა თავისი ფეხმძიმე და საქართველოში და მიადგა კარებზე ქმარს.

იმის შიშით, რომ ცოლი ყველაფერს გამოამჟღავნებდა, გოგოლაძე ძალებული გახდა მიეღო რუსეთიდან ჩამობრუნებულ არა სასიამოვნო სტუმრები.

გავიდა დრო. ტატიანამ უკვე ფეხმძიმობის მეცხრე თვეში გადადგა ფეხი.

გამოიცა ისევ დირექტივა, რომ შვილი, რომელიც ტატიანას შეეძინება, ხალხის თვალში უნდა დარჩეს ოლღას შვილად.

მოეწყო მშობიარობის ინსცენირება. შვილი შეეძინა ცოლის დას, მაგრამ ლოგინად დაწვა ცოლი ოლღა, ვითომ მას შეეძინა შვილი. ეს ყველაფერი გოგოლაძის კარნახით მოხდა.

გოგოლაძე ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია ამ მდგომარეობისაგან.

ყოველივე ღონე იხმარა, რომ ცოლიც და ცოლის დაც მოეშორებია, მაგრამ ჩადენილი დანაშაულობის გამჟღავნების შიშით ვერ ბედავდა განშორების საკითხის პირდაპირ დასმას.

უფრო „უკეთესი“ ხერხი მოიგონა გოგოლაძემ. მოეკლავდა ცოლს და მთელი საიდუმლოებაც დაითფარებოდა.

და ერთ დღეს, როცა მისი ცოლი ოლღა წამოწოლილი იყო ტახტზე, და არავინ იყო, გოგოლაძემ რევოლვერი დაახალა თავში თავის ცოლს და იქვე მოჰკლა.

ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად, გოგოლაძემ უამბო სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენელს და გამომძიებელს, თითქოს უეცრად გაუვარდა რევოლვერი და ძალიან სწუხს ასეთი უბედური შემთხვევის გამო (!).

სასამართლომ გამოარკვია საქმის ნამდვილი ვითარება და ზაქარია გოგოლაძეს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

აკაკი ზახაროვს (პეტრიაშვილის ქ. № 10), არტემ ფირალოვს (პეტრიაშვილის ქ. № 24), მაჩაბელს და გარსევანიშვილს (კალანდაძის ქ. № 1), ბეურჩეეს და ხოჯაევს (ყაზბეგის ჩიხი № 4), ანა ბელეცკაიას (წინამძღვრის და კლდიაშვილის ქ. № 36—7), ლევან მიგერიანცს (ყაზბეგის ქ. № 8—32), გაბრიელ მამაცაშვილს (პეტრიაშვილის ქ. № 20), ივანე ბადინოვს (კალინინის და მერკვილაძის ქ. № 54—12), სპეშნევა-პაულინას (წინამძღვრის ქ. № 3-ბ), ემ. ხულხაჩიანცს (კალინინის ქ. № 56), კრილენკოს და ოგანეზიანცს (კალინინის ქ. № 38), ანა ბაჩიაშვილს (კლდიაშვილის და კალინინის ქ. № 3—100), პაპიაშვილს და ვიგილაშვილს (პეტრიაშვილის ქ. № 14), გრიგორიანცს და სხვებს (კალინინის ქ. № 50), გასან ჯალალოვს (პრიუტის ქ. № 14), სიმონიანცს და კალინოვსკის (წინამძღვრის ქუჩა № 15—47), ბოკავენკოს (ყაზბეგის ქ. № 26), ნინა ზანდუკელს (პრიუტის ქუჩა № 11), ოგანეზოვს (რუსთაველის პრ. № 32), იაკობ ნებიეროვს (წინამძღვრის ქუჩა № 16), ივანე ხუხუნს (ფასანაურის შეს. № 17), ტაბლიაშვილს (წინამძღვრის ქ. № 4), ჩერნოვას (პრიუტის ქ. № 25), ამბუკაძეს (ცხინვალის შეს. № 11), ოქრომჭედლიშვილს (ყიფიანის ქ. № 38), გოგიევას (წყნეთის ქ. № 15), ებრალიძეს და სხვებს (მელიქიშვილის ქ. № 5—18), ა. მადერს (ბელგიის ქ. № 3), ავსანჯაშვილს (წყნეთის ქ. № 13), ბახტაძეს (წყნეთის ქ. № 29), ყიფშიძეს (უნივერსიტეტის ქ. № 3), ბეზრუჩკოს (ვარდციხის ქ. № 7), ჩირიკაძეს (პეტროვის ქ. № 21), ლონდარიძეს (მატინოვის ქუჩა № 36), ტანდოევს (განოვის ქ. № 17), ბაქრაძეს (ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა № 27), ლორთქიფანიძეს (პეტროვის ქ. № 29), დ. რუსანოვს (ბელინსკის ქ. № 28), სირაძეს (ცხინვალის ქუჩა № 3), შაპოვალენკოს (ბარნოვის ქ. № 16), ზარემბოს (საზონოვის ქ. № 14), ღვთისიაშვილს და ხელაშვილს (ცეტკინის ქ. № 100), გერმოვს (მოსკოვის ქ. № 10), ვართანოვს (დუმბაძის ქ. № 18), გეგეშიძეს (ტრიბუნალის ქ. № 43-ა), ისაროვს (ძნელაძის ქ. № 45), კალანტაროვს (ენგელსის ქ. № 42), ხვანიშვილს (კამოს ქ. № 67), იზმიროვს და ნაზარიანცს (გრიბოედოვის ქ. № 24), ახობაძეს (კორღანოვის ქ. № 18), ზემელს (კამოს ქუჩა № 40), ხოჯა-პარუხოვს (ენგელსის ქუჩა № 29), ხუნდაძეს (ორჯონიკიძის ქ. № 23-ა), გამაზოვს (ენგელსის ქუჩა № 42), კარაკოზიანცს (კამოს ქ. № 63), როტინოვებს (მახარაძის ქ. № 16), ყიფშიძეს და გაბაშვილს (ლენინის ქ. № 6), ლომაძეს (კობის ქ. № 25), პოლიაკოვს (ვარდისუბნის ქ. № 17), ამირბეგოვს (ბელინსკის ქ. № 40), გოგარიშვილს (ბარნოვის ქ. № 27), ა. ზლობინას (ბარნოვის ქუჩა № 25—7), იაკიმოვიჩს (ბელინსკის ქ. № 38), კასრაძეს (ბელინსკის ქ. № 45), ოგანეზოვს (გარეგინოვის ქ. № 34), ჯაფარიძეს (საზონოვის ქ. № 20), იაშვილს (კობის ქ. № 27), გოგლიძეს (ბაიაზეთის ქ. № 6), ტოროშელიძეს (ცხინვალის ქ. № 12), ტრზგოლოვს და ზახაროვს (ბარნოვის ქ. № 4), გრიქუროვებს (არსენას ქ. № 11—16), ბლოცქს (საზონოვის ქ. № 32), ნაპშევსკაიას (ბაიაზეთის ქ. № 4), ავაჯანოვს (პეტრიაშვილის ქ. № 27), ქართველიშვილს (ვარდისუბნის ქ. № 15), ფალავან დიშვილს (ვარდისუბნის ქ. № 23), ნოზაძეს (ვარდისუბნის ქ. № 14), კორღანოვებს და სხვებს (მაჩაბლის ქ. № 6), არჯევანიძეს (ჩერნიშევის ქ. № 6), გოგელიას (ბესიკის ქუჩა № 22), ესაიანცს (სემიონოვის ქ. № 21), განჯუმოვს (სემიონოვის ქ. № 19), კარდანახიშვილს და სხვ. (სემიონოვის ქ. № 16), აბრამიანცს (სემიონოვის ქუჩა № 15), ტერ-ნიკოღოსოვს (სემიონოვის ქ. № 14), ავეტისოვს (ობოლაძის ქ. № 4—1), პეტროსოვს (წინამძღვრის ქუჩა № 29), კუზმინას (ლომინაძის ქ. № 10), გრიქუროვებს (მეორე პარალელური ქუჩა № 14), ყიფიანს (ბარნოვის ქ. № 45—27), ავალიანს (ობოლაძის ქ. № 20), აბალოვს (ბესიკის ქ. № 26), ფირცხელაურს (ობოლაძის ქ. № 16), ვარუნცევს (ბელინსკის ქ. № 3), მურაბიშვილს (გოგებაშვილის ქ. № 10), ვარაზაშვილს (საბა-სულხან-ორბელიანის ქუჩა № 12), მაიერს და გეინეს (პლეხანოვის პრ. № 73), ბეგიჯანოვას (მლეთის შეს. № 7), მარდანოვას (სოლოლაკის ქ. № 12), იტბელს (სოლოლაკის ქ. № 14).

შემთხვევები

სასადილოს გაქურდვა

3 ივლისს ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ი. მეტონიძის სასადილო (რუსთაველის გამზირი, 18); წაღებულია ფულით 300 მანეთი.

ქურდის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მარიამ მჭედლიშვილი, რომელმაც ამ რამოდენიმე დღის წინათ გაქურდა გ. ნიკოლაიშვილის ბინა (თავისუფლების მოედანი, 4).

ქურდობა

ი. ჯავახიშვილის ბინიდან (პეტრიაშვილის ქ., 9), ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 100 მანეთის ნივთები. გარდა ამისა გუშინდელი დღის განმავლობაში ქალაქში აღრიცხულია 4 სხვადასხვა ქურდობა.

დაჯახება

3 ივლისს, საბარგო ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი მუხურია, დაეჯახა ტრამვაის ვაგონს. დაჯახების დროს მსუბუქათ დაშავდა შოფერი მუხურია.

ცოლის დაჭრა

სუფსარქისის ქუჩაზე, ვინმე გასან ბაბალოვმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა თავისი ცოლი ლეილა. დაჭრილი ლეილა გადაგზავნილია საავადმყოფოში. გ. ბაბალოვი დააპატიმრეს.

დაჭრა

ბებუთოვის ქუჩ., № 34, მცხოვრებ 21-ე შრომის სკოლის მოწაფე მიხეილ მამულაშვილს (15 წლისა) ესტუმრა მისი ამხანაგი ვლადიმერ ჩიკვილაძე (15 წლის). ახალგაზრდებმა დაიწყეს ბრაუნინგის სისტემის რევოლვერის სინჯვა. ვლ. ჩიკვილაძეს გაუვარდა რევოლვერი, რომლის ტყვიითაც მძიმეთ დაიჭრა მიხეილ მამულაშვილი.

ყაჩაღების დაპატიმრება

26 იანვარს გურჯაანის სადგურის მახლობლად 4-მა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა გაძარცვეს გლეხები ილიკო მახაშვილი, შაქრო იმერლიშვილი, გიორგი ყანჩაშვილი და მოსე ხელაშვილი, რომელთაც წაართვეს 6 მანეთი 38 კაპ. და პირადობის მოწმობები

ა. წ. 31 მარტს ღამის 2 საათზე სოფელ კოტეხში მცხოვრებ გლეხ დათიკო მოსულიშვილს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი. ყაჩაღებმა გაიტაცეს 100 მანეთი 50 კაპ. ფულათ და საოჯახო ნივთები.

სიღნაღის სამაზრო მილიცია შეუდგა კვლევა-ძიებას ამ შემთხვევების ირგვლივ და 17 ივნისს დააპატიმრა მძარცველები სანდრო ვანოსძე უტიაშვილი, ალექსი ზაქარიასძე ძულიაშვილი, შაქრო მიხასძე თევდორაშვილი და დათა ვანოსძე უტიაშვილი, რომლებიც გამოტყდნენ დანაშაულში.

მეცნიერება და ტექნიკა

ინგლისის ახალი აეროპლანი

ამ რამოდენიმე ხნის წინად ბრუკის (ინგლისში) აეროდრომზე მოხდა საჯარო გამოცდა ახალი აეროპლანისა, რომელიც საავიაციო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. აეროპლანის გამოცდა მოხდა ინგლისში მყოფ უცხოეთის ყველა სამხედრო წარმომადგენელთა თანდასწრებით. აეროპლანი დანიშნულია სამხედრო ოპერაციებისათვის და მას ახასიათებს ფუნქციების შესანიშნავი მრავალფეროვანება. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გამანადგურებელი, ბომბების გადმოსაყრელად და მზვერავად. ეს კიდევ ცოტაა, რამდენიმე წუთში აეროპლანი შეიძლება გადაქცეული იქნეს ჰიდროპლანად.

არანაკლებ შესანიშნავია ახალი აეროპლანის ფრენის თვისებები. მას შეუძლია განუწყვეტლივ ფრენა 12 საათის განმავლობაში. საათში საშუალოდ 225 კილომეტრის გავლა. პირობებში ეს ნიშნავს, რომ ახალი აეროპლანის მოქმედების რადიუსი დაახლოვებით 1400 კილომეტრს უდრის. აეროპლანზე დადგმულია ცნობილ ინგლისელ, კონსტრუქტორ ხენდლეი პეჯის მოტორი, რომლის წყალობით მას შეუძლია თითქმის გაჩერდეს ჰაერში.

აეროპლანს შეუძლია 2 ტონა ბომბის წაღება. კორპუსის ქვეშ მოთავსებულია 60 ფუთიანი „საჰაერო ნავი“, რომელიც აეროპლანს სცილდება ფილაქზე უბრალო ხელის დაჭერით მფრინავის კაბინიდან.

აეროპლანის რაზმი შესდგება სამი კაცისაგან: მფრინავი, მექანიკოსი და მეთვალყურე-ტყვიამფრქვევი, აეროპლანი შეიარაღებულია ორი მსუბუქი ტყვიამფრქვევლით.

აეროპლანს ასაფრენად და დასაშვებათ ესაჭიროება მხოლოდ 25 მეტრის სიგრძის მქონე მოედანი. აეროპლანი აგებულია ინგლისის ცნობილ საავიაციო ფირმის — ბლეკბერნის მიერ და მას ეწოდება „რიპონში“.

გაზეთების ცნობით, აეროპლანის გამოცდა დიდის წარმატებით ჩატარდა.

ჭადრაკი

ა. კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეცხრე ტური

გოგლიძე — ებრალიძე. მეცხრე ტური აღინიშნა ებრალიძის პირველი დამარცხებით. შუა თამაშში გოგლიძემ მიიღო უპირატესობა. ეტლებით დაიკავა გახსნილი ხაზი, მაგრამ შემდეგში შეცდომა დაუშვა, რითაც ებრალიძეს მიეცა საშუალება ხარისხის შეწირვით გადასულიყო შეტევაზე. პარტია შეიძლებოდა ყაიმით დამთავრებულიყო, რომ ებრალიძეს მე-36-ე სვლაზე არ გაეკეთებინა შემცდარი სვლა რკუთი, რამაც შემდეგში თამაში გადასწყვიტა გოგლიძის სასარგებლოდ.

მაკოგონოვი — ავეტისოვი. თეთრებმა ძალიან ადვილად მოუგო პარტია ავეტისოვს.

ტალვიკი — როსტოვცევი. ტალვიკმა ცუდათ გაითამაშა დებიუტი, მალე ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, დაჰკარგა ფიგურა და დანებდა როსტოვცევს.

სმოროდსკი—ბადაი (ფრანგული), დებიუტში სმოროდსკიმ გამოიყენა ნაკლებათ ცნობილი ვარიანტი. მიიღო ძლიერი გამსვლელი პაიკი და გახსნილი ხაზი მეფეზე შესატევად, ბადაიმ კარგათ დაიცვა თავი, მაგრამ შემდეგში მეტად სუსტი აღმოჩნდა მისი პოზიცია, რომ ვერ შესძლო თავის დაღწევა მოწინააღმდეგის იერიშისაგან. დაბოლოს ლამაზი კომბინაციური სვლით, სმოროდსკიმ ბადაის გაუკეთა შამათი.

მალიუნცევი — აბრამიანი. მალიუნცევმა არ განავითარა თამაში, ძალიან ადრე დაიწყო შეტევაზე გადასვლა, მაგრამ უშედეგოთ. აბრამიანმა მოწინააღმდეგეს უპასუხა კონტრ-შეტევით, გაიუმჯობესა მდგომარეობა და ორი ძლიერი გამსვლელი პაიკის საშუალებით მოიგო პარტია.

ილინ-ჟენევსკი — იმენიტოვი. პარტია გადადებულია ჟენევსკისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

სოროკინი — ტერ-მატეოსიანი. ამ ჩემპიონატში სოროკინი თამაშობს სუსტათ. მისი მორიგი პარტია ტერ-მატეოსიანთან დამთავრდა მისი დამარცხებით. თამაშის დასაწყისში მან შემთხვევით დაჰკარგა ორი პაიკი და პარტია წააგო.

ტოტევიანი — კარჩიკიანი. პირველი შემთხვევაა ამ ჩემპიონატში, რომ ტოტევიანმა გააკეთა ყაიმი. მას ჰქონდა პარტიის მოგების შესაძლებლობაც, მაგრამ დასთანხმდა ყაიმზეც.

მეცხრე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: მაკოგონოვი და გოგლიძე + 7, ილინ-ჟენევსკი + 6 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ებრალიძე + 6, აბრამიანი + 5 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი სმოროდსკი +5 და ერთი დაუმთავრებელი, მალიუნცევი, ბადაი, როსტოვცევი + 4 ნახ., ტალვიკი + 4 და ერთი დაუმთავრებელი, ავეტისოვი + 4, სოროკინი + 2 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, კარჩიკიანი + 2 ნახ. იმენიტოვი და მატეოსიანი + 1 ნახ., ტოტევიანი — ნახევარი.

მეთერთმეტე ტური

დღეს, 5 ივლისს, შესდგება ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური. თამაშობენ: სმოროდსკი — ავეტისოვი, გოგლიძე — კარჩიკიანი, მაკოგონოვი — ტერ-მატეოსიანი, აბრამიანი — ტოტევიანი, ილინ-ჟენევსკი — სოროკინი, მალიუნცევი — იმენიტოვი, როსტოვცევი — ბადაი, ტალვიკი — ებრალიძე.

მოშაშეთა ჩემპიონატი

დამთავრდა ამ. კავკ. მოშაშეთა პირველი ჩემპიონატი. პირველი ადგილი დაიკავა შებედევმა (აზერ.) რომელმაც შვიდი პარტიიდან მოიგო + 6 ნახ. მეორე ადგილი დაიკავა მკრტუმოვმა (+ 6). მესამე და მეოთხე ადგილები გაინაწილეს აგამალიანმა და მახმუდოვმა + 4.

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

დღეს, 5 ივლისს, რადიო-გადაცემა არ იწარმოებს.

პარასკევი, 6 ივლისი

ხვალ, 6 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ქალი და კოოპერაცია—მოხ. ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

ტრიპერის წამლობა და მისი გართულება—მოხს. რუსულ ენაზე.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე—მოხს. რუსულ, ქართულ, აფხაზურ, და ოსურ ენებზე.

ცოფი და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს, 5 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნით იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნიკოლოზ კეცლიშვილი, ანნა მასლოვსკაია, ნადეჟდა მაკაროვა, ეფრემ ლიუსენკო, აკოპ აკოპიანცი, არამ ხაჩატურიანი, მიხეილ მარტიროსიანი, ვანო ჩილინდარიშვილი, ნინო კარაკოზიანი, მარიამ იგუმოვა, ალისა სავოჩკინა და მარიამ არზუმანოვა.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მარიამ ეგნატაშვილი, ანასტასია გოგიჩაიშვილი, რუბენ კოჩაროვი, მარიამ სარაჯიშვილი, დარია ირემაშვილი, ნატალია გივიანი, იუსუფ მამედ-ბეგოვი, გერონტი ცინცაძე, ალექსანდრე არუთეცკი, იაკობ ოდილავაძე, ვასო მეტრეველი, ქსენია კობერიძე, პეტრე სანიკიძე, ვლადიმერ ახპატელოვი, გიორგი კობაშვილი, თამარ გურგენიძე, ალექსი ახვლედიანი, ნინო ცინცაძე, თამარ მამულაიშვილი, ტანია ბაქრაძე, სერაფიმე ჩიქოვანი, ოლღა ქუმბურიძე, ლიზა რაზმაძე, პარასკევა სვანიძე, ნიკოლოზ თარხნიშვილი, გრიგოლ ბერიძე, მარინე ინანიშვილი, თამარ მგალობლიშვილი, თამარ მირიანაშვილი, თამარ ნანეიშვილი, ათანასე გაბისონია, დავით გვარამაძე, გრიგოლ სართანია, რევაზ ერისთავი, პარმენ მიქაძე, ნინო გოგოლაშვილი და ბარბალე კალმაკოვა.

ახალგაზრდათა მეოთხე სექციიდან: ლევან საფაროვი, არტაშა მანუკოვი, დავით ბათუაშვილი, გიორგი ცერცვაძე, მიხეილ ბარბაკოვი და ნიკოლოზ პლეშკოვი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან: პეტრე გოგოლაშვილი, დავით კეკურია, პეტრე ზაკატოვი, ალექსი კონსტანტინოვი, კონსტანტინე კორძაია, ნესტორ გეგელაშვილი, სოკრატ ანტონოვი, აბრამ ტენსისი, ნოე ხარჩიაშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი, ბიქტორ შმერლინგი, ლეონიდ გამზიუგერი, შლომ ბროიდო, ნუხი ბროიდო და ლევან ბეგოშვილი.

მედსექციიდან: ნიკოლოზ გძელიძე, ნატალია გინზბურგი, აბელ კუჭაიძე, კონსტანტინე ბელოვი, რუბენ ვარლამოვი, ნიკოლოზ გულივერდაშვილი, ანნა ხარაზოვა და ნინო ხაზარაძე.

საგარანტიო სექციიდან: არშალუის აბრამიანი, არტაშეს ბალაგეზიანი და ივანე არუთინოვი.

იურიდიული კონსულტაცია

მელქისედეგ ფრანგიშვილს

კითხვა

ვმსახურებ რკ. გზის მთავარ სახელოსნოში მუშათ. სოფლად მაქვს მიწა და სახლ-კარი, სადაც ცხოვრობს ცოლ-შვილი. უფროსი შვილი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, დანარჩენები კი მცირეწლოვანები არიან მეურნეობას ვეწევი დაქირავებული შრომით. ახლა თემაღმასკომი მოითხოვს ჩემგან შევიხადო საგზაო ბეგარა და ვაკეთო გზა. გთხოვთ მიპასუხოთ, კანონიერია თუ არა აღმასკომის მოთხოვნა?

პასუხი

თქვენ, როგორც წარმოების მუშა, თავისუფალი ხართ საგზაო ბეგარისაგან (სოფლის მოსახლეობის საგზაო ბეგარის დებულების მე-4 მუხ. დ. პუნ.).

იაკობ ქორჩლაძეს, (რაჭის მაზრა, სოფ. ჩონისი)

კითხვა

ვცხოვრობ სოფ. ჩონისში, ვართ ორი ძმა, გვყავს მოხუცი მამა, რადგან ჩემმა ძმამ მოინდომა ცალკე ცხოვრება, გავყავით სახლი და მამა ჩემი ჩემთან დარჩა. ძმა მოითხოვს ადგილის გაყოფას სულზე იმ დროს, როდესაც ეს ნახევარ ნორმასაც არ შეადგენს. გეკითხებით, მიწა ორივეს თანასწორად გვეკუთვნის თუ არა.

პასუხი

თუ თქვენ მხოლოდ ნახევარი ნორმა გაქვთ, მისი გაყოფა შეუძლებელია. თქვენ ძმას, რომელიც თქვენს ოჯახიდან გავიდა, შეეძლო მიეღო საერთო ქონებიდან მხოლოდ წილი და არა მიწა.

ალექსი ურიათმყოფელს

კითხვა:

ვმსახურობ რკ. გზ. სადგ. ქარელის მეისრით, ჯამაგირს ვიღებ თვეში 42 მან. 50 კაპ. მაქვს 3 დღის სახნავი მიწა და სამი ჩარექი ახლად გაშენებული ხილის ბაღი: მყავს ორი ძროხა. ჩემი ოჯახი შესდგება 6 სულისაგან, გორის 1 საგადასახადო განყოფილებამ შემაწერა 72 მან. 11 კაპ. სასოფლო სამეურნეო გადასახადი იმ დროს, როდესაც მთელი წლიური შემოსავალი უდრის 528 მან. გეკითხებით, ვართ მოვალე თუ არა ამ რაოდენობის გადასახადი გადავიხადოთ?

პასუხი:

სოფლის მეურნეობის (მიწის ნაკვეთის და საქონლის მიხედვით) თქვენი შემოსავალი გაანგარიშება 105 მანეთის რაოდენობით. თუ თქვენ მეურნეობაში ცხოვრობთ და თანახმად თქვენი ჩვენებისა არა სასოფლო-სამეურნეო წყაროდან გაქვთ შემოსავალი 528 მან.., ამ შემთხვევაში უნდა გადაიხადოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 4 მან. 12 კაპ. რაოდენობით., მაგრამ თუ თქვენ მეურნეობის გარეშე ცხოვრობთ., სასოფლო-მეურნეობის ხსენებულ შემოსავალზე გადასახადი სრულებით არ შეგეწერებათ. ამიტომ 72 მან. 11 კაპ. რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის დაკისრება თქვენზე უსაფუძვლოა. შეგიძლიათ საგადასახადო განყოფილების აღნიშნული მოქმედება გაასაჩივროთ ფინანსთა სახ. კომისარიატში?

კირილე ახვლედიანს

კითხვა

ვმუშაობდი კავშირში, არჩევითი, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 6 თვის შემდეგ დავბრუნდი იმ დაწესებულებაში, სადაც წინად ვმსახურობდი. კავშირში მუშაობის დროს შვებულებით არ მისარგებლია, ვინაიდან დაწესებულებაში ჩემი გადასვლა მოულოდნელად მოხდა.

გთხოვთ მაცნობოთ. აღნიშნულ 6 თვის განმავლობაში კუთვნილ შვებულების დღეების საკომპენსაციო ფულად კავშირმა უნდა მომცეს, თუ იმ დაწესებულების ადმინისტრაციამ სადაც ამჟამად ვმსახურობ?

პასუხი

საკომპენსაციო ფულად გერგებათ კავშირიდან. რადგან თქვენი ეხლანდელი სამსახურზე გადასვლა, წარმოადგენს კავშირის სამსახურიდან დათხოვნას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 ივლისს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: პარტგანათლების შედეგები. მიღება და გადაგზავნა.

რაიკომის და სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატთა და ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროების დასწრება აუცილებელია.

დღეს, 5 ივლისს დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია კომისიის სხდომა სამხედრო აკადემიის მუშაობის შესახებ.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, ს. თოძაძე, ფირალიშვილი, დოსამეძე, ბედია და დუდუჩავა.

ამხ. მიხ. კახიანის სახ. ქართულ მუშფაკის ა. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 5 ივლისს, საღამოს 6 საათზე შესდგება ა. ლ. კ. კ. უჯრედების საერთო კრება.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 5 ივლისს, საღამოს 5 საათზე აღნიშნულ რაიკომის შენობაში შესდგება ამავე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

სავალდებულოა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: მარო ჩიოკეჩიშვილი, თამარა კუტუბიძე, ნადეჟდა კატრიხოვა, შოთა კალანდაძე, ვალერიან გორგასლიძე, გრიგოლ კობახიძე, კადირ მამედოვიჩი, მაისაძე, მაკარი კანოვი, გალაქტიონ ციხისელი, ვარდო კირვალიძე, ეგიშე შახბაზიანი, შალვა გელბახიანი, არსენ სირბილაძე, აპეტ მერაბოვი, არჩილ შიოკაშვილი, ნიკოლოზ კუქავაძე, გიორგი გრძელიშვილი, გრიგოლ მარტიროსოვი, დიანოზ ერაძე, ევგენი ციხისელი, ივანე პოსუხოვი, სიმონ იკანოვი, ლიდია თურქაძე, ახმედ მირზოევი, ხაჩატურ ესაიანი, ანდრანიკ ტატეოსოვი, უნან გასპაროვი, ხოსრო მურადოვი, თედორე აივინოვი, შოთა ჩინიკაშვილი, სერგო მარტიროსოვი, გრიგოლ ჩუმაკოვი, გიორგი ჩოდრიშვილი, ზარიკ სტეფანიანი, მარტინ ბაღდასარიანი, ვართან ბადეიანი, ტიგრან მარქოსიანი, ბაგრატ ახვერდოვი, სურენ პეტროსიანი, ივანე ეესი.

კვირას, 8 ივლისს საღამოს 5 საათზე სოფ. საჰილაოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის მე-2 კურსის ყოფილ სტუდენტის

ვადიმ ბესარიონის-ძე მელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის მშობლები.

2889

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინო, ძმა ვასილი შვილებით: თამარი, არჩილი, ელიკო; მეგობრები: მიხეილ აროშიძე და ელო სლინკოსი; ბიძაშვილი ვარვარა კუპრაშვილი; სიძეები: ლადო მაჭავარიანი შვილი თენგიზით, გიორგი კუპრაშვილი შვილი ნათელათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე რაფიელის ასული იორამიშვილი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, მინკვიცევის ქ. № 8, 6 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათ.

2929

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	საუკეთესო სურათი „დონ დიეგო და პელაგეა“
საზაფხულო ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი „ცოლი“ ხოვანსკაიას, პოპოვას და ბატალოვის მონაწილ.
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი სამხატვრო თეატრის დამსახ არტისტის ლეონიდოვის მონაწილეობ. „მისი აღმატებულება“
საზაფხულო პალასი	„თავზე ხელაღებული“ უკანასკნელი 5 და 6 სერია
მინიონი	ამერიკული კინო-რომანი ზღვის გმირი 1 და 2 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	თავზე ხელაღებული 3 და 4 სერია

0—30

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (ყოფ. მუშტაიდი)
დღეს, 5 ივლისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად.
კონცერტს ხელმძღვანელობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი. პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვი—შეხერეზადა და სპენდიაროვის საუკეთესო ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე
ბაღში კინო.
წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ხვალ 6 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის მუშაკთა კლუბში. ნ. 1347

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
დარეჯან მ.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

პარასკევს,
6
ივლისს
კინო-თეატრებში
პალას და ეთერი
ერთდროულად
არაჩვეულებრივი
ფილმი
ნარვალები
დადგმა რეჟ.
ა. რომის
მთავარ როლებში
ოლგინა, მალიშევა, ბარანოვსკაია,
მინინი და სხვ.
ნ. 1337

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.
ი. დ. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 10-ში კახეთის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ვასილ მელიქის-ძე გასპარიანცის მოძრავ ქონებას: კედლის საათს, კამოდს კაკლისას, ორ სარკეს, ბუფეთის შკაფს, პირსაბანს, კედლის ხალს, სამოვარს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 398 მანეთად, ა.-კავკასიის რკინის გზის გამგეობის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლ. საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 26 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 251 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. 2922

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 9 ივლისს დღის 3 საათზე ნეკრასოვის ქუჩაზე მდებარე № 14 სახლში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. გიორგი ხელაშვილის უძრავ ქონებას: ნეკრასოვის ქუჩაზე № 14 მდებარე ერთ აგურის სახლს, ერთ სართულიანს, რომელიც შესდგება 8 ოთახისგან და სარდაფისგან; სახლს აქვს სამზარეულო და კანალიზაცია. სახლი იყიდება მოქ. სისო კიკაჩეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოსაგან 1928 წლ. 30 მარტის თარიღით გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 284 | 2. რადგან საჯარო ვაჭრობა ინიშნება მეორეჯერ, ამიტომ ვაჭრობა იწარმოებს შემოძლეულ ფასებიდან და დაცული იქნება ს.ს.ს. კოდექსის 301 310, 311, 312, 313 მუხლებში გათვალისწინებული წესები. 2925

ლეჩხ. მაზრის სახ. სასამართლოების აღმასრულებელი
პ. გოლეთიანი
ამით აცხადებს, რომ ა. წ. ივლისს 13, დღით პარასკევს 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსანდრე ავთანდილის-ძე ახვლედიანის ერთ სართულიან შერეული მასალისაგან აგებულ ხის სახლის ერთ დარბაზს და ერთი ოთახის ორ კედელს თავის იატაკიან-ჭერინათ, თლილი ქვის ბუხრებით, 3 კარით, 5 ფანჯრით და აივნით სახლი დახურულია ყავრით, შეფასებულს 400 მანეთად. აგრეთვე გაიყიდება ერთი მაგიდა ღირებული 4 მანეთად, ერთი ტახტი ღირებული 3 მანეთად და 4 უბრალო სკამი ღირებული 4 მანეთად, კონსტანტინე ნემსაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ცაგერის უბნ. სახ. სასამართლოსაგან გამოცემული აღმასრულებელი ფურცლისა თარიღით № 298. ვაჭრობა იწარმოებს სამოქალაქო სამ. სამ. საპ. კოდექსის 311 და 312 მუხლების დაცვით. 2927

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კონტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

მათემატიკის
მასწავლებელი
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და გამეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფით 4—1 2892

დაკარგა: განათლების მოწმობა მიღებული ქუთაისის პირველი ტეხნიკუმიდან და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ვასილი მარკოზის ძე შანიძის სახელზე, ჩ. გ. 2928

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10
13—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

დაკარგა: ხონის ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა, კომკავშირის წიგნაკი № 6630 და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების საბუთი გრიგოლ ფანცულაიას სახელზე, ჩ. გ. 2923

გვარის გამოცვლა
გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ ანტონ ანტონის-ძე გალგანმა შემოიტანა განცხადება თავისი გვარის გამოცვლის შესახებ „გრუშევიჩ“-ზე.
გორის მაზრის მმაჩის
ბიუროს გამგე
გულდიაშვილი
2927

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 14 | 23698 ფილიპე ღვაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 2924

დაკარგა: საკანდიდატო ბარათი № 20026 ვასილ ფოცხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2926

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 145668, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 31.130 პირადობის მოწმობა № 1884, სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფორმა № 4, № 232683 და ქორწინების მოწმობა იოსებ იაკობის-ძე კალატოზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2920

დაკარგა: პირადობის მოწმობა № ბ/109, სასურსათო ბილეთი № 652728, ადგ. ტრანსპ. მომ. კავშ. საწევრო წიგნაკი № 341835 და რემედასის წიგნაკი № 336977 ისაკი ბეჟანის-ძე ბოლქვაძის სახელზე, ჩ. გ. 2921

დაკარგა: თბილისის ლომბარდის ქვითარი № 78510 ჩ. გ.

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.